პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 18—80 ექსპედ. 5—48.

სამშაბათი, 30 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 274 (1729)

დ ღ ი უ რ ი

- 27 ნოემბერს ლონდონის კრემატორიუმში დასწვეს ამხ. კრასინის ცხედარი.
- 2 დეკემბერს მოხდება ჩემბერლენ-ბრიან-პუანკარეს შეხვედრა.
- ოსმალეთის მთავრობამ გააგრძელა საალყო წესები აღმოსავლეთ ვილაიეთებში.
- მოსკოვში ჩავიდა ესტონეთის ახალი ელჩი.
- ხანძარმა გაანადგურა ქ. ბრუსა.
- ალბანელი აჯანყებულები უკან იხევენ.
- გერმანიის რეიხსტაგი იხილავს კანონპროექტს პრესის შესახებ.

5 დეკემბრისთვის მოწვეულია
საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)
ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი
საკ. კ. პ. ამიერ-კავ. საოლქო კომიტეტის მდივანი **ნაზარეტიანი**

2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
შესდგება
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრალურ კომიტეტის
გაფართოებული პლენუმი
საქ. კომუნისტურ პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნების თანდასწრებით
საკ. კ. პ. ცეკას მდივანი **ქართველიშვილი**

სავაჭრო პოლიტიკა მტკიცედ უნდა გატარდეს

შემოდგომა და ზამთრის პირი გაძლიერებულ მოთხოვნილების პერიოდია ბაზარზე. ჩვენს სინამდვილეში, როცა საქონლის ნაკლებობა ისედაც საგრძნობია, მიმდინარე პერიოდში ეს ნაკლებობა მეტი სიმწვავით იჩენს თავს. აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი ტკივილებისა, რომელთაც დეზორგანიზაცია შეაქვს მომხმარებლის ნორმალურად დაკმაყოფილების საქმეში, რომელიც წინ ეღობებიან პარტიის მტკიცე ხაზს ფასების მოწესრიგების დარგში და ზედმეტ ნერვიანობას ჰქმნიან ბაზარზე.

ხელისუფლებას საკმაოთ ძლიერი იარაღი მოეპოვება იმისათვის, რომ მან წინააღმდეგობა გაუწიოს ბაზრის სტიქიას. ესაა კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები. ცხადია მთელი ჩვენი გულისყური ამ ორგანოების მუშაობისაკენ უნდა იქნას მიპყრობილი, იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ სისწორით და უმტკივნეულოდ ატარებენ ისინი პარტიის ხაზს ბაზრის მოწესრიგების საკითხში. როცა ასეთი მოთხოვნილებით ვუდგებით ჩვენს კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს, იძულებული ვხდებით ვაღიაროთ, რომ აქ ყველაფერი თავის ადგილას არაა.

უმთავრესად მხედველობაში მისაღებია კერძო კაპიტალთან დამოკიდებულება ბაზარზე. ცნობილია, რომ არსად ისე ძლიერი არაა კერძო კაპიტალი, როგორც ვაჭრობის და უმთავრესად საცალო ვაჭრობის დარგში. ფასების დაკლების პოლიტიკაში, მოსახლეობის საქონლით გეგმაშეზომილ დაკმაყოფილების საქმეში ამ ადგილს, საცალო ვაჭრობას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ კერძო ვაჭარს აქ დიდი არევ-დარევა შეაქვს ხელისუფლების მტკიცე ხაზში და ამნაირათ ის ძირს უთხრის ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ერთ უმნიშვნელოვანეს ბოძს.

ჩვენ თითქოს სრული შესაძლებლობა გვაქვს კერძო კაპიტალს შინაურ ბაზარზე თავისი ადგილი მიუჩინოთ და მოქმედების ასპარეზი სათანადოთ შემოფარგლოთ. ეს ასედაც ხდება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა კერძო ვაჭარი სცილდება მისთვის მიჩნეულ ფარგლებს და სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას. რატომ ხდება ეს?

ამ მოვლენის მიზეზები თვით კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის დეფექტებში უნდა ვეძებოთ. ეს დეფექტები წარმოადგენენ იმ საძრომელას, საიდანაც კერძო კაპიტალი გამოდის ბაზარზე სერიოზულ მეტოქის და ფასების ამწევის როლში. ეს დეფექტები იმდენად მრავალფეროვანი და საყოველთაოა, რომ კერძო ვაჭარს შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს ისინი როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობაში.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის საგულისხმო გამოკვლევა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოების მიერ კერძო ბაზარზე მანუფაქტურის გაყიდვის შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ ეს გამოკვლევა მარტო მანუფაქტურით არ ამოიწურება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე მოვლენას ადგილი აქვს სხვა სახის საქონლის მიმართაც, როგორიცაა რკინეული, ტყავეულობა, შაქარი, ქიმიური ნაწარმოებნი და სხვა.

მანუფაქტურა ფაბრიკატის მთავარი სახეა და მდგომარეობა მანუფაქტურის ბაზარზე შეიძლება დამახასიათებლად ჩაითვალოს. მას შემდეგ რაკი ბაზარზე მანუფაქტურის ნაკლეობა საგრძნობი შეიქმნა, კერძო კაპიტალს ამ საქონლის შეძენა-დაგროვების მხრივ განსაკუთრებული აქტივობა დაეტყო. ამ აქტივობასთან ბრძოლაში ჩვენი კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები ყოველთვის თავის მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდენ.

არის აღნიშნული შემთხვევები, როცა, მიუხედავათ კატეგორიულად აკრძალვისა, ჩვენი სინდიკატები მაინც აწვდიდენ კერძო ვაჭარს საქონელს. შემჩნეულია აგრეთვე ისეთი მაგალითებიც, როცა კერძო ვაჭარს კოოპერატივის საშუალებით მიუღია საჭირო საქონელი. ამასთან ერთად არც საცალო ვაჭრობას აკლებს თავის ყურადღებას კერძო ვაჭარი.

არის საქონლის წვრილ-წვრილად შემსყიდველ პროფესიონალ ჩარჩების მთელი კადრი, რომლებიც ჰქმნიან ჩვენს სავაჭრო მაღაზიებთან გრძელ-გრძელ რიგებს, ხელოვნურათ იწვევენ პანიკას ბაზარზე და ამით უფრო ამწვავებენ საქონლის ნაკლებობით შექმნილ მდგომარეობას.

რა გზით უნდა მოეღოს ბოლო ასეთ დაუშვებელ მოვლენას? რომ მოგერებულ იქნას საქონლის ნაკლებობის ნიადაგზე წარმოშობილი კერძო კაპიტალის ოინები, საჭიროა მთელი რიგი ორგანიზაციული, ადმინისტრატიული და პროფესიონალური ხასიათის ღონისძიებები. პირველყოვლისა მომავალში უნდა ძირშივე მოკვეთილ იქნას ყოველი შემთხვევა სახელმწიფო სავაჭრო ორგანოს ან კოოპერატივის მიერ კერძო ბაზარზე საქონლის გაყიდვისა. აქ მეტი დაუზოგაობა და სიმტკიცეა საჭირო, ვინემ ეს დღემდე იყო.

ამასთან ერთად უნდა მოწესრიგდეს საქონლის გაცემის საქმე თვით კოოპერატივებში და სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებში. კოოპერატივებმა უნდა შემოიღონ წესი, რომლის მიხედვითაც ის საქონელი, რომელზედაც ნაკლებობას განიცდის ბაზარი, პირველ რიგში კოოპერატივის წევრებს მიეცეს და შემდეგ პროფკავშირის წევრებს. სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიებმაც მხოლოდ პროფკავშირის წევრებს და გლეხებს უნდა მისცეს საქონელი.

გარდა ამისა სასპეკულიაციო საქონელი განსაზღვრულ ნორმაზე ზევით არ უნდა იყიდებოდეს. ყველა ეს ზომები ფუჭი იქნება, თუ მათ გატარებაში მხურვალე მონაწილეობა არ მიიღო პროფესიულ კავშირებმა. საჭიროა პროფკავშირის წევრთა შორის შეიქმნას მტკიცე საზოგადოებრივი აზრი კოოპერატივიდან შეძენილ საქონლით ვაჭრობის წინააღმდეგ. ეს საკითხი უნდა დაისვას ფართე მასიურ კრებებზე, ეკონომიურ თათბირებზე და ცალკე კომისიებში.

ფაბრიკა-ქარხნის პროდუქციის ნაკლებობა უდაო ფაქტია. მაგრამ ისიც უდაოა, რომ ეს ნაკლებობა სრულიადაც იმდენად საშიში არაა, რამდენადაც მას საშიშრად ხდის ბაზრის მოუწესრიგებლობა. ამიტომ კერძო ვაჭრის ასალაგმავათ უნდა ამოძრავდეს ჩვენი სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები, კოოპერაცია და პროფკავშირები. მხოლოდ საერთო ძალით, ფართე მასის აქტიური მონაწილეობით შევძლებთ ჩვენ ხელოვნურად გაზვიადებულ საქონლის ნაკლებობის დაძლევას.

შრომის დაცვის შესახებ

(„პრავდა-ს“ მოწინავე წერილი)

„მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი საარსებო დონის ამაღლება სახალხო მეურნეობის მიღწევებთან და წარმატებებთან შეფარდებით პარტიის ერთ ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს“ (მეხუთმეტე პარტკონფერენციის რეზოლუცია). ამ ამოცანასთან უშუალოდ დაკავშირებულია წარმოებებში შრომის პირობებისა და შრომის დაცვის საკითხები.

თუ შრომის კანონმდებლობის და შრომის დაცვის უფლებრივ ნორმების მხრივ (სამუშაო დღის შემცირება, შვებულებები, კანონი ქალების, შეგირდების შრომის და სხვ. შესახებ) ჩვენ საგრძნობ შედეგებს მივაღწიეთ, სამაგიეროდ გაცილებით უფრო ცუდად არის დაყენებული შრომის ჰიგიენის და უშიშროების საქმე. ამის მთავარი მიზეზი გასაგები ხდება, თუ მოვიგონებთ იმ ბარბაროსულ მემკვიდრეობას, რომელიც ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ დაუტოვა მუშათა კლასს. ჩვენი საწარმოო დაწესებულებების მდგომარეობა შრომის დაცვის თვალსაზრისით შედეგია იმ სრული უკულტურობის და მუშების ინტერესებისადმი სრული უყურადღებობის, რასაც იჩენდენ კაპიტალისტები და წარმოებათა წინანდელი პატრონები, რომელნიც მთელს თავის კეთილდღეობას აგებდენ იაფ მუშა ხელის მტაცებლურ ექსპლოატაციაზე.

ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობის გაცვეთა, ზოგიერთ შემთხვევაში სამრეწველო-სანიტარიის ელემენტალურ პირობების დაუცველობა და უშიშროების ტეხნიკის უქონლობა ძალიან ცუდ გავლენას ახდენენ, როგორც მუშების ჯანმრთელობაზე, ისე თვით წარმოებაზე, ადიდებენ ავადმყოფობის გამო გამოუცხადებლობის შემთხვევებს და სცემენ შრომის ნაყოფიერებას.

მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინებასთან დაკავშირებით შრომის დაცვის დარგში დიდი მუშაობაა გაწეული და ამ მიზნისათვის რამოდენიმე ათეული მილიონი იხარჯება, შრომის პირობები საწარმოო დაწესებულებებში სრულიადაც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. წინანდელ მუშაობას მეტ წილად ახასიათებს უგეგმობა და ის გარემოება, რომ ყველა ღონისძიებანი ვერ იყვენ სათანადოდ დაკავშირებული მუშების ნამდვილ მოთხოვნილებებთან და განვითარების გზაზე დამდგარ მრეწველობის საჭიროებებთან.

სამეურნეო ორგანოების მხრივ უყურადღებობა შრომის დაცვის საკითხებისადმი ხშირი მოვლენაა. დღემდე ადგილი აქვს თვით უშიშროების ტეხნიკისათვის სპეციალურად გაღებულ კრედიტების სუსტად გამოყენების შემთხვევებს.

ტრესტების სამრეწველო ფინანსიურ გეგმების შედგენის დროს ადგილი აქვს ისეთ ფაქტს, როგორიც არის წარმოების გაჯანსაღებისათვის გადადებულ ხარჯების ერთბაშათ, მექანიკურად შემცირება. ცხადია, სავსებით შემცდარია ის აზრი, თითქოს შრომის დაცვის ღონისძიებათა გასატარებელი ხარჯები ზედმეტ და ეკონომიურად გაუმართლებელ ხარჯებს წარმოადგენენ. საწარმოო დაწესებულებების ნამდვილი ინტერესები სულ წინააღმდეგს გვეუბნებიან. შრომის ნაყოფიერების გადიდება და მომჭირნეობის რეჟიმის სალი განხორციელების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარებას სამრეწველო სანიტარიისა და შრომის უშიშროების დარგში.

წინასწარ გამაფრთხილებელ ზომების მიუღებლობა შრომის უშიშროების ტეხნიკის დარგში ამ უკანასკნელ წლებში აძლიერებს სამრეწველო ტრავმატიზმს (უბედურ შემთხვევებს). იმის გამო, რომ წარმოებაში ახალი, ნაკლებ გაჩვეული მუშების საგრძნობი კადრების ჩაბმა ხდება, მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში საგრძნობლად გაიზარდა უბედურ შემთხვევათა რიცხვი. სამრეწველო ტრავმატიზმის საკითხებს ყოველთვის სათანადო ყურადღება არ ექცევა, უბედურ შემთხვევების აღრიცხვა და განსაკუთრებით მათი მიზეზების შესწავლა ვერ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული; დამუშავებული სტატისტიკური ცნობები არსებითად ჩვენ აქამდე არ მოგვეპოვება.

არსებულ მასალების მიხედვით, უბედურ შემთხვევების მიზეზს მეტ წილად წარმოადგენს თვით მშრომელთა გაუფრთხილებლობა, გამოუცდელობა და მუშების მიერ სამუშაოს სათანადო გაუცნობლობა. ეს იმას მოწმობს, რომ ქარხნების ადმინისტრაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამ საკითხებს, სუსტად ხდება მშრომელთათვის ინსტრუქტორების მიწოდება სამუშაო მექანიზმთან გასაცნობლად; ეს აგრეთვე მოწმობს, რომ მუშებს ელემენტარული წარმოდგენა არ აქვთ ტრავმატიზმზე.

ამჟამად, როცა ხდება სამრეწველო დაწესებულებების ტეხნიკური რეკონსტრუქცია, როცა ხდება ძველი წარმოებების გადაკეთება და ახლების აგება, როცა იწყება კაპიტალისტური მშენებლობის ხანა,—დიდი მნიშვნელობა ეძლევა გამაფრთხილებელ მეთვალყურეობის საკითხს. ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგების ან წარმოებათა კაპიტალურ გადაკეთების დროს საჭიროა წინასწარ გათვალისწინებულ იქნეს შრომის დაცვის პირობები.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სამრეწველო მშენებლობის ზრდის და ძირითადი კაპიტალის განახლების პირობებში მომავალი მუშაობის სიმძიმის ცენტრი შრომის დაცვის დარგში გადატანილი უნდა იქნეს უშიშროების ტეხნიკის გასაფართოებლად ძირითად ღონისძიებათა შემუშავებაზე და განხორციელებაზე; საჭიროა აგრეთვე ეს ღონისძიებანი შეთანხმებული იქნენ განვითარების გზაზე დამდგარ წარმოების მოთხოვნილებებთან და მრეწველობის აღდგენის გეგმასთან. კერძოდ, სათანადო ღონისძიებებმა შრომის დაცვის საქმეში თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვონ მრეწველობის განვითარების საპერსპექტივო გეგმაში.

შრომის პირობების გაუმჯობესებით ჩვენ არა თუ ვიცავთ მშრომელების, სახელმწიფო მრეწველობის ძირითად აქტივის ჯანმრთელობას, არამედ აგრეთვე ვქმნით ახალ წყაროებს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სამეურნეო ორგანოებმა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება შრომის დაცვის საკითხებისადმი.

მოსკოვი, 28 ნოემბერი.

მოლაპარაკება რაიონული შეთანხმებების შესახებ ინგლისში

ჩან-ძო-ლინი ერიდება ბრძოლის დაწყებას კანტონის ჯარებთან.—გადადგა პეკინის მთავრობა

მოძრაობა უცხოელების წინააღმდეგ ხანკოუში.—4 დეკემბრისათვის დანიშნულია საყოველთაო გაფიცვა

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში მოელიან დამოკიდებულების კიდევ უფრო გამწვავებას სეიმსა და მთავრობას შორის

მემაღაროეთა გაფიცვა

მდგომარეობა რაიონებში

ლონდონი, 29 ნოემბ. ნორტუმბერლენდის მემაღაროეთა დიდმა უმრავლესობამ დაადგინა აწარმოონ მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ იმ პირობების საფუძველზე, რომელიც მაღაროების პატრონებმა წარმოადგინეს (7-ნახევ. საათის სამუშაო დღე და სხვ.).

საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ სამ მსხვილ სანახშირო რაიონს: სამხრეთ უელსს, იორკშირს და დერგეიმს. დანარჩენ ადგილებში წინადადება რაიონულ შეთანხმებების შესახებ მემაღაროეებმა მოიწონეს. გაზეთები იტყობინებიან, რომ მოლაპარაკება სამხრეთ უელსში, იორკშირში და დერგეიმში რამოდენიმე დღის შემდეგ განახლდება. გარდა იორკშირისა, ნოტინგემშირის დერბიშირისა, სადაც მოსალოდნელია დათმობანი სამუშაო საათების საკითხის შესახებ, შეთანხმებებს საერთოდ საფუძვლად დაედება რვა საათის სამუშაო დღე. ზოგიერთ რაიონში გათვალისწინებულია მუშაობის ვადის შემცირება შაბათობით.

ამჟამად უკვე მუშაობს 441.000 მემაღაროე, მაშასადამე, უკანასკნელ კვირაში 60.000 კაცი შეუდგა მუშაობას. (ადს)

ლონდონი, 29 ნოემბერი. მემაღაროეთა შოტლანდიის სადელეგატო კონფერენციამ წინადადება მისცა მემაღაროებს დაუყონებლივ განაახლონ მუშაობა, სადაც კი შესაძლებელი იქნება. კონფერენცია დაეთანხმა მაღაროს მეპატრონეთა მიერ წამოყენებულ პირობებს, რომელიც ითვალისწინებს მაღაროებში მომუშავეთათვის 48 საათის მუშაობას კვირაში და მიწის ზევით მომუშავეთათვის კი 49 საათის მუშაობას.

1927 წლის აპრილამდე ძალაში რჩება გაფიცვამდე არსებული ხელფასის განაკვეთები.

ლანკაშირის მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ მიიღო მაღაროს მეპატრონეთა წინადადებანი: 8 საათის სამუშაო დღე და გაფიცვამდე არსებული სამუშაო ხელფასი რჩება 1927 წლის ივნისამდე.

დერგეიმში მემაღაროეთა ფედერაციის ადგილობრივი აღმასკომი შეეცადა, რომ მაღაროს მეპატრონეებს შეეცვალათ მათ მიერ წარდგენილი პირობები, მაგრამ მაღაროს მეპატრონეებმა უარი განაცხადეს რაიმე ცვლილების შეტანაზე. მოხდება მემაღაროეთა რეფერენდუმი.

ნორტუმბერლენდში მემაღაროეთა შორის კენჭის ყრის შედეგები ასეთია: მაღაროს მეპატრონეთა წინადადებას ხმა მისცა 6.288, წინააღმდეგ კი 6.251. მემაღაროენი მუშაობას ანახლებენ შემდეგ პირობებში: მიწის ქვეშ მომუშავეთათვის 7½ საათის სამუშაო დღე, მემაღაროეთა დანარჩენი კატეგორიისათვის კი—8 საათის სამუშაო დღე, ხელფასის შემცირება ყველა კატეგორიის მემაღაროეთათვის 10 პროცენტით.

დერბიშირში მემაღაროეთა სარაიონო ფედერაცია დასთანხმდა მაღაროს მეპატრონეთა პირობებზე და წინადადება მისცა მემაღაროებს, რომ განაახლონ მუშაობა.

სამხრეთ-უელსში, იორკშირში, ისე როგორც დერგეიმში, ჯერ არ მომხდარა შეთანხმება მემაღაროებსა და მაღაროს მეპატრონეებს შორის. (ადს).

პილსუდსკი და სეიმი

იმედები არ გამართლდა

ვარშავა, 28 ნოემბერი. გაზეთ „კურიერ პორანის“ ცნობით, მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა შეიტანოს სეიმში განსახილველად კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ.

ამგვარათ მემარცხენე პრესის იმედები, რომ მთავრობა თვითონვე იტყვის უარს ამ კანონზე და არ შეიტანს მას სეიმში, არ გამართლდა.

ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ წრეებში ახალ გართულებებს მოელიან მთავრობის და სეიმის დამოკიდებულებაში. (ადს).

„კურიერ პორანი“ უარყოფს

ვარშავა, 28 ნოემბერი. „კურიერ პორანი“ ავტორიტეტულ წყაროებიდან იტყობინება, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს პილსუდსკი ვილნოში მოლაპარაკებას აწარმოებდეს ლიტვის მთავრობის წარმომადგენლებთან, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ამასთანავე ერთად გაზეთი ადასტურებს, რომ **პილსუდსკი აწარმოებს მოლაპარაკებას ბელორუსთა უმცირესობის წარმომადგენლებთან.** „ვილენსკოე სლოვო“ და „კურიერ პოლსკი“ ირწმუნებიან, რომ პილსუდსკის გამგზავრების ერთად ერთი მიზანია გროდნოს და ვილნოს სამხედრო ოლქების რეორგანიზაცია. (ადს).

150 უკრაინელის გასამართლება

ვარშავა, 28 ნოემბერი. **15 ნოემბერს ვლადიმირ—ვოლინსკში დაიწყო 150 უკრაინელის საქმის გარჩევა.** უკრაინელებს ბრალდებათ დასავლეთ უკრაინის კომპარტიის წევრობა და სამხედრო აჯანყების მომზადება ვოლინის პოლონეთზე ჩამოშორების მიზნით.

ბრალდებულთა ნაწილმა უარი სთქვა თავის წინანდელ ჩვენებებზე, რომლებიც მათ **ძალდატანებით ჩამოართვეს.** 26 ნოემბერს ბრალდებულთ და სასამართლოს შორის წამოიჭრა კონფლიქტი, რომელიც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ **პროცესზე გამომჟღავნდა შემთხვევები, როცა პოლიცია სცემდა პატიმართ. კონფლიქტი დემონსტრაციათ გადაიქცა.** ყველა ბრალდებულები მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერას: „სიკვდილი მტარვალთ“.

სასამართლოს სხდომა შეწყდა. პროცესი, საერთო აზრით, მეტად მძიმე ატმოსფერაში მიმდინარეობს. **ქალაქი სავსეა პოლიციით და საიდუმლო აგენტებით.** დაპატიმრებული არიან მთელი რიგი მოწმეების. ბრალდებულებს მხნეთ უჭირავთ თავი. (ადს).

საალყო წესები გრძელდება

ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში

ანგორა, 28 ნოემბერი. ანგორისა და სტამბოლის გაზეთები მოწინავე წერილებს უძღვნიან მეჯლისის დადგენილებას, რომლითაც ერთი წლის ვადით გრძელდება სამხედრო-წესები ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში. წერილებში აღსანიშნავია, რომ **მთავრობამ აღმოსავლეთში უკვე მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს იმით, რომ გადაასახლა მემამულენი და ფეოდალები და მოსპო ბანდიტიზმი.** მაგრამ ვინაიდან რეჟიმის დამთავრება მოკლე ხანში შეუძლებელია, ამიტომ საჭირო გახდა სამხედრო წესების გაგრძელება. გაზეთები აცხადებენ, რომ მორიგ ამოცანას წარმოადგენს, ოსმალეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებში კარგი სახელმწიფო აპარატის შექმნა. (ადს).

ჩინეთის ხალხის ბრძოლა

მდგომარეობა ხანკოუში

ლონდონი, 29 ნოემბერი. **რემზაი-მაკდონალდმა** თემთა პალატაში შეკითხვა მისცა ჩემბერლენს ხანკოუში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ **უკანასკნელი კვირის განმავლობაში ადგილი აქვს მდგომარეობის სერიოზული გართულებას და, როგორც ჩანს, დაიწყო სერიოზული მოძრაობა უცხოელების წინააღმდეგ.** 21 ნოემბერს დაარსდა ჩინეთის საბაჟოების დაბალ მოსამსახურეთა კავშირი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი მიზანია უცხოელების განდევნა და საბაჟოებზე წმინდა ჩინური კონტროლის დაწესება. საბაჟოს კომისარს იმედი აქვს, რომ შესაძლებელია, საბაჟოების დახურვა არ შეიქნეს საჭირო, მაგრამ მუშაობის გაგრძელება მეტად ძნელი იქნება.

საბაჟო, რომელიც ქალაქის ჩინურ ნაწილში იმყოფება, გარშემორტყმულია ინგლისის რაზმების მიერ.

უკანასკნელი ცნობებით, მდგომარეობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა. კავშირმა წამოაყენა მოთხოვნილებები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია, თუმცა ადვილათ შეიძლება, ეს მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყოს.

ამავე დროს **საყოველთაო გაფიცვა სწრაფად იზრდება.**

ჩინელები, რომლებიც **იაპონელების სამსახურში იმყოფებიან, უკვე გაიფიცენ.** განსაკუთრებულ როლს გაფიცვაში, ჩემბერლენის განცხადებით, თამაშობენ კომუნისტები, რომლებიც გაფიცვას ზურგს უმაგრებენ.

შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისის კოლონიისაგან ხანკოუში მიიღო ცნობა. რომელშიაც აღნიშნულია, რომ **მდგომარეობა ძალიან სერიოზულიაო.** ისინი ყოველდღე სისხლისმღვრელ ინციდენტების მოლოდინში არიან. ხანკოუში მყოფი ინგლისის საზღვაო ძალები არ არის საკმარისი ინგლისელთა ინტერესების დასაცავად, და ამიტომ კოლონია სთხოვს მთავრობას დაპირებას, რომ თუ საჭირო გახდება, ის დროზე მიაწვდის დახმარებას. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მთავრობა იხილავს ამ მიმართვას.

ლონდონის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ხანკოუს დაცვა არ არის ძნელი, მიუხედავათ იმისა, რომ ის 800 მილით არის დაშორებული მდინარე იანსეს შესართავიდან და რადგან ამ ადგილზე მდინარეს განი აღწევს ერთ ნახევარ მილს, მაშასადამე თავისუფლად შეუძლია სვლა შედარებით დიდ სამხედრო გემებს. (ადს).

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში

ლონდონი, 29 ნოემბერი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, **მომავალ შაბათს მოსალოდნელი საყოველთაო გაფიცვა და ბოიკოტი, რომელიც შეეხება უცხოელთა სამსახურში მყოფ ყველა ჩინელსაც.** სხვადასხვა კონცესიებში მოწყობილია პოლიციელთა რაზმები და მიღებულია ზომები სურსათ-სანოვაგის დაუბრკოლებლად მისაღებად. (ადს).

ჯარების გადაჯგუფება

პეკინი, 28 ნოემბერი. იაპონიის პრესა იუწყება, რომ **გრძელდება მზადება მუკდენის ჯარების სამხრეთისაკენ გადასაჯგუფებლათ. ტიან-ძინში უკვე გაიგზავნა სამი საარტილერიო პოლკი.**

მეორეს მხრივ გაზეთების ნაწილი ამტკიცებს, რომ ჩჟან-ძო-ლინმა ზოგიერთი გენერლების ზეგავლენით, კერძოთ თავისი შტაბის უფროსის იან-იუ-ტინის რჩევით, **შესცვალა თავისი გეგმა და გადასწყვიტა დროებით გადასდოს შეიარაღებული შეტაკება კანტონის ჯარებთან და არ გადასხას ჯარები იან-ძის მდინარეზე.**

პრესის ცნობით, **კანტონის ჯარებმა ხენანის პროვინციაში დაიკავეს სინ-იანი.** (ადს).

ბელგიელთა უფლებები

პეკინი, 28 ნოემბერი. პეკინის მთავრობამ აცნობა ბელგიის კონსულებს, ჩინეთში, რომ მომავალში მათ არ შეუძლიათ სასამართლოს ფუნქციების შესრულება.

ჩინეთის მთავრობის ეს ნაბიჯი უდრის ბელგიელთა ექსტერიტორიალობის გაუქმებას. (ადს).

რწმუნების სიგელის ჩაბარება

პეკინი, 28 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ახალმა წარმომადგენელმა **ჩერნიხმა** პეკინის მთავრობას ჩააბარა რწმუნების სიგელი. (ადს).

მთავრობის გადადგომის წინ

პეკინი, 28 ნოემბერი. **პეკინის მთავრობამ ხელახლა გადასწყვიტა გადადგეს.** ამის მიზეზია, როგორც სჩანს, ის, რომ **ჩჟა-ძო-ლინმა შესცვალა თავისი წინანდელი გეგმა კანტონზე დაუყოვნებლივ გალაშქრების შესახებ.** (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის ბიუჯეტი

პრაღა, 28 ნოემბერი. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტმა დაამტკიცა 1927 წ. სახელმწიფოს ბიუჯეტი. გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა პირველად მისცეს ხმა ბიუჯეტის ცალკე მუხლებს, ნაციონალ-სოციალისტების ხმის მიცემას მთლიანად მთელი ბიუჯეტისათვის, ყველა წრეებში აფასებენ ისე, როგორც სამზადისს მთავრობაში შესვლისათვის. (ადს).

სამთა თათბირი

ლონდონი, 28 ნოემბ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 2 დეკემბერს პარიზში მოხდება ჩემბერლენის, ბრიანის და პუანკარეს შეხვედრა. (ადს).

ლოიდ-ჯორჯის ოპტიმიზმი

ლონდონი, 29 ნოემბ. ლოიდ-ჯორჯი ოპტიმისტურად უყურებს ლიბერალური პარტიის მომავალს, მიუხედავად პარტიაში წარმოშობილ ახალ უთანხმოებისა, რაც შედეგად მოჰყვა იმ გარემოებას, რომ ასკვიტის სექციამ არ მიიღო პარტიის მიზნებისათვის ლოიდ-ჯორჯის ფონდის გამოყენების პირობები. ლოიდ-ჯორჯმა გუშინდელ კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მომავალ პარლამენტში ლიბერალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებათ და რომ მუშათა პარტია ძალა-უფლებას ხელში ვერ აიღებს, თუ მას ლიბერალებმა მხარი არ დაუჭირეს. (ადს).

მუშათა ბრძოლა

ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 28 ნოემბერი. მაღაროს მეპატრონეებმა უარყვეს სამთამადნო მუშათა გაერთიანებულ კავშირების მოთხოვნილება სიძვირის გამო ხელფასის მომატების შესახებ.

გაერთიანებულ კავშირების კონფერენციამ განიხილა შექმნილი მდგომარეობა და გამოიტანა მთელი რიგი გადაწყვეტილებათა სამთამადნო მუშათა ყველა კავშირების გაერთიანებულ გამოსვლის შესახებ. (ადს).

გერმანიაში

ბერლინი, 28 ნოემბერი. საქსონიაში და ტიურინგიაში საქსოვი **ფაბრიკების მეპატრონეთა კავშირმა გაფიცვის გამოცხადებისათვის დაითხოვა ზოგიერთი ფაბრიკის მუშები.** მეპატრონეთა კავშირი იმუქრება, რომ ახლო მომავალში საქსონიის და ტიურინგიის მუშებს გამოუცხადებენ ლოკაუტს.

სამსახურიდან დათხოვნა მოელის 2.000 მუშას. (ადს).

საბჭოთა პრესა

რღვევის ნიშნები

საიმპერიო კონფერენციამ ცხადყო ინგლისის კოლონიალურ იმპერიის სრული დაშლის მოახლოვება. თუ წინად დომინიონები ლონდონის მთავრობას ემორჩილებოდენ, ამიერიდან, კონფერენციის დადგენილებით, ბრიტანეთის იმპერია უნდა წარმოადგენდეს თვითმართველ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელნიც სავსებით თანასწორი არიან უფლებებში და ერთმანეთს ოდნავადაც არ ემორჩილებიან შინაურ თუ საგარეო პოლიტიკის არც ერთ დარგში. ლონდონის გენერალ-გუბერნატორების როლი დომინიონებში არარაობამდეა დაყვანილი, ისინი მეფის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლად რჩებიან. დომინიონებს უფლება ეძლევათ დამოუკიდებელი წარმომადგენლები იყოლიონ სხვა ქვეყნებში თუ საერთაშორისო კონფერენციებზე. კერძოდ ხაზგასმულია, რომ დომინიონები შემდეგისათვის მხოლოდ საკუთარი თანხმობით იკისრებენ რაიმე საგარეო-პოლიტიკურ ვალდებულებებს, რაც ნიშნავს ბრიტანეთის დიპლომატიის როლის უაღრესად შემცირებას საერთაშორისო პოლიტიკაში. ეხება რა ყველა ამას „იზვესტია“ წერს:

„საიმპერიო კონფერენციამ ამგვარად აღნიშნა პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ის დონე, რომელსაც ამჟამად მიაღწია ბრიტანეთის იმპერიის ცალკე ნაწილებმა. მან მისცა წერილობითი იურიდიული ჩამოყალიბება პროცესს, რომელიც ვითარდებოდა და ვითარდება დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზმის წიაღში. ეს პროცესი არ არის დამთავრებული, ვინაიდან ბრიტანეთის იმპერიის ცენტრმსრბოლი ძალები განაგრძობენ თავის დამშლელ მუშაობას. ინგლისის ხელისუფლების სათავეში მდგარ კონსერვატიულმა პარტიამ ვერ მოახერხა შემაკავშირებელ ძალების გამონახვა, რომლითაც შეიძლებოდა დაშლის პროცესში მყოფ იმპერიის შენობის შემაგრება. ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების შეუწყვეტელი ზრდა, თვით დომინიონების ინდუსტრიალიზაციის პროცესი, ინგლისის სახალხო მეურნეობის პროგრესიული დაცემა და ამასთან შეფარდებით დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო როლის შემცირება,—აი ის პროცესები, რომლებიც ბრიტანეთის იმპერიის ცალკე ნაწილებს აუცილებლათ მიაქანებენ პოლიტიკურ განკერძოებისაკენ.

მემაღაროეთა გაფიცვა, რომელმაც ძირი გამოუთხარა ინგლისის სახალხო მეურნეობას, ნაციონალური რევოლიუცია ჩინეთში, რაც ემუქრება დიდი ბრიტანეთის იმპერიის ძირითად კოლონიალურ ინტერესებს, და საიმპერიო კონფერენცია, რომელიც იურიდიულ ჩამოყალიბებას აძლევს ბრიტანეთის იმპერიის ცალკე ნაწილების ცენტრმსრბოლ მისწრაფებებს,—ასეთია საერთაშორისო პოლიტიკასა და მსოფლიო მეურნეობაში დიდი ბრიტანეთის როლის შეუჩერებელი დაცემის საერთო სურათის ცალკე მხარეები“.

რა თქმა უნდა, ინგლისის იმპერიალიზმის კლანჭებში მოქცეულ ქვეყნებს ჯერ კიდევ დიდი და ხანგრძლივი ბრძოლის გადატანა მოუხდებათ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მართალია, დომინიონები ამ მხრივ მიზანს დაუახლოვდნენ, მაგრამ მრავალრიცხოვანი კოლონიალური ხალხები ჯერ ისევ უფლება აყრილი არიან. განმათავისუფლებელი მოძრაობა იქ ბოლო წლებში ძლიერდება. ინგლისის კაპიტალიზმის დაუძლურება, რის მოწმენი ჩვენა ვართ, ლონდონის ხელქვეით [illegible] თავისუფლების უტყუარი [illegible]

ლონდონის კრემატორიუმში

დასწვეს ამხ. კრასინის ცხედარი

უკანასკნელი გზა

ლონდონი, 28 ნოემბერი. 27 ნოემბერს კრასინის ცხედარი კრემატორიუმამდე მიაცილა 8.000 კაცმა. კუბოს უკან მიჰყვებოდენ კრასინის ქვრივი, მისი ბავშვები, სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომელნი, ინგლისის მუშათა მოძრაობის წარმომადგენელნი, ლონდონის ყველა საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი და მრავალი ინგლისის მუშები. პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდენ პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარე **ხიკსი,** გენსაბჭოს წევრები **პერსელი, ფინდლეი, ბენ-ტილეტი. კლაინსი, კუკი და ლენსბერი,** ინგლისის კომპარტიის წარმომადგენლები **ინკპინი, მაკ-მანუსი, კემპბელი, საკლატვალა, ტომბანი და სხვები...**

კრემატორიუმის დარბაზში წარმოთქმულ იქნა სიტყვები.

ამხ. როზენგოლცის სიტყვა

სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩეველმა **როზენგოლცმა** თავის სიტყვაში დაახასიათა კრასინის მუშაობა ინგლისში და საფრანგეთში და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს დიდი სამსახური გაუწია განსვენებულმა მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცების საქმეში

კლაინსის სიტყვა

კლაინსმა ღრმესი მწუხარება გამოსთქვა კრასინის უდროვოდ გარდაცვალების გამო და განაცხადა, რომ განსვენებულმა უდიდესი პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა ინგლისის ყველა კლასებში.

„ჩვენ გულწრფელად გვსურს, სთქვა კლაინსმა, რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ განსვენებულის დიად სამშობლოსა და ჩვენს ქვეყანას შორის. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კრასინის მემკვიდრე წარმატებით შეასრულებს უდიდეს ამოცანებს, რომლებიც მას ხვდება წილად“.

ხიკსის სიტყვა

ინგლისის პროფმოძრაობის სახელით ხიკსმა განაცხადა, რომ კრასინის მიერ შესრულებული საქმეს კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს. ინგლისის მუშები კრასინს დასტირიან საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად.

ამხ. ხინჩუკის სიტყვა

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ინგლისში **ხინჩუკმა** განაცხადა, რომ კრასინი იყო არა მარტო ჩვეულებრივი რევოლიუციონერი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ ის იყო აგრეთვე საუკეთესო ამხანაგი და მშვენიერი ადამიანი.

ამხ. კემპბელის სიტყვა

ინგლისის კომპარტიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ცეკას წევრმა **კემპბელმა,** რომელმაც განაცხადა:

„ენა უძლურია იმ მწუხარების გადმოსაცემად, რომელსაც განიცდიან არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხები, არამედ მთელი ქვეყნის მუშათა კლასიც. კრასინმა მთელი თავისი სიცოცხლე მუშების საქმეს შესწირა და მისი ენერგია ერთი წუთითაც არ შესუსტებულა. მისი დაუშრეტელი ენერგია და უდიდესი ნიჭი მან სავსებით მუშათა კლასის საქმეს მოახმარა“.

ლენსბერის სიტყვა

ლენსბერიმ განაცხადა: „კრასინმა თავის ბრძოლით სავსე სიცოცხლეში უდიდესი მუშაობა შეასრულა. საქმე, რომლისთვისაც კრასინი ცხოვრობდა, უკვდავია“.

შემდეგ ხორომ შეასრულა: „თქვენ მსხვერპლი გახდით“.

უკანასკნელი — „მშვიდობით“

უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი სიტყვა უთხრა **როზენგოლცმა:** „იძინე მშვიდათ, ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო. იძინე მასწავლებელო. ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით განვაგრძობთ შენს საქმეს“.

ამის შემდეგ კუბო მიიმალა ღუმელის კარებში.

ამხ. კრასინის ნეშტი ბერლინში

ბერლინი, 28 ნოემბერი. ზღვაზე ქარიშხალის გამო გემმა დაიგვიანა და ამიტომ ვერ მოესწრო ურნის გაგზავნა ამხ. კრასინის ნეშტით პირდაპირი მატარებლით მოსკოვში. ნეშტი ბერლინიდან მოსკოვში გაიგზავნება 29 ნოემბერს. ბერლინში მატარებლის დასახვედრათ სადგურზე აუარებელი მუშები შეხვდენ. ამხ. პიკის და **ლევის** სიტყვების შემდეგ შეგროვილი ხალხი დაიშალა.

ამხ. კრასინის ნეშტს, რომელიც ბერლინში ჩამოტანილ იქნა საღამოს მატარებლით, დახვდენ ამხ. **კრესტინსკი, ბეგგო, ბერზინი, ვულფსონი** და ბერლინში მყოფი საბჭოთა კოლონიების მრავალი წარმომადგენელნი. ცხედარი იმყოფება საბჭოთა კავშირის საელჩოში. ცხედართან არის საპატიო ყარაული.

29 ნოემბერს საელჩოში შესდგება სამგლოვიარო ცერემონია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის წარმომადგენელნი და დიპლომატიური კორპუსი, რის შემდეგაც ნეშტი გადატანილ იქნება სადგურზე.

კომპარტიის და ყოფილ ჯარისკაცთა კავშირის ბერლინის ორგანიზაციები შეიკრიბებიან ლიუსტგარტენში, საიდანაც ისინი მონაწილეობას მიიღებენ სამგლოვიარო მსვლელობაში. (ადს).

უცხოეთის წარმომადგენლების სამძიმარი

ავღანისტანის ელჩის სამძიმარი

მოსკოვი, 29 ნოემბერი. ავღანისტანის ელჩმა საბჭოთა კავშირში **მირზა-მუხამედ-ხანმა** გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს თანაგრძნობა გამოუცხადა კრასინის გარდაცვალების გამო.

იაპონიის ელჩის სამძიმარი

თანაგრძნობა გამოსთქვეს აგრეთვე იაპონიის ელჩმა საბჭოთა კავშირში **ტანაკამ** და ჩინეთის საქმეთა რწმუნებულმა **ჩონ-გუნ-შიმ.** (ადს).

მონღოლეთის მთავრობის თანაგრძნობა

მოსკოვი, 29 ნოემბერი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს მონღოლეთში **ნიკიფოროვს** ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა კრასინის გარდაცვალების გამო. (ადს).

სპარსეთის სამძიმარი

მოსკოვი, 29 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო დეპეშა სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან, **ალიგოლი-ხანა ანსალისაგან,** რომელშიაც ის თხოულობს გადაეცეს საბჭოთა კავშირის მთავრობას ულრმესი მწუხარება ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო.

ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავად

სამგლოვიარო სხდომა მოსკოვის დიდ თეატრში

მოსკოვი, 29 ნოემბერი. 28 ნოემბერს დიდ თეატრში გაიმართა საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს, რ. ს. ფ. ს. რ. ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს, სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს, მოსკოვის პროფსაბჭოს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავი სამგლოვიარო სხდომა. საღამოს 6 საათისათვის თეატრის დარბაზი, მორთული სამგლოვიარო არშიებით, უკვე სავსეა დამსწრეებით. ტრიბუნის სიღრმეში საბჭოთა ღერბზე—ამხ. კრასინის სურათი. დიპლომატიურ ლოჟაში სხედან უცხოეთის მისიების წარმომადგენლები. პრეზიდიუმის მაგიდას უზის ამხ. **რიკოვი, ენუქიძე, რუძუტაკი, ლიტვინოვი, ლეჟავა, ელიავა, ბაზილევიჩი,** და სხვ.

ამხ. ენუქიძის სიტყვა

სამგლოვიარო სხდომას ხსნის ამხ. **ენუქიძე,** რომელიც ამბობს:

„ამ უკანასკნელ ხანებში ულმობელმა სიკვდილმა გამოგლიჯა ჩვენს რიგებს საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის მთელი რიგი დიდი მოღვაწენი. ჯერ არ განელებულა ძერჟინსკისა და ფრუნზეს სიკვდილით მოყენებული მწუხარება, რომ უკვე დავკარგეთ სახელმწიფო და პარტიული მშენებლობის ერთი გამოჩენილი მონაწილე, ამხ. კრასინი. კრასინი ეკუთვნოდა 70-ან და 80-ან წლების რევოლიუციონერთა სახელოვან დასს. ის იყო იმ პერიოდის საუკეთესო რევოლიუციონური ტრადიციების ერთ-ერთი მატარებელი. ის აღსავსე იყო რევოლიუციონური რწმენით და მთლიანად შეეწირა კიდეც პროლეტარიატს.

ის იყო მარქსიზმის საუკეთესო მცოდნე, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი აღმშენებელი. მისი სახით პარტიამ დაკარგა დიდი ლენინის ერთი ახალი თანამებრძოლთაგანი, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ—მეცნიერების გამოჩენილი მუშაკი, ადამიანი, რომელმაც საქმით დაამტკიცა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული მეცნიერების კავშირი ოქტომბრის საქმესთან. დიპლომატიამ კრასინის სახით დაკარგა ადამიანი, რომელიც დიდის პატივით წარმომადგენლობდა ჩვენს ქვეყანას და ყველგან ახერხებდა მისი ინტერესების დაცვას. ასეთი ადამიანის დაკარგვა უაღრესად საგრძნობია ყველა ჩვენთვის. ფეხზე ადგომით ვცეთ პატივი ამხ. კრასინის ხსოვნას“.

ყველა ფეხზე დგება. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს. შემდეგ, საკავშირო მთავრობისა და საკ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას სახელით გამოდის ამხ. **რიკოვი.**

ამხ. სემაშკოს სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო, რომელიც თავის სიტყვაში ვრცლათ შეჩერდა ამხ. კრასინის ავადმყოფობის ისტორიაზე:

„ავადმყოფობის პირველი ნიშნები, უდროოთ გარდაცვლილ ამხ. კრასინს—ამბობს ამხ. სემაშკო,—აღმოაჩნდა გასული წლის ნოემბერში. 1925 წლის ნოემბერში ამხ. კრასინს დაემართა კუჭ-ნაწლავების აშლა. ანალიზმა გამოარკვია, რომ ავადმყოფობა გამოწვეულია ავზნიანი სისხლნაკლულობით. ეს ავადმყოფობა, უმრავლეს შემთხვევაში განუკურნებელი და სასიკვდილოა და იმით დაავადმყოფება განსაკუთრებით საფრთხილო იყო კრასინისთვის, რომლის ორგანიზმიც მოღალა ხანგრძლივმა რევოლიუციონურმა მუშაობამ“.

ამხ. სემაშკოს სიტყვის შემდეგ ორკესტრმა შეასრულა ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის პირველი ნაწილი. შემდეგი სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლიტვინოვი.**

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

— ამხ. კრასინთან, სთქვა ლიტვინოვმა, მე მაკავშირებს მრავალი წლების მეგობრობა და ერთად არალეგალური მუშაობა. მე ყოველთვის აღტაცებული და გაკვირვებული ვიყავი ამ კაცის დიდი გაქანებით და ჭკუით. კრასინის ნიჭის მრავალფეროვანებას სრულიად შეეფერებოდა ის რწმუნებანი, რომელსაც მას აძლევდა საბჭოთა ხელისუფლება. სხვა ვერავინ შეიძლებდა იმ ამოცანების ისე შესრულებას, როგორც კრასინი ასრულებდა მინდობილ საქმეებს. კრასინს დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა მთავრობასა და ინგლისის მთავრობათა შორის დამოკიდებულების მოგვარებაში. უკანასკნელ ხანებში იგი ძალიან შეწუხებული იყო, რომ ავათმყოფობა მას არ აძლევდა საშუალებას მთელის არსებით ემუშავნა ამ ასპარეზზე. მას იმედი ჰქონდა მორჩენის და ფიქრობდა დაბრუნებოდა იმ საქმეს, რომლის შესრულების რწმენა მას ბოლომდე შერჩა. მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა—კრასინი აღარ გვყავს.

დიდია ამხ. კრასინის დამსახურება არა მარტო საბჭოთა პროლეტარიატის, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის მიმართაც. ჩვენ, მისი თანამებრძოლები, გულში ჩავიმარხავთ მასზე საუკეთესო ხსოვნას, ხოლო მომავალი ისტორიკოსები დიდის ინტერესით შეუდგებიან, ამ შესანიშნავი ადამიანის პიროვნების შესწავლას.

ამხ. კოტოვის სიტყვა

პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს სახელით მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. **კოტოვი,** რომლის სიტყვის შემდეგაც ორკესტრმა შეასრულა ვაგნერის სამგლოვიარო მარში.

ამხ. კრჟიჟანოვსკის სიტყვა

შემდეგი სიტყვა მიეცა საკავშირო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. **კრჟიჟანოვსკის.**

„სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახელით, სთქვა ამხ. კრჟიჟანოვსკიმ,—დავალებული მაქვს გადმოგცეთ ჩვენი მწუხარება და სამძიმარი ასეთი დიდი დანაკლისის გამო. რკინისებური მუშაკები ჩვენ ბევრი გვინდა და ეს გარემოება კიდევ უფრო აუნაზღაურებელს ხდის მის დაკარგვას. მაგრამ გვწამს, რომ ჩვენ შორის კიდევ არიან კრასინისებური ამხანაგები და ეს გვინერგავს რწმენას, რომ განსვენებულს შესცვლის მთელი პლეადა საუკეთესოდ მომზადებულ, მაღალ კვალიფიციურ მუშაკებისა“.

ინჟ. პაშკოვის სიტყვა

სამგლოვიარო სხდომა დასრულდა ინჟინერ **პაშკოვის** სიტყვით. პაშკოვი კრასინთან მუშაობდა 22 წლის განმავლობაში. თავის მოგონებაში მან აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც ითამაშა განსვენებულმა ინჟენერებს, ტეხნიკოსებს და მუშებს შორის ურთიერთობის მოგვარებაში ჩვენი განადგურებული მეურნეობის აღდგენის პირველ და მძიმე პერიოდში. (ადს).

საღამო ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 29 ნოემბერი. 28 ნოემბერს, კრემლში, ძველ ბოლშევიკების საზოგადოების კლუბში, გაიმართა ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ძველმა ბოლშევიკებმა, მოგონებებით კრასინზე გამოვიდენ **ფელიქს კონი, ენუქიძე, ლიადოვი,** [illegible], და სხვა. საღამოს გაგრძელება გადაიდო 5 დეკემბრისათვის. ორატორთა სიაში ჩაეწერენ შელგუნოვი, ლეჟავა, მიცკევიჩი, განეცკი, დეიჩი, კობოზევი და სხ. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესია

დანიშნულია 1926 წ. 10 დეკემბრისათვის აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ქალ. განჯაში

დღის წესრიგი:

1) აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება.
2) ამიერ-კავკ. საბჭოთა ფედ. სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობა.
3) განჯის სამაზრო აღმასკომის მოხსენება.
4) ამიერ - კავკ. საბჭოთა ფედ. სოციალისტური რესპუბლიკის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი.
5) მოსახლეობის საკავშირო აღწერის ამოცანები და მისი წარმატებით ჩატარების პირობები.
6) ამიერ - კავკ. ცაკის იმ დეკრეტების დამტკიცება, რომელნიც მიღებული იქნენ ამ.-კავკ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ ამ.-კავკ. ცაკის მეორე და მესამე სესიამდე.

ამიერ - კავკასიის ცაკის მდივანი— ა. შავერდოვი.

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის პარლამენტში

ლონდონი, 29 ნოემბერი. პარიზიდან მიღებული ცნობებით დეპუტატთა პალატამ დღეს დილით მიიღო სამხედრო ბიუჯეტი.

საფრანგეთი შეშინებულია

ლონდონი, 29 ნოემბერი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ საზოგადოებრივ წრეებში ადგილი აქვს ერთგვარ შიშს დეპუტატების ერთი ნაწილის—რადიკალ - სოციალისტების და კონსერვატიული ფრთის განცხადების გამო, რომ მუსოლინი სცდილობს დაუახლოვდეს გერმანიას, საფრანგეთის ინტერესების საწინააღმდეგოთ. გაზ. „ევრ"-ი სწერს, რომ მუსოლინი წინადადებას აძლევს შტრეზემანს, გაასწროს საფრანგეთ თანამშრომლობის საკითხში.

კაპიტალისტების მთლიანი ფრონტი

პარიზი, 29 ნოემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, ჩეხო-სლოვაკია უერთდება ფოლადის კარტელს.

სამხედრო აეროპლანების დაღუპვა

ბერლინი, 29 ნოემბერი. ჰელსინგფორსიდან მიღებულია დეპეშა, რომ იქ მოხდა ორი სამხედრო აეროპლანის დატაკება ჰაერში. დაიღუპა 4 მფრინავი.

ინგლისის შიში

ლონდონი, 29 ნოემბერი. „ტაიმსმა" გამოაქვეყნა მემორანდუმი-პროგრამა—მინიმუმი გერმანიის განიარაღების შესახებ. მემორანდუმი შესდგება 4 მუხლისაგან, სახელდობრ: თავდაცვის სამინისტროსათვის რეიხსვერის უფროსების დამორჩილება, ჯარში გაწვევისა და სამხედრო საზოგადოებების მოწესრიგება, კანტროლი იარაღისა და ამუნიციის გატანაზე და აღმოსავლეთ საზღვრებზე აგებულ ახალ სიმაგრეების დანგრევა. ბრიანმა სამხედრო ექსპერტებს გადასცა მემორანდუმი განსახილველად. ექსპერტების დასკვნა მოხსენდება მომავალ [illegible]. მარკერი „სენდეი პიქტორიალში" აცხადებს, რომ გერმანია ამზადებს თავდასხმას ინგლისის მრეწველობაზე. ეს თავდასხმა, გაზეთის სიტყვით, დიდი ბრიტანეთის არსებობასაც კი ემუქრება. (ადს).

გრიგალი

ნიუ-იორკი, 28 ნოემბ. არკანზასზე (შეერთებული შტატები) გადაიარა გრიგალმა. მოკლულია 50 კაცი, დასახიჩრებულია რამოდენიმე ასი. (ადს).

კანონპროექტი ცენზურის შესახებ

ბერლინი, 28 ნოემბერი. რეიხსტაგში დაიწყო განხილვა კანონპროექტისა ცენზურის შესახებ. კანონპროექტის წინააღმდეგი არიან არა მარტო პროლეტარული, არამედ მემარცხენე ბურჟუაზიული წრეებიც. (ადს).

ახალი მეტოქე

ლონდონი, 29 ნოემბერი. გერმანიის სანახშირო სინდიკატი აცხადებს, რომ ის არ დასთმობს ინგლისის სანახშირო გაფიცვის დროს მოპოვებულ ბაზრებს და განაგრძობს ბრძოლას მათ შესანარჩუნებლად. (ადს).

ინგლისის ელჩი სტამბოლში

ანგორა, 29 ნოემბერი. ინგლისის საელჩო ოსმალეთში, იუწყება, რომ ინგლისის ელჩი კლერკი ჩამოვიდა სტამბოლში თავის ცოლის შესახვედრად და მალე დაბრუნდება, ანგორაში, სადაც განაგრძობს მოლაპარაკებას ტევფიკ-რუშდი ბეისთან. (ადს).

ხანძარი აფხაზეთის ტყეებში

სოხუმი, 29 ნოემბერი. ამ უკანასკნელ დღეებში აფხაზეთში ტყეებს რამდენიმე ადგილას გაუჩნდა ცეცხლი. პირველ სატყეო უბანში, სოჭის სატყეოს საზღვარზე, პირველი პატარა ხანძარი გაჩნდა 25 ნოემბერს ღამით. გაგრაში 26 ნოემბერს დაიწყო დიდი ხანძარი. კოდორის მაზრაშიც იწვის ტყე; ცეცხლის ქრობაში მონაწილეობას იღებს მთელი მოსახლეობა.

ხანძარს დიდი ზარალის გამოწვევა შეუძლია. (ადს).

ჩინეთის მთავრობა გადადგა

ბერლინი, 29 ნოემბერი. გადადგა ჩინეთის კაბინეტი. მემორანდუმში არმიის ხელმძღვანელთა მიმართ კაბინეტი გადადგომის მიზეზად სთვლის—ფინანსიური საშუალებების დიდ ნაკლებობას. (ადს).

ხანძარი ბრუსაში

ლონდონი, 29 ნოემბ. სტამბოლიდან მიღებული ცნობით, ხანძარმა გაანადგურა ქალაქი ბრუსა, რომელიც სტამბოლიდან 57 მილის მანძილზე მდებარეობს. ამჟამად ბრუსაში 140.000 მცხოვრები ითვლება. ხანძარის დროს დიდძალი ხალხი დაიჭრა. დაიწვა 200 მაღაზია. ზარალი დაახლოვებით 250.000 გირ. სტერლინგს უდრის. (ადს).

„ჯავშნოსანი პატიომკინი"

სტოკჰოლმი, 28 ნოემბერი. ვინაიდან შვეციის ცენზურამ აკრძალა „ბრონენოსეც პოტიომკინის" ჩვენება, საზოგადოება „მუშათა კულტურამ" მოაწყო სურათის ჩვენება დახურულ კრებებზე. ფილმის დემონსტრაცია მოხდა სტოკჰოლმში, გეტებურგში და უპსალში ყველგან დიდის წარმატებით.

პოლიციამ ცენზურის მიერ აკრძალულ ფილმის „არალეგალურ" დემონსტრაციისათვის პასუხისგებაში მისცა საზოგადოება „მუშათა კულტურა". (ადს).

აჯანყება ალბანეთში

ვენა, 28 ნოემბერი. სკუტარის მიდამოებში მდგომარეობა მთავრობის ჯარების სასარგებლოთ შეიცვალა. აჯანყებულები კვლავ უკან იხევენ.

როგორც სჩანს, აჯანყება თანდათან ნელდება და პარტიზანულ გამოსვლების ხასიათს ღებულობს. (ადს).

ვენა, 28 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, ალბანეთში მთავრობის ჯარები სდევნიან აჯანყებულებს და ცეცხლს უკიდებენ მათ სოფლებს. აჯანყებულები მთებში გარბიან. (ადს).

მთავრობის ჯარების წინსვლა

ლონდონი, 29 ნოემბ. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სკუტარიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარებმა მეამბოხეებს წაართვეს ბუკაი და პრეკალი. ზოგიერთმა ტომმა მორჩილება განაცხადა და მთავრობას ჩააბარა იარაღი. (ადს).

ვეზუვი ამოქმედდა

რომი, 29 ნოემბერი. 28 ნოემბერს დაიწყო ვეზუვის დიდი ამოხეთქა. (ადს).

ნორვეგიელი მენშევიკები

ოსლო, 28 ნოემბერი. ჩამოვიდა ფრიდრიხ ადლერი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ნორვეგიის სოც. დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის მუშაობაში. პლენუმი მოწვეულია იმ მიზნით, რომ გამოიმუშაოს სოციალ - დემოკრატიის და ნორვეგიის მუშათა პარტიის - ტრანმელისტების გაერთიანების პირობები. (ადს).

აღმოსავლეთში

იტალიის იმპერიალისტები და აბისინია

იტალიის კოლონია ერიტრეა წარმოადგენს ნაწილს აბისინიის იმპერიისას. იტალიელებმა იგი ხელში ჩაიგდეს იმ დროს, როცა ევროპიელი იმპერიალისტები შავ კონტინენტს (აფრიკას) იყოფდენ. ვიწრო ზოლათ არის იგი დაჭიმული წითელი ზღვის გასწვრივ და ერთგვარ ზღუდეს წარმოადგენს ამ ზღვასა და იმპერიალისტების მიერ ყოველმხრივ ალყა შემორტყმულ ეფიოპიას (აბისინიას) შორის. მეორე ასეთივე იტალიური ბარიერი—იტალიური სომალი მდებარეობს ინდოეთის ოკეანის ნაპირებზე.

„საკმაო არის მიუდგომლათ გადაავლოთ თვალი გეოგრაფიულ რუქას, რათა ცხადი შეიქმნეს, რომ ჩვენი კოლონიები ერიტრეა და სომალი წარმოადგენენ მხოლოდ დასაყრდენ პოზიციებს იტალიის გავლენის შემდგომი გაფართოებისათვის",—ასე სწერდა იტალიის იმპერიალისტების ორგანო „იმპერო".

და მართლაც, ერიტრეა და სომალი იტალიის ბურჟუაზიისათვის მხოლოდ „დასაყრდენი პოზიციებია შემდგომი განვითარებისათვის", საფეხურებია, რომლებითაც იტალიის იმპერიალიზმი აპირებს გზის გაკაფვას უფრო ფართო და ნაყოფიერი ტერიტორიებისაკენ; ისინი მხოლოდ შესავალი კარებია ნეგუსების (ნეგუსი აბისინიის მეფეების სახელწოდებაა) იმპერიაში, რომელსაც დიდი ხანია გადაყლაპვას უპირებს იტალიის იმპერიალიზმი.

რატომ,—იკითხავს მკითხველი?

იტალიის იმპერიალისტებს თუ დაუჯერებთ, ეს გამოწვეულია იმით, რომ იტალიას ახრჩობს მოსახლეობის სიჭარბე და იგი იძულებულია გამოსძებნოს ტერიტორიები, სადაც ზედმეტი მოსახლეობა „თავშესაფარს" იშოვის.

რასაკვირველია, ეს არგუმენტი, რომელიც იტალიის იმპერიალისტებს ხშირათ მოჰყავთ, რომ გაამართლონ თავისი მტაცებლური პოლიტიკა, ყოვლად უსაფუძვლოა.

თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ერიტრეა იტალიის ხელშია და 1921 წ. აღწერით იქ მხოლოდ 4.283 იტალიელი ცხოვრობდა (ამ რიცხვში შედიან სამხედრო პირებიც და მოხელეებიც). ერიტრეას ადგილობრივი მოსახლეობა კი 400.000 უდრის. სომალიში კი ამავე ხნის განმავლობაში, მიუხედავათ ათასგვარი შეღავათებისა გადასახლდა მხოლოდ 600 კაცი (იტალიის სომალის მოსახლეობა 650.000 უდრის). ბრაზილიაში, არგენტინაში და შეერთებულ შტატებში ყოველწლიურათ სახლდება ათეული ათასი იტალიელი.

ამრიგად მოსახლეობის სიჭარბე აქ არაფერს შუაშია. იტალიის ბურჟუაზიას ესაჭიროება ნედლი მასალის წყაროები, ესაჭიროება ბაზარი თავისი მრეწველობის პროდუქციის გასასაღებლად და სხვ.

ბუნებრივია,რომ სუსტად დასახლებული და შედარებით ღარიბი ერიტრეა და სომალი თავისთავად ვერ დააკმაყოფილებს იტალიის იმპერიალიზმს, რომ იგი უყურებს მათ, როგორც „დასაყრდენ პოზიციებს" მდიდარი აბისინიის ხელში ჩასაგდებათ.

იტალია დიდი ხანია რაც აბისინიის კარებთან დგას და შესვლა ვერ მოუხერხებია. მაგრამ ეს როდია აიხსნება იმით, რომ მას საამისო სურვილი არ ჰქონდა.

პირიქით, იტალიამ ბევრი შრომა და ენერგია დახარჯა, რომ გამაგრებულიყო იქ. 1880 წ. იტალიამ დაიკავა ასსაბის ნავთსადგური, 1885 წ. კი მასსაუა—მნიშვნელოვანი ნავთსადგური წითელ ზღვაზე. 1887 წელს იფეთქა პირველმა ომმა იტალია - აბისინიას შორის. აბისინელები, რომლებიც ძლიერ ცუდათ იყვნენ შეიარაღებული და ამავე დროს ბრძოლა უხდებოდათ მეორე ფრონტზე—ე. წ. მაჰდისტურ მოძრაობასთან—იძულებული შეიქნენ დათმობაზე წასულიყვნენ. 1889 წ. უსიალში დადებული ხელშეკრულებით იტალიამ შეინარჩუნა ყველა დაპყრობილი ტერიტორიები (აწინდელი კოლონია ერიტრეა). ამავე ხელშეკრულების ძალით, აბისინიის საგარეო პოლიტიკაზე დაწესებული იქნა იტალიის კონტროლი. ამრიგად იტალიამ ფაქტიურად პროტექტორატი დაამყარა აბისინიაზე. ეს მდგომარეობა შემდეგ იცნო ინგლისმაც.

მაგრამ ევროპიელ იმპერიალისტებს სამარცხვინო საქმე დაემართათ. მათ დათვი არ მოეკლათ და ტყავს კი იყოფდენ. იტალიის აგრესიული პოლიტიკით აღშფოთებულმა აბისინიამ უარი სთქვა უსიალის ხელშეკრულებაზე. დაიწყო იტალია-აბისინიის მეორე ომი (1894—96 წ.წ.) რომელშიც იტალია სასტიკად დამარცხდა. ბრძოლაში ადუასთან, რომლითაც ფაქტიურად დამთავრდა ომი, იტალიელებმა დაჰკარგეს 7.000 კაცამდე. იტალია იძულებული შეიქნა ეცნო აბისინიის დამოუკიდებლობა.

მაგრამ ამ სასტიკმა დამარცხებამ აღმოსავლეთ აფრიკაში იტალიის იმპერიალიზმს არ დაუკარგა აბისინიის დაპყრობის სურვილი. იტალია ყოველ ხელსაყრელ მომენტში აგონებს ყველას თავის „ისტორიულ უფლებებს". თავის ბრძოლის დროს აბისინიის ხელში ჩასაგდებათ იტალიის იმპერიალიზმი მოხერხებულათ სარგებლობს აღმოსავლეთ-აფრიკაში ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობით, რომელიც ზოგჯერ მწვავე ხასიათს იღებს. ამ მეტოქეობის გამწვავებამ აიძულა ინგლისი სადაო საკითხების შესახებ დაედვა კომპრომისული შეთანხმება საფრანგეთთან, რომლის პოზიციის შესასუსტებლად ინგლისმა კონფერენციაზე მიიწვია იტალიაც. ამრიგად წარმოიშვა 1906 წ. შეთანხმება აბისინიის გავლენათა სფეროების განაწილების შესახებ. ამ ხელშეკრულების ძალით იტალიამ მიიღო უფლება აბისინიის ტერიტორიით გაეყვანა რკინის გზა, რომელიც შეაერთებდა მის ორივე კოლონიას—ერიტრეას და სომალის. იტალიის „გავლენის სფერო" გავრცელებულ იქნა აბისინიის სამ მეოთხედზე.

20 წლის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ქაღალდის ნაგლეჯს წარმოადგენდა. იტალიის იმპერიალიზმი საკმაოდ მსუნავი იყო იმისათვის, რომ დიდი ნაჭერი მოეთხოვა, მაგრამ არ შესწევდა ძალა, რომ ეს ნაჭერი გადაეყლაპა. იგი უკეთეს დროების მოლოდინში კმაყოფილდებოდა იმით, რომ ძაღლივით უდარაჯებდა ამ ნაჭერს და მაშინვე ღრენას იწყებდა, თუ შეინიშნავდა, რომ ვინმე ამ მისი ნაჭრისაკენ იცქირებოდა.

ახლა იტალია მოექცა იმპერიალისტური სახელმწიფოების პირველ რიგებში. იგი ეკონომიურადაც და სამხედრო მხრივაც, გაცილებით ძლიერია, ვიდრე 1906 წ. იყო. იტალია აგრესიული, მტაცებით პოლიტიკას აწარმოებს ბალკანეთზე, წითელი ზღვის სანაპიროებზე, არაბეთის ნახევარ კუნძულზე. კერძოთ იტალია მეტად ხელსაყრელად თვლის მომენტს აბისინიის ხელში ჩასაგდებათ. ინგლის-იტალიის უკანასკნელი ხელშეკრულება, რომელიც საფრანგეთის ზურგს უკან იქნა დადებული, პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ამ მხრივ.

1925 წ. იტალიამ საბოლოოდ დაიკავა იტალიის სომალის ჩრდილოეთი ნაწილი,რომელზეც მისი გავლენა მხოლოდ ნომინალურად ვრცელდებოდა. შენდება ახალი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რკინის გზები, ერიტრეაში და სომალიში აძლიერებენ გარნიზონებს, საზღვრებზე სწარმოებს სამხედრო მზადება. აბისინიაში გაიგზავნა სამხედრო მისია, რამდენიმე ოფიცერის შემადგენლობით, რომელთაც დავალებული ჰქონდათ... 35 წლის წინათ მოკლულ რამდენიმე იტალიის ნეშტის მოძებნა.

რასაკვირველია, „მისიამ" ვერავითარი ნეშტი ვერ აღმოაჩინა, სამაგიეროდ კარგად დაათვალიერა ყველა საჭირო ადგილები. ჩრდილოეთ აბისინიაში, ტიგრაის ოლქში, სწარმოებს ენერგიული აგიტაცია ტომების მეთაურების შორის.

იტალიის იმპერიალიზმი გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელათ ემზადება.

ნ. მ.

ესტონეთის ელჩი

ამხ. კალინინთან

მოსკოვი, 29 ნოემბერი. ორშაბათს, 29 ნოემბერს კრემლის დიდ დარბაზში საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა მიიღო მოსკოვში ახლად დანიშნული ესტონეთის ელჩი, რომელმაც ამხ. კალინინს ჩააბარა რწმუნების ქაღალდები.

ურთიერთის მისალმების შემდეგ ელჩს კერძო საუბარი ჰქონდა კალინინთან.

მეტყავეთა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 29 ნოემბერი. მეტყავეთა კავშირის საერთაშორისო პროპაგანდის კომიტეტში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ ამ დღეებში დასრულდა მეტყავეთა რევოლიუციონური კავშირების მესამე საერთაშორისო კონფერენცია ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, ჩეხო-სლოვაკიის და საბჭოთა კავშირის დელეგატების მონაწილეობით.

კონფერენციამ საჭიროდ ცნო ფართო დელეგაციებით გაცვლა-გამოცვლა. დელეგაციებში უნდა შედიოდენ სხვადასხვა პარტიების და აგრეთვე უპარტიოთა წარმომადგენელნი. სასურველად იქნა აგრეთვე ცნობილი მეგობრობის კომიტეტის დაარსება მსგავსად ინგლის-რუსეთის კომიტეტისა.

განზრახულია სკანდინავია-საბჭოთა, სკანდინავია-შვეიცარიის და სხვა კომიტეტების დაარსება საერთაშორისო მთლიანობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შესათანხმებლად.

კონფერენციამ ერთხმად დაჰგმო მეტყავეთა ნიურენბერგის ინტერნაციონალის გამთიშავი პოლიტიკა და შეიმუშავა გეგმა მეტყავეთა მთლიანი რევოლიუციონური ინტერნაციონალის შესაქმნელად.

კონფერენციამ საბჭოთა კავშირის მეტყავეებს მიმართა წერილით, რომელშიც მადლობას უცხადებს მათ ინგლისის მემაღაროეთა დახმარებისათვის. (ადს).

სხვადასხვა

ალჟირში და სახარაში მოგზაურობის შემდეგ

ლონდონი, 29 ნოემბერი. რამზეი მაკდონალდი ალჟირში და სახარაში მოგზაურობის შემდეგ პარიზში ჩავიდა. (ადს).

ბრაუნინგის გარდაცვალება

ლონდონი ,29 ნოემბერი. გარდაიცვალა ცნობილ რევოლვერის გამომგონებელი ჯონ ბრაუნინგი; ბრაუნინგი 71 წლის გარდაიცვალა. მისი ცხედარს ამერიკაში წაასვენებენ. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

შეერთებული შტატები

ახალი ბაზრების დაპყრობა

ომის შემდეგ მსოფლიო მეურნეობის ერთ მთავარ პრობლემათაგანს წარმოადგენს ამერიკის წილის ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში. ამერიკა (შეერთებული შტატები) სცდილობს გახდეს არა მარტო მსოფლიო ბანკირი, არამედ კაპიტალისტურ მსოფლიოს მთავარი მრეწველი და ვაჭარი.

უკანასკნელ იმპერიალისტური ომისა და მისი დამთავრების შემდეგ პირველ წლებში, შეერთებული შტატების ექსპორტის მთავარ ნაწილს სასოფლო მეურნეობის პროდუქცია შეადგენდა. მაგრამ ევროპის მეურნეობის აღდგენასთან ერთად იცვლებოდა შეერთებული შტატების ექსპორტის ხასიათიც. საქმე იმაშია, რომ ევროპის აღდგენის პროცესი სოფლის მეურნეობიდან დაიწყო. თავისთავად ცხადია, ამან გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის შემცირება შეერთებული შტატებიდან ევროპაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის შემცირების მეორე მიზეზი ნაწილობრივ მდგომარეობდა შინაური მოხმარების ზრდაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილი შეერთებული შტატების ექსპორტში დაიკავა სამრეწველო საგნებმა და ნახევარ-ფაბრიკატებმა. 1925-26 წ. წ. მზა-მზარეულ სამრეწველო საგნების და ნახევარ-ფაბრიკატების ექსპორტის ჯამი შეადგენდა 2.572.000.000 დოლლარს. 1921—22 წ. შედარებით ეს შეადგენს გადიდებას 59 პროც., ომის წინადროსთან შედარებით კი—160 პროც. 1910 წლიდან 1914 წ. სამრეწველო საგნების ექსპორტი შეადგენდა 47 პროც., 1925—26 წ. შეერთებული შტატების ექსპორტის ეს ნაწილი გაიზარდა 60 პროც.

დამახასიათებელია ის, რომ სამრეწველო საგნების და ნახევარ-ფაბრიკატების ექსპორტის ზრდა ხდებოდა უმთავრესად არა-ევროპიულ ქვეყნების ხარჯზე. ასე მაგალითად, 1925-26 წ. სამრეწველო საგნების ექსპორტი ევროპაში მხოლოდ 62 პროც. სჭარბობდა ომის წინადროინდელ ექსპორტს. ამავე დროის განმავლობაში კი სამრეწველო საგნების ექსპორტი შეერთებული შტატებიდან არა-ევროპიულ ქვეყნებში გაიზარდა 197 პროც.

1914 წ. შედარებით შეერთებული შტატების ექსპორტი გაიზარდა: აზიაში—344 პროც., სამხრეთ-ამერიკაში—191 პროც., აფრიკაში—281 პროც., წყნარი ოკეანის კუნძულებზე—322 პროც., ევროპაში—62 პროც.

შეერთებული შტატების მთელი ექსპორტი 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 37 პროც., ყველა სხვა ქვეყნების ექსპორტი კი ამავე დროს განმავლობაში შემცირდა საშუალოდ 5 პროც. ევროპის ექსპორტი შემცირდა 24 პროც. (ინგლისის—22 პროც., გერმანიის—35 პროც.).

შეერთებული შტატების წილი მსოფლიო საგარეო ვაჭრობაში 11 პროცენტიდან (1913 წელს) გაიზარდა 15 პროცენტამდი ამჟამად.

შეერთებული შტატები სარგებლობენ თავისი ტეხნიკური უპირატესობით და პოზიციას პოზიციაზე ართმევენ თავის ევროპიელ კონკურენტებს. შ. შტატები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ შეინარჩუნონ ომის დროს და ომის შემდეგ დაპყრობილი ბაზრები.

ეს ის უკანასკნელი გარემოება წარმოადგენს ყველაზე უფრო დამახასიათებელ მოვლენას შეერთებული შტატების უახლოესი დროის პოლიტიკაში.

ა. ხ.

ინგლისი

ბურჟუაზია ბოლდუინის მთავრობის შესახებ

თუ რა ზარალი მიაყენა მემაღაროეთა გაფიცვამ ინგლისის ბურჟუაზიის ჯიბეს, ამას ნათლად მოწმობს სანაოსნო პალატის თავმჯდომარის ვალტერ რენსიმენის მიერ ლივერპულის სავაჭრო პალატის წევრთა წლიურ ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა.

თავის სიტყვაში რენსიმენმა დაახლოებით ჯამი გაუკეთა იმ ზარალს, რომელიც გაფიცვამ მიაყენა ინგლისის სახალხო მეურნეობას. ქვანახშირის დანაკლისი პირველ ოქტომბრისათვის შეადგენდა 92 მილიონ ტონას. ამ ნახშირის ღირებულებას თუ ქვანახშირის რაიონებში გაფიცვამდი არსებული ფასებით გამოვიანგარიშებთ, გამოვა რომ ინგლისის სახალხო მეურნეობას დაუკარგავს 80.000.000 სტერლინგი (დაახლოებით 800 მილიონი მანეთი). უცხოეთიდან შემოტანილი ქვანახშირის ღირებულება 12 მილიონი სტერლინგით სჭარბობს ადგილობრივი ქვანახშირის ღირებულებას.

შემდეგ, გაფიცვამ გამოიწვია ბამბის შემოტანის შემცირება (1925 წ. მეორე და მესამე მეოთხედთან შედარებით), რაც შეადგენს ზარალს 22.400.000 სტერლინგს. შემცირდა აგრეთვე შემოტანილი მატყლის რაოდენობა. ზარალი აქედან შეადგენს 3.500.000 გირ. სტერლინგს.

რკინისა და ფოლადის მრეწველობის ზარალი გაფიცვისგან შეადგენს 7.200.000 სტერლინგს, ქიმიური მრეწველობის—840.000 სტ., გემთა საამშენებლო მრეწველობის—4.300.000 (ამ უკანასკნელ ციფრში არ შედის გემების შეკვეთების შეწყვეტით გამოწვეული ზარალი).

გაფიცვისგან დაზარალდენ აგრეთვე რკინის გზები, რომელთა შემოსავალი აპრილიდან ოქტომბრამდი შემცირდა 26 მილიონი სტერლინგით 1925 წ. იმავე პერიოდთან შედარებით. თუ ამ ციფრებს მიუმატებთ ზარალს (100 მილიონ სტერლინგს), რომელიც გაფიცვამ მიაყენა ვაჭრობას, გამოვა, რენსიმენის სიტყვებით, რომ ინგლისის ბურჟუაზიამ გაფიცვის წყალობით დაჰკარგა 270 მილიონი სტერლინგი (ორი მილიარდი შვიდასი მილიონი მანეთი).

რენსიმენმა თავისი სიტყვა დაამთავრა შემდეგი ფრაზით, რომელიც მეტად დამახასიათებელია ინგლისის ბურჟუაზიის ზედა-ფენების დამოკიდებულებისათვის ბოლდუინის მთავრობისადმი:

„მთავრობა მხოლოდ მაშინ მოქმედებდა გონივრულად, როცა არაფერს აკეთებდა. მთავრობამ თავისი პოლიტიკით დაამტკიცა, რომ ის ცუდი მეურნეა, ცუდი მმართველია და ცუდი შუამავალი".

რენსიმენის სიტყვამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა პალატის წევრებში. პალატის თავმჯდომარემ ლორდმა დერბიმ საჭიროდ სცნო ამ გარემოების აღნიშვნა და თავის საპასუხო სიტყვაში განაცხადა: „მე ყველაფერში ვეთანხმები მისტერ რენსიმენს. მთავრობის ჩარევამ მეტი ზარალი მოიტანა, ვინემ სარგებლობა".

ხ. რ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამხ. კრასინის ოჯახის ჩამოსვლა

მოსკოვი, 29 ნოემბერი. ოთხშაბათს, 1-ლ დეკემბერს, ლონდონიდან მოსკოვში ბრუნდება ამხ. კრასინის ქალი, რომელიც მოჰყვება კრასინის ნეშტს. მეორე ქალი უკვე მოსკოვშია. ცოლი გვიან ჩამოვა. (ადს).

მომგებიანი სესხი

მოსკოვი, 29 ნოემბერი. ახალი მომგებიანი სესხი, რომელიც 30 მილ. მანეთის რაოდენობით იქნა გამოშვებული, სავსებით გასაღებულია.

საბჭოთა რუსეთში სესხი გასაღებულია 26 მილ. მანეთის რაოდენობით, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკაში—2,780,500 მან. რაოდენობით, — ბელორუსიაში — 271,475 მან., უზბეკისტანში — 98,000 მან., თურქმენთა რესპუბლიკაში — 54,000 მან., ამიერ - კავკასიაში — 320,000 მანეთის რაოდენობით.

ცალკე ქალაქებს შორის მოსკოვში გასაღდა 7 მილ. მანეთის, ლენინგრადში —4½ მილ. მანეთის, ხარკოვში — დაახლოვებით 1 მილ. მანეთის და ბაქოში —137.000 მან. რაოდენობით. (ადს).

სამგზავრო მოძრაობის მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 29 ნოემბერი. 27 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა სამგზავრო მოძრაობის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა. (ადს).

პლაცკარტები

მოსკოვი, 29 ნოემბერი. გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულების თანახმად, ნებადართულია ერთი პლაცკარტის გაყიდვა რამდენიმე კაცზე, რომელნიც ერთი ვაგონით მოგზაურობენ, რათა ამ გზით გაადვილებულ იქნეს საბილეთო სალაროების მუშაობა და ნაკლები ბლანკები დაიხარჯოს. (ადს).

ასურელების მიწადმოწყობა

მოსკოვი, 29 ნოემბერი. იმპერიალისტური ომის დროს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაახლოვებით 25,000 ლტოლვილი ასურელი გადმოვიდა, რომელნიც წინად ოსმალეთში და სპარსეთში ცხოვრობდენ.

ამ დღეებში ასურელების კავშირმა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს მიმართა განცხადებით, რომელშიაც ითხოვს ასურელებისათვის მიწის გადაცემას, რადგან მიწის მუშა ასურელები ამჟამად იძულებული არიან შემთხვევით სამუშაოებზე იმუშაონ.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა თანხმობა განაცხადა მიწის დათმობაზე და სათანადო შუამდგომლობა აღძრა რ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოში. (ადს).

ორთქლმავლების ჩამოსვლა

მოსკოვი, 29 ნოემბერი. მოსკოვში დაბრუნდა გზათა სახალხო კომისარიატის კომისია, რომელიც აწარმოებდა კოლომენის ქარხანაში აგებულ ორთქლმავლების გამოცდას. კომისიამ მოახდინა ოთხი საგამოცდო გავლა აღნიშნული ორთქლმავლებით. გამოცდამ დაადასტურა ორთქლმავლების დიდი ღირსებანი.

სპეციალისტების აზრით, ამ ორთქლმავლებით შეიძლება 19 დიდი სამგზავრო ვაგონის წაყვანა დიდი სიჩქარით. (ადს).

პურის ექსპორტი

მოსკოვი, 29 ნოემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სააქციონერო საზოგადოება „ექსპორტხლებ"-ის დირექტორმა ბრონმა შემდეგი განაცხადა ჩვენი პურის ექსპორტის შესახებ:

„უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში საზღვარ-გარეთ გატანილია 965.000 ტონა პურის პროდუქტი. ნოემბერში განზრახულია 400.000 ტონის გატანა. სულ პირველი ხუთი თვის განმავლობაში გატანილი იქნება დაახლოებით—1.350.000 ტონა.

ჩვენი პურის მყიდველებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ გერმანიას, ჰოლანდიას და ინგლისს. გასასყიდათ მეტწილად გვაქვს ხორბალი, ხოლო შემდეგ ჭვავი, ქერი და სხვ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ნოემბრის მეორე ნახევარში პურის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა გაუარესდა, რის გამო ერთგვარი სიძნელეები იქმნებიან ჩვენი პურის პროდუქტების გასაღების საქმეში. ამ სიძნელეების თავიდან ასაცილებლად საჭიროა განსაკუთრებით თვალყურის დევნება იმ ცვლილებებისათვის, რომელნიც შესაძლოა მოხდეს მსოფლიო ბაზარზე.

(ადს).

უკრაინა

ხარკოვი, 29 ნოემბერი. ხარკოვში ჩამოვიდა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტომსკი.

უკრაინის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა დაადგინა სრულიად უკრაინის პროფკავშირთა ყრილობის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს ამხ. ტომსკის მოხსენება პროფკავშირების მორიგ ამოცანების შესახებ. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქო-ჯულფის რკინის გზა

ბაქო, 29 ნოემბერი. ბაქო-ჯულფის რკინის გზის სამუშაოთა უფროსმა ნაგროცკიმ ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: ირკვევა, რომ მიმდინარე წელს რკინის გზის ხაზი აჯიჩაიმდე, არ იქნება დასრულებული კრედიტების უქონლობის გამო. რკინის გზის ხაზი შეიძლება მიიყვანონ ხუდაფერინამდე - აჯიჩაიდან 23 ვერსის დაშორებით. მიღებული კრედიტები საკმარის მტკვარზე და არაქსზე ხიდების გასაკეთებლად. გაყვანილი გზის სიგრძე მიაღწევს 242 ვერსამდე. (ადს)

არქეოლოგიური აღმოჩენანი

ბაქო, 29 ნოემბერი. მუშაობის დროს, რომელიც სწარმოებს სახელმწიფო ბანკის შენობის ასაგებად, აღმოჩენილ იქნა საფლავის ლოდი. ნაშთი ეკუთვნის მე-15 საუკუნეს, შირვან-შახის მეფობის ხანას.

სოფელ ლაგირში, შემახიდან 30 ვერსის მანძილზე, აღმოჩენილ იქნა დღემდე უცნობი მიწის ქვეშა არხის მილები, რომელნიც ძველ ან საშუალო ეპოქას ეკუთვნიან. ეს არხი მოითხოვს შეკეთებას 50 პროც., რის შემდეგაც შეიძლება მისი გამოყენება.

სადგურების შეკეთება

განჯა, 29 ნოემბერი. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველომ, შამქორიდან ლიაზამდე ყველა სადგურების კაპიტალურ შეკეთებისათვის გაიღო საჭირო კრედიტი. (ადს).

დემობილიზაციაქმნილი არმიელები

ბაქო, 29 ნოემბერი. შრომის სახალხო კომისარიატმა სამუშაოზე მოაწყო 400 დემობილიზაციაქმნილი არმიელი. ნეფტთან დაიდო ხელშეკრულობა, რომლის ძალით მის წარმოებებში უნდა იქნეს მიღებული 700 დემობილიზაციაქმნილი არმიელი. (ადს).

ბანკეტი სპარსელ ფეხბურთელების პატივსაცემად

ბაქო, 29 ნოემბერი. 28 ნოემბერს სპარსეთის გენერალურ საკონსულოში საბჭოთა ორგანიზაციებისა და ოსმალეთის საკონსულოს წარმომადგენლების მონაწილეობით შესდგა ბანკეტი სპარსელი ფეხბურთელების პატივსაცემად. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სახელით სპარსეთის სასპორტო ორგანიზაციათა მთავარ ხელმძღვანელს კაპიტან ვარზანდს გადაეცა ალბომი წარწერით და შეჯიბრების მონაწილეთა ფოტოგრაფიული სურათებით. შეჯიბრების ყველა მონაწილეთ დაურიგდა ნიშნები საბჭოთა და სპარსეთის დროშების გამოხატულებით. სპარსეთის განათლების მინისტრისათვის გადასაცემათ მათ გადაეცა ბლოკნოტი. ბანკეტი მეგობრულ ხასიათს ატარებდა. სპარსელი სპორტსმენების წარმომადგენლებმა მადლობა განაცხადეს მასპინძლობისათვის და გამოსთქვეს იმედი, რომ აზერბეიჯანის სპორტსმენებს შეხვდენ სპარსეთში. დღეს სტუმრები სპარსეთში გაემგზავრენ. (ადს).

ლენინაკანის აღსადგენად

საუბარი ამხ. ერზინკიანთან

მოსკოვი, 29 ნოემბერი. მიწისძვრის შედეგებთან მებრძოლი დამხმარე საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ, სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ერზინკიანმა, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ მიწისძვრის შედეგებთან ბრძოლის ფონდი აღწევს 2 მილიონ მანეთს, საზოგადო შემოწირულებათა და მთავრობის თანხების ჩათვლით. „ამ უბედურობის პირველ დღეების მწვავე კრიზისი ჩვენ უკვე დავსძლიეთ. თითქმის მთელი მოსახლეობა უზრუნველყოფილია დროებითი საცხოვრებელი ბინებით, მოწესრიგებულია სურსათ-სანოვაგისა და ტანსაცმელის მიწოდების საქმე. სპეციალური ტეხნიკური კომისიის წინასწარი დაახლოებითი გამოანგარიშებით ლენინაკანის ალორძინებითი შენებლობისათვის ამჟამად საჭიროა 25 მილიონი მანეთი. ვსარგებლობ რა ჩემი მოსკოვში ყოფნით, მე, როგორც საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს განზრახული მაქვს საკავშირო მთავრობის წინაშე დავსვა საკითხი ლენინაკანისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის შესახებ". (ადს).

სურამის, თემის მასწავლებელთა წვლილი

გორი, 29 ნოემბერი. სურამის თემში, ადგილობრივ მასწავლებელთა შორის, ლენინაკანის მოსახლეობის დასახმარებლათ შეკრებილ იქნა 100 მანეთი. ფული გადაეცა, მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სამაზრო კომისიას.

მიწისძვრა ლენინაკანში

ლენინაკანი, 29 ნოემბერი. 29 ნოემბერს ლენინაკანში საგრძნობი იყო სუსტი მიწისძვრა. ღამის განმავლობაში მიწისძვრა მოხდა სამჯერ: საათსა და 9 წუთზე, 10 საათზე და 11 ს. და 35 წუთზე (ადს).

დახმარება დაზარალებულთ

ლენინაკანი, 29 ნოემბერი. სამაზრო პროფბიუროში შემოვიდა 5000 მანეთი მიწისძვრისაგან დაზარალებულ უმუშევართა დახმარების აღმოსაჩენათ.

სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატიდან მიღებულ იქნა 6000 მანეთი შრომის არტელების დასაარსებლათ. (ადს).

საბჭოთა სომხეთის 6 წ. თავი

აზერბეიჯანის ცაკის დეპეშა სომხეთის ცაკს

ბაქო, 29 ნოემბერი. სომხეთის გასაბჭოების 6 წლის თავის შესრულების გამო აზერბეიჯანის ცაკმა საბჭოთა სომხეთის ცაკს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა სომხეთის 6 წლის არსებობის საზეიმო დღეს აზერბეიჯანის ცაკი აზერბეიჯანის მუშების და გლეხების სახელით მხურვალე სალამს უგზავნის სომხეთის მშრომელთ. ესალმება რა საბჭოთა ხელისუფლების 6 წლის ნაყოფიერ მუშაობას სომხეთის ეკონომიურ, კულტურულ - საგანმანათლებლო და სამრეწველო ცხოვრების სფეროში, აზერბეიჯანის ცაკი სომხეთის მშრომელთ უსურვებს შემდგომ მიღწევებს სოციალისტური აღმშენებლობის საფუძვლის განვითარების და განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიად კავშირს".

აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს დეპეშა

ბაქო, 29 ნოემბერი. აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭომ სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭო აზერბეიჯანის მუშურ - გლეხური მასების სახელით სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 6 წლის თავის გამო მხურვალე სალამს უძღვნის მოძმე სომხეთის მშრომელთა მთავრობას. სიხარულით აღნიშნავს რა მუშურ - გლეხური მთავრობის და სომხეთის მშრომელთა ბრწყინვალე მიღწევებს კულტურულ და სამეურნეო ფრონტზე, აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭო წითელი სომხეთის პროლეტარებს უსურვებს შემდგომ მიღწევებს სოციალისტური აღმშენებლობის საქმეში!

გაუმარჯოს ძმურ სომხეთს!

გაუმარჯოს სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მშრომელთა ერთობას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის დასაყრდენ — საბჭოთა კავშირს".

ზეიმი ლენინაკანში

ლენინაკანი, 29 ნოემბ. სომხეთის გასაბჭოების ექვსი წლის თავის გამო მარქსის სახელობის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი, წითელი არმიის ნაწილების, პროფკავშირების და პიონერების მონაწილეობით. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდენ ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

მიტინგზე დიდი ოვაციები გაუმართეს უკრაინელ ახალგაზრდების წარმომადგენელს. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ დიდ მიღწევებს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან.

— მოძმე რესპუბლიკათა მშრომელების დახმარებით, ჩვენ აღვადგენთ არა ძველ ალექსანდროპოლს, არამედ—ახალ ქალაქს, ახალ ლენინაკანს, — ამბობდენ ორატორები.

საღამოს კრებები არსად შემდგარა, ვინაიდან ქალაქში არ არსებობს შესაფერი შენობები, გარდა რკინისგზელთა კლუბისა, სადაც მოაწყვეს ცოცხალი გაზეთი. ქალაქში ღია ცის ქვეშ ნაჩვენები იქნა კინო-სურათები. (ადს).

რადიო-სადგური სპარსეთში

29 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა სუსტი დენის ქარხნების ელექტრო-ტრესტის ინჟინერი ამხ. ციკლინსკი, რომელიც სპარსეთიდან მიემგზავრება მოსკოვში. ამხ. ციკლინსკი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ იყო გაგზავნილი სპარსეთში იმ დავალებით, რომ თეირანის რადიო-სადგური ჩაებარებია სპარსეთის სამხედრო სამინისტროსათვის.

ამ.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ციკლინსკიმ განაცხადა შემდეგი:

„ჩვენმა ტრესტმა ორი წლის განმავლობაში სპარსეთში მოაწყო ხუთი რადიო სადგური, რომელთაგან 4 ოთხკილოუატიანია. მეხუთე—ოცკილოუატიანია. სპარსეთში რადიო სადგური სავსებით არ იყო. თეირანის ოცკილოუატიანმა სადგურმა ნოემბრის დამლევს გამოცდის დროს გვიჩვენა კავშირი მოსკოვთან, ბეირუთთან და პარიზთან.

ამჟამად სპარსეთში იგების პროცესშია კიდევ ორი ოთხკილოუატიანი სადგური: ამ სადგურებსაც ჩვენი ელექტრო ტრესტი აწყობს.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ლენინის ცეკასთან ერთად

ბათომი, 29 ნოემბ. საქართველოს კომპარტიის (ბ) ბათომის ორგანიზაციის წევრებისა და კანდიდატების საერთო საქალაქო კრებაზე, რომელიც შესდგა 27 ნოემბერს, ამხ. აკირტავას მოხსენების გამო (მე-15 პარტკონფერენციის შედეგები) გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება:

„საქართველოს კომპარტიის (ბ) ბათომის ორგანიზაციის წევრებისა და კანდიდატების საერთო კრება, სამხედრო ნაწილების კომუნისტებთან ერთად, მოისმინა რა მან ამხ. აკირტავას მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, სავსებით და მთლიანად უერთდება მე-15 პარტკონფერენციის ყველა დადგენილებებს. ყველა გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღება პარტკონფერენციის მიერ ნიშნავს უდიდეს დარაზმულობას, რომელსაც მიაღწია პარტიამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში. მე-15 პარტკონფერენციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ბოლშევიკური პარტია და მისი ხელმძღვანელი შტაბი—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა შეურყევლად და მტკიცედ დგანან ლენინის პოზიციებზე და მიჰყავთ მუშათა კლასი ერთად - ერთ სწორი რევოლიუციონური გზით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

კრება ხაზს უსვამს, რომ ოპოზიციური ბლოკის ბელადებმა თავიანთი გამოსვლებით მე-15 პარტკონფერენციაზე ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი იდეიური სიკოტრე და საბოლოოდ გამოაშკარავეს სოციალ-დემოკრატიული გადახრა. კრება აუცილებლად სცნობს, რომ მომავალში კვლავ გაგრძელდეს დაუნდობელი იდეიური ბრძოლა შეცდარი ანტილენინური შეხედულებებისა და სოციალ-დემოკრატიული გადახრის წინააღმდეგ, სანამ იგი სავსებით არ იქნება ძლეული.

კრება აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ოპოზიციის ხელმძღვანელები, რომელნიც არიან პარტიის მიერ 1922 წ. დაგმობილი ქართული „უკლონიზმის" მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელნი, და რომელნიც მე-14 ყრილობის შემდეგ მიემხრენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციურ ბლოკს, უარს არ ამბობენ თავიანთ იდეოლოგიურ შეხედულებებზე, კიდევ მეტი, მათი ნაწილი დღემდე არ აღიარებს ფრაქციული მუშაობის შეცდომებს

კრება აუცილებლად სცნობს რა შეურიგებელ იდეიურ ბრძოლას ოპოზიციის ანტილენინურ შეხედულებათა წინააღმდეგ, მოითხოვს გადამჭრელ ზომებს ოპოზიციის ბელადების წინააღმდეგ.

კრება აღუთქვამს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას, რომ ბათომის ორგანიზაცია შეურყევლად გაატარებს ცხოვრებაში მე-15 პარტკონფერენციის დირექტივებს და იმუშავებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ) და მის ბელადს — ცენტრალურ კომიტეტს! (ადს).

ს. კ. პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი

მოხსენებები ადგილებიდან

პირველ მოხსენებას აკეთებს ზუგდიდის მაზრკომის საორგანიზაციო განყ. გამგე ამხ. ა. შელია. მომხსენებელი ეხება პარტორგანიზაციის მასიურ მუშაობას და პარტიულ ხელმძღვანელობას საბჭოებზე და კოოპერაციაზე ზუგდიდის მაზრაში.

საბჭოთა გადარჩევებში გლეხობა წინანდელთან შედარებით დიდ აქტივობას იჩენდა. ეს ჩვენ იყო გამოწვეული, რომ მაზრკომმა ადგილებზე წინასწარ ჩაატარა მოსამზადებელი მუშაობა, როგორც გლეხობაში, ისე პარტორგანიზაციაში. გარდა ამისა, გასულ წელთან შედარებით წრეულს გაფართოებული იყო საარჩევნო პუნქტების რიცხვი.

ხანამ საბჭოების გადარჩევა მოხდებოდა წინასწარ ვიწვევდით უღარიბეს გლეხობის კრებებს კანდიდატების შესარჩევად და კლასობრივი ხაზის დასაცავად. ღარიბთა კრებები თითქმის ყველგან ტარდებოდა ცოცხლად.

გარდა ამისა, მაზრკომი ყოველგვარ ზომებს ღებულობდა მე-14-ტე პარტყრილობის დადგენილებების შესასწავლად. შესწავლა დაიწყო ჯერ თვით ქალაქში და მერე კი მუშაობა გადავიტანეთ პროვინციაში.

ზუგდიდის პარტორგანიზაციაში სულ ირიცხება ათასი წევრ - კანდიდატი. აქედან 407 წევრი არის, 593 კანდიდატი. ამ კანდიდატთა შორის 300 არის კომკავშირელი.

პირველ ხანებში ჩვენი მაზრის პარტორგანიზაციაში არსებობდა 16 თემკომი; ოღონდ თემკომების რიცხვი შემოკლებული არის 9-მდე. მაზრკომის კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან საკმაოდ მტკიცეა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. **მანიაშვილი** სიღნაღის მაზრკომის საორგ. განყ. გამგე. სიღნაღის მაზრის პარტორგანიზაციაში ირიცხება ათასამდე წევრ - კანდიდატი.

რადგანაც ორგანიზაციის ძირითადი აქტივი სუსტი იყო, ამიტომ ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევდით უჯრედებთან უშუალო კავშირის დაჭერას და ბიუროების მუშაობის გამოცოცხლებას. ამ მიზნით მაზრკომის მიერ უჯრედებზე მიმაგრებული იყო პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდენ უჯრედის საქმიანობას.

საორგანიზაციო განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევდა უჯრედების გეგმიან მუშაობასაც. შემუშავებულ იქნა გეგმიანი მუშაობის სათანადო ფორმები, და გაცნობილ იქნა ადგილებზე.

ღარიბთა ჯგუფების მუშაობას ჩვენ მაზრაში კარგი ნიადაგი აქვს, მხოლოდ მოისუსტებს ამ ჯგუფებზე პარტხელმძღვანელობა თვით ადგილებზე.

ხელმძღვანელობა მიწა-ტყის კავშირზე და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მაზრკომის მხრივ დამაკმაყოფილებელია. კომკავშირში პარტიული აქტივის გაზრდის და გაძლიერების მიზნით მიღებული არის ზომები აქტიური კომკავშირელების პარტორგანიზაციაში გადასაყვანად.

ქავთალაძე (შორაპნის მაზრა). შორაპნის მაზრის პარტორგანიზაციაში სულ ირიცხება 1.843 წევრ - კანდიდატი.

პარტორგანიზაცია შესდგება 62 უჯრედისაგან.

მაზრკომი მთავარ ყურადღებას აქცევდა კომუჯრედის გეგმიან მუშაობაზე გადასვლას. ამ მიზნით მიმაგრებული იყო პასუხისმგებელი პარტმუშაკები ადგილებზე.

თემკომები მხოლოდ 23 უჯრედს აერთიანებს. თემკომების მდივნების შტატი უფასოა, რაც დიდად უშლის ხელს მუშაობის ნაყოფიერებას.

მაზრკომი ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობას, რამაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო.

საბჭოებში, პროფკავშირებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ჩამოყალიბებული არის კომფრაქციები, რომელთაც პარტორგანიზაციები შესაფერ ხელმძღვანელობას უწევენ.

27 ნოემბრის დილის სხდომა

ამხ. ბეგიზოვი (სამხრეთ - ოსეთი) კომპარტიის სამხრეთ - ოსეთის საოლქო ორგანიზაციაში სულ ირიცხება 920 წევრი და კანდიდატი; სათემო სისტემა ოსეთის ორგანიზაციაში არ არსებობს. საოლქო კომიტეტის მთავარი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ გამოეცოცხლებინა ძირითადი უჯრედების მუშაობა. საერთოდ თუ ავიღებთ ჩვენს უჯრედების მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ზაფხულის პერიოდში პარტმუშაობა უფრო მოისუსტებს. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ გლეხობა ზაფხულში მინდვრად მუშაობს. აქტივი სამხრეთ - ოსეთის პარტორგანიზაციაში ძალიან სუსტი არის; ეს აიხსნება აქაური მოსახლეობის საერთოდ ჩამორჩენილობით. მიუხედავათ იმისა, რომ მიმოსვლა ჩვენში საძნელო არის, ინსტრუქტორების საშუალებით ჩვენ მაინც შევძელით ცოცხალი კავშირის დაჭერა ადგილებთან.

პარტმუშაკების ძირითად უჯრედებზე მიმაგრებამ დადებითი შედეგები მოგვცა. იმართებოდა უჯრედის ღია კრებები, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ადგილობრივი პირობების მიხედვით.

მე-14-ტე პარტყრილობის და ცეკას პლენუმის დადგენილებების დამუშავებას პარტორგანიზაციაში ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

კომკავშირის ორგანიზაციაში სამხრეთ-ოსეთში ირიცხება 5.000 წევრი.

საოლქო კომიტეტი ყურადღებას აქცევს კომკავშირზე პარტხელმძღვანელობის საკითხებსაც.

ამხ. ლადარია (აფხაზეთი). აფხაზეთის პარტორგანიზაცია აერთიანებს 1186 წევრს და კანდიდატს. ორგანიზაციის ეროვნული შემადგენლობა ასეთ სურათს იძლევა: 318 აფხაზი, 403 ქართველი, 270 რუსი; 86 სომეხი და 41 ბერძენი.

პარტორგანიზაციის აქტივი საკმაოდ ძლიერი არის. უკანასკნელ ხანებში აქტივი გაიზარდა, და გაუმჯობესდა, როგორც რიცხვობრივათ, ისე თვისობრივათაც გაუმჯობესდა. საბჭოების გადარჩევები წინასწარ მუშაობის დროზე ჩატარების წყალობით მეტად ცოცხლად ჩატარდა. მომავალი გადარჩევისათვის არის მზადება.

ადგილობრივ პროფკავშირებში ჩამოყალიბებული არის ფრაქციები, რომელთა მუშაობა მეტად ნაყოფიერია. რაც შეეხება უღარიბეს გლეხობას, ჩვენ ჯერ - ჯერობით, შევძელით ხუთი ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბება. ხანამ საბჭოების გადარჩევებს მოვახდენდით, ვიწვევდით ღარიბთა კრებებს და მათთან შეთანხმებით ვიმუშავებდით კანდიდატების სიას.

ნაციონალური საკითხი აფხაზეთში დადებითად არის გადაჭრილი.

ამხ. გუდავაძე. (თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი) თბილისის ორგანიზაციის რაიკომი აერთიანებს 3.290 წევრს და კანდიდატს. აქედან წევრი არის 2.146; კანდიდატი 1.144. მეოთხე რაიკომი აერთიანებს 62 უჯრედს. სოციალური შემადგენლობით ეს უჯრედები ნაწილდება ასე: 19 მუშური უჯრედი, 26 საბჭოთა, 11 სასწავლებლების, 2 გლეხური, პარტორგანიზაციის 45,5 პროცენტი არის მუშური შემადგენლობის. პარტაქტივი ჩვენი ორგანიზაციისა მომზადებული და მტკიცე არის. თავიდანვე რაიკომი ცდილობდა უჯრედების მუშაობას გეგმიანი ხასიათი ჰქონოდა. ამ მხრივ უკვე დიდი მიღწევები გვაქვს. თითქმის ყველა კომუჯრედები გეგმიანად აწარმოებენ პარტმუშაობას.

რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევდა მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმესაც. ამ მიზნით ხდება ადგილობრივი საწარმოო უჯრედების პარტმუშაკების თათბირი და კეთდებოდა შესაფერი მოხსენებებიც. თვით უჯრედების მიერ სწორად არ იყო პირველ ხანებში მომჭირნეობის იდეა გაგებული. გარდა თათბირების და ჯგუფური კრებებისა, ინსტრუქტორების საშუალებით უშუალო და ცოცხალი კავშირი გვქონდა უჯრედებთან. რაც შეეხება მე-14 პარტყრილობის და ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის დადგენილებების შესწავლას, ამასაც რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევდა. კომპარტიის ქალაქის რაიონული ორგანიზაცია ერთსულოვნად იცავდა უმაღლესი პარტორგანოების დადგენილებებს. უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლებული არის სასწავლებლების კომუჯრედების მუშაობაც. წინაწლებთან შედარებით ამ უჯრედებს დიდი გავლენა აქვთ უპარტიო მასაზე. პარტიული მასის და მისი აქტივის საშუალებით ვიღებთ ენერგიულ ზომებს საწარმოო თათბირების და ეკონომიური მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

რაც შეეხება შინაპარტიულ დემოკრატიას, უნდა ითქვას, რომ ის უჯრედში საკმაო სისრულით ტარდება. თვით უჯრედების მასა არის დაინტერესებული პარტმუშაობით. უჯრედების ბიუროების გადარჩევას ვახდენდით წინასწარი მუშაობის ჩატარების შემდეგ. გადარჩევებში პარტიული მასა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

როინიშვილი. (ოზურგეთი) ოზურგეთის სამაზრო კომიტეტი აერთიანებს 122 უჯრედს. ზოგიერთ ამ უჯრედებში არ არის არჩეული ბიურო წევრების სიმცირის გამო. სულ უჯრედის ბიუროები ოზურგეთის მაზრაში არის 96. პარტორგანიზაცია სულ შესდგება 1.309 წევრისა და 709 კანდიდატისაგან. ამათგან ქალებია 72. პარტორგანიზაციის ძირითად უჯრედების მუშაობა უკანასკნელ ხანებში საკმაოდ გამოცოცხლებული არის. თემკომების სისტემის შემოღებამ ძირითადი უჯრედების მუშაობა გააცხოველა. ოზურგეთის მაზრაში სულ არის 26 თემკომი. თემკომების მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს სამაზრო კომიტეტი. რაც შეეხება უღარიბეს გლეხობაში მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ღარიბი ჯგუფები ჩვენს მაზრაში ჩამოუყალიბებელი არის; მაზრკომი დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობასაც. არსებობს სათანადო კოლეგია მაზრკომთან. რომელიც მუშაობას აწარმოებს ყოფილ მენშევიკთა შორის. ის მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერად მიმდინარეობს. რაც შეეხება ფრაქციულ მუშაობას საბჭოებში, და საერთოდ პარტ-ხელმძღვანელობას სხვადასხვა საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, უნდა ითქვას, რომ ის მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე სდგას რამდენადაც ეს შესაძლებელი არის ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

თათბირი

28 ნოემბრის საღამოს და 29 ნოემბრის დილის სხდომა

ადგილებიდან მოხსენებების დამთავრების შემდეგ, 28 ნოემბერს, საღამოს სხდომაზე, გაიმართა კამათი მოხსენებების გარშემო, რის შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენებები უღარიბეს გლეხთა ჯგუფების ორგანიზაციის შესახებ. კვირა საღამოს მოსმენილი იქნა მოხსენება პარტიის ზრდის მოწესრიგების შესახებ, ხოლო 29 ნოემბრის დილის სხდომაზე **ვოლკოვსკის** მოხსენება საინფორმაციო სტატისტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი ცალკე შეჩერდა შემდეგი მუშაობის პერსპექტივებზე.

თანახმად საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცეკას მიერ შემუშავებული გეგმისა, განზრახულია პარტკომების საინფორმაციო ნაწილების ავტორიტეტის ამაღლება ამ მუშაობაში პასუხისმგებელ მუშაკთა ჩაბმის გზით. განზრახულია, აგრეთვე, სამთვიური საინფორმაციო ანგარიშების სისტემის უარყოფა და, თანახმად ცეკას დირექტივებისა, საკითხების გეგმიან დამუშავებაზე გადასვლა ჯგუფებში. შემდეგ საჭიროა ადგილების ცოცხალი ხელმძღვანელობა, სახელმძღვანელო აპარატის საშუალებით.

განზრახულია, აგრეთვე, სასტატისტიკო განყოფილების გამოყოფა საინფორმაციო ნაწილისაგან, სამაზრკომებთან აღრიცხვა- განმანაწილებელ განყოფილებების შექმნის გზით.

საინფორმაციო ნაწილის ავტორიტეტის გასაძლიერებლად განზრახულია ინფორმაციის გამგეთა ჩაყენება საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების მოადგილეთა მდგომარეობაში.

თათბირმა მიიღო მოხსენების ძირითადი დებულებები და სასურველად სცნო ინფორმაციის გამგეთა და მაზრკომების სტატისტიკოსთა მოსამზადებელი კურსების მოწყობა.

მაზრკომების და საოლქო კომიტეტების საინფორმაციო-სტატისტიკურ ნაწილების რეორგანიზაციის შესახებ დადგენილების საბოლოო რედაქციისათვის თათბირმა გამოყო განსაკუთრებული კომისია.

ინფორმაციით სამაზრო პარტკონფერენციების მოწვევის შესახებ გამოვიდა ამხ. **მაშკევიჩი**, რომელმაც აღნიშნა, რომ სამაზრო პარტკონფერენციები ჩატარდება აღმოსავლეთ საქართველოში ა.-წ. 15 დეკემბრამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 15—30 დეკემბრამდე; მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კონფერენციები ჩატარდება ცეკას წარმომადგენლების თანადასწრებით წინასწარ გამომუშავებული საკალენდარო გეგმით.

ცეკამ დასახა კონფერენციების შემდეგი დღის წესრიგი: საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას ანგარიში. ცენტრალურ საკონტროლო კომისიებისა და ადგილობრივ რწმუნებულთა მოხსენებები, მოხსენება უღარიბეს გლეხობის შორის მუშაობისა და მაზრის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ვინ უნდა გაატაროს მომჭირნეობა?

საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კ. თავმჯდომარის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის ამხ. ა. დოლიძის ხელის მოწერით საქართველოს ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს, თბილისის კომ., და თბილისის ორგანიზაციის რაიკომებს, ც. საკ. კ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომატის რწმუნებულებს ავტონომიურ რესპუბლიკებში და საქართველოს მაზრებში დაეგზავნა შემდეგი ცირკულიარული წერილი:

ცენტრალურ უმაღლესი ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილების თანახმად, უქმდებიან მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი ყველა ადგილობრივ უწყებათა კომისიები; მომჭირნეობის რეჟიმის სწორად და წარმატებით გატარებაში პასუხისმგებლობა ეკისრება სავსებით გამგეობებს და იმ პირთ, რომელნიც სათავეში უდგანან საწარმოო, სატრანსპორტო, სავაჭრო, კოოპერატიულ და ადმინისტრატიულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს.

წინადადება ეძლევა ყველა ზემო ჩამოთვლილ დაწესებულებათა და ორგანიზაციების სათავეში მდგომ პირთ მომჭირნეობის რეჟიმის გაუქმებულ კომისიების მიერ ჩატარებულ მუშაობის საფუძველზე და ამ მუშაობის ნაკლის და მიღწევების გათვალისწინებით მიიღონ ყოველივე ზომები იმ აღმოჩენილ ნაკლთა აღმოსაფხვრელად, რომელნიც გამოიხატებოდენ მომჭირნეობის რეჟიმის იდეის და პოლიტიკურ აზრის დამახინჯებაში. ზოგიერთი დაწესებულება - ორგანიზაციები მომჭირნეობას ახდენდენ მუშა - მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესებით, მცირე წლოვანთა შემცირებით, სპეცსამცემლების ღირსების დაწევით და სხვა ასეთ საშუალებით, ხოლო ამავე დროს მმართველ ორგანოებში სტოვებდენ ბიუროკრატიულ აპარატებს გაზვიადებული შტატით, ზოგიერთ „მაღალ თანამდებობის" პირთ ფარულ წესით უდიდებდენ ჯამაგირს,ყოვლად დაუშვებლად სარგებლობდენ ტრანსპორტის საშუალებებით და ავტომობილებით და აგრეთვე ადგილი ჰქონდა დაუთავებელ მივლინებებს, დიდი და დაუფარავი ავანსების გაცემას და სხვა.

ცირკულიარი წინადადებას იძლევა ყველა მმართველი და სამეურნეო აპარატების მაქსიმალურად შემცირებით და უსარგებლო ხარჯების სასტიკად შემოკლების საშუალებით მიღწეულ იქნას ამ აპარატის გამარტივება და გაიაფება მათი საქმიანობის რაციონალურად დაყენებით და ამნაირად ინდუსტრიისათვის საჭირო თანხების დაგროვებით.

ამასთანავე ცირკულიარი წინადადებას აძლევს ზემო - ჩამოთვლილ ორგანიზაციებს გააცნონ მუშათა მასსები მიღწეულ შედეგებს გაზეთების საშუალებით, ზეპირი მოხსენებებით, ანგარიშებით და სხვა. ამავე დროს გამოცოცხლებული უნდა იქნეს საწარმოო თათბირების მუშაობა ამ თათბირების მუშაობაში ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ძალების ჩაბმით. მუშათა წინადადებებისადმი ყურადღების გაძლიერებით. მიღებულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებაზე სისტემატიურად თვალყურის დევნებით და სხვა.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 31, ტელეფ. 8—81

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ღირსეული სასჯელი

ქუთაისი, 29 ნოემბერი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ სამსონ სახანბერიძეს საქციზო მუშაკის დალაქიშვილის მოკვლის განზრახვის გამო, მისაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და 2 წლით უფლებების ჩამორთმევა. (ადს)

სასამართლოს სესიები

ქუთაისი, 29 ნოემბერი. 1 დეკემბრიდან 1927 წლის 1 იანვრამდე დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიები ჩატარდება: ახალ-სენაკი, აბაშა, ოზურგეთი, ფოთი, შორაპანი და ზუგდიდში. სესიების მიერ სულ გარჩეულ იქნება სისხლის სამართლის ხასიათის 112 საქმე. (ადს)

ტელეფონიზაცია

ოზურგეთი, 29 ნოემბერი. დამთავრდა ქალაქის ტელეფონის ქსელის კაპიტალური შეკეთება. ქსელი აღდგენილი იქნა მთლიანად 2 ნოემბრიდან ტელეფონის ქსელის შეკეთება დაიწყო პერიფერიებშიც. არსებული ერთმავთულიანი ქსელი ბათომის ხაზზე გადაყვანილი ორ მავთულიან სისტემაზე. (ადს).

სუფსის კოოპერატივი

ოზურგეთი, 29 ნოემბერი. გამორკვეულ იქნა სუფსის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების მუშაობის შედეგები 1926 საოპერაციო წლის განმავლობაში. კოოპერატივმა წლის ბოლოს მიიღო 8.000 მანეთის წმინდა მოგება. (ადს).

სადგურის აშენება

ოზურგეთი, 29 ნოემბერი. სადგურის შენობის აგება სასწრაფო ტემპით სწარმოებს. დეკემბრისათვის განზრახულია კედლების შენების მოთავება. ჯერ-ჯერობით სადგური მოთავსებულია საბარგო რონოდებში. (ადს).

მოსავალი

ოზურგეთი, 29 ნოემბერი. დამთავრდა გურიის სასოფლო მეურნეობის 1926 წლის მოსავლის პროდუქტების სტატისტიკური აღრიცხვა. შედეგები ასეთია: მინდვრის თივა—8.109ფ., კარტოფილი — 14.770 ფუთი, კომბოსტო — 1,845 ფუთი, ხახვი — 960 ფუთი, ლობიო — 14,264 ფ., 27.970 დესეტინაზე ნათესი სიმინდი — 2.465.570 ფ., ღომი—8.675 ფ., თამბაქო —3.315 ფუთი, ღვინო — 25.000 ფ., თაფლი— 666 ფუთი, სანთელი — 70 ფუთი მსხალი და ვაშლი — 43.400 ფ., ატამი — 4.000 ფუთი. კაკალი — 8,025 ფუთი (წარსულ წლისაზე 75 პროც.-ით ნაკლები), ჩაი — 3,904 ფუთი და მანდარინა — 2.400 ფუთი. (ადს)

ელსადგურის დაწვა

ახალციხე, 29 ნოემბერი. არაშინდოზე დაიწვა ელექტრონის სადგური. ცეცხლი გაჩნდა სახურავზე გაყვანილ ლუმელში. მატორი და სადგურის სხვა მოწყობილებანი გადურჩა. სწარმოებს ზარალის გამორკვევა. (ადს)

აგურის ქარხანა

ახალ-სენაკი, 29 ნოემბერი. სოფ. ძირძირში ამუშავებულ იქნა აგურის ქარხანა, რომლის გამოშვებული აგური კარგი ხარისხის არის. (ადს)

წერილები

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა

(წერილი მარელისიდან)

ა.-წ. 18 ნოემბერს მარელისის გრეხილ ავეჯ. ფაბრიკაში შესდგა ფაბრიკის კომუჯრედის, კომკავშირის წევრთა და მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ფაბრიკის მუშაობის შესახებ დღიდან მისი შენების დაწყებისა. მოხსენება გააკეთა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. იულო ცინცაძემ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას ფაბრიკის მშენებლობის დაწყება-დათავებასთან დაკავშირებული კითხვები, როგორც მაგალითად საამშენებლო პერიოდში მუშაობის მიმდინარეობა, მისი დამაბრკოლებელი პირობები, რამდენი უნდა დამჯდარიყო ფაბრიკა პირველდაწყებითვე გათვალისწინებული გეგმით და რამდენი დაჯდა ის სინამდვილეში.

მომხსენებელმა გააცნო კრებას აგრეთვე სტატისტიკური ციფრები ფაბრიკის შტატის შემადგენლობისა. ეს შტატი შესდგება სულ 141 მუშა-მოსამსახურეთაგან, რომლებიც ნაწილდებიან ამნაირად: მოლითის თემიდან—14, მარელისის—29, ხარაგოულის—34, ლაშეღვერკის—3, კიცხის—1, საქართველოს დანარჩენ მაზრებიდან—43.

მოხსენების გარშემო მუშებმა მრავალი საინტერესო შეკითხვები წამოაყენეს. რომლებზედაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა. შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ფაბრიკის გამგის ამხ. იულო ცინცაძისა მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის შესახებ. ფაბრიკის კომუჯრედის, კომკავშირის წევრების და მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება სრულიად დამაკმაყოფილებლად სთვლის ფაბრიკის ადმინისტრაციისა და მისი ტეხნიკური პერსონალის მუშაობას, რომელი მუშაობის მთავარ პეროდს ხელმძღვანელობდა ამხ. ი. ცინცაძე. კრება ულრმეს გულწრფელ მადლობას გამოსთქვამს ჩვენი ხელისუფლების მიმართ იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რომელიც გამოიხატა არსებული ფაბრიკის აშენება-მოწყობაში ისეთ მწირ და მოუსავლიან რაიონში, როგორიც არის ხარაგოულის რაიონი თავისი ულარიბესი მოსახლეობით. ამ ფაბრიკის დაარსებითაც მთავრობა პრაქტიკულად განახორციელა ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ".

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის იშვიათი ამხანაგური დამოკიდებულება ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისა ამხ. ცინცაძისადმი, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა სხვათაშორის კრებაზეც ერთსულოვან ოვაციებში მისი მისამართით. ამ კრებამ და ოვაციებმა ზეიმის ხასიათი მიიღეს. უფრო ფართო მასშტაბით ასეთსავე ზეიმს ადგილი ჰქონდა ოქტომბრის დღესასწაულის დღეს, როდესაც ლელიან-მარელისის თემის ათასკომლიან მცხოვრებლებმა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად არაჩვეულებრივი ზეიმით ჩაატარეს ეს დიდი დღესასწაული ამ ყოფილ ბუჩქნარიან, მიგდებულ მინდორში, სადაც დღეს გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკის სახით გაშენებულია პატარა, ლამაზი დაბა თავისი საკუთარი ელექტრონული განათებით.

შან-კან.

ალმასკომები უნდა დაგვეხმარონ

ადვილად შეიძლება, რომ სოფლის მოჯამაგირეობაში ადგილი ჰქონდეს უკმაყოფილებას შრომის ნორმალურ პირობების დარღვევის გარშემო.

რაში გამოიხატება ეს ნაკლულოვანებანი? საჭიროა კონკრეტიულად მითითება ზოგიერთ ფაქტებზე, როგორც ვიცით, ამ კანონის სწორად და უმტკივნეულოდ ცხოვრებაში გამტარებელი არიან შრომის ორგანოები, მაგრამ უკანასკნელნი უძლურნი ხდებიან ამ სფეროში გააკეთონ რაიმე, თუ მათ მუშაობაში კვალ და კვალ არ გაჰყვებიან ის ორგანოები, რომელთა მუშაობა ამ შემთხვევაში უშუალოდ გადანასკულია შრომის ინსპექციის საქმიანობასთან.

ესენი არიან მაზრებისა და თემის აღმასკომები.

ჩვენ მოწმენი ვხდებით, იმისა, რომ ზოგ ადგილას სოფლის და თემის აღმასკომები ჯერაც საკმაოდ არ არიან გაცნობილნი ამ წესებს. რაიც ძალს აკლებს მოჯამაგირის შრომის პირობების მოგვარებას.

ამის გამო მოჯამაგირესა და დამქირავებელს შორის ამტყდარი დავა ვერ მოწესრიგდება, როგორც კანონი გვიკარნახებს და ბევრ შემთხვევაში უკანონობას და მოჯამაგირის უფლებების შებღალვას ექნება ადგილი.

ზოგან შრომის ინსპექტორების კანონიერ მოთხოვნილებაზე ამ დარგში (მაგ. ზოგინთა უფასოდ წამლობა), მაზრის აღმასკომები უარყოფით პასუხს იძლევიან, „ბიუჯეტში სათანადო კრედიტის უქონლობის გამო" და ასე ამგვ., რაიც დაუშვებელია.

მაზრის აღმასკომებმა უნდა შეუწყონ ხელი შრომის კანონების დაცვას სოფლად.

რა თქმა, უნდა, თუ აღმასკომებმა თავიანთ მხრივ ცხოველი მონაწილეობა არ მიიღეს ამ მუშაობაში, ცხადია, შრომის ინსპექცია და თვით მიწა-ტყის კავშირი უძლურნი იქნებიან დასძლიონ ამ დარგში არსებული ყველა სიძნელენი.

დ. ნ—შვილი.

მუშათა ცხოვრება

პირველ დეკემბერს, საღამოს სრულ ხუთზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე მოწვეულია გაზ. „კომუნი"-ს, „მუშას" და თბილისის კედლის გაზეთების რედკოლეგიების წარმომადგენელთა გაერთიანებული კრება. კრებაზე მოხსენებას გააკეთებს „მუშკორთა მოძრაობის და მუშკორთა დაცვის შესახებ" მუშათა გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ა. დოლიძე. კრებას დაესწრები ან მუშგლეხინის საჩივართა ბიუროს გამგე ამხ. ვ. გოგიბერიძე და ხოშერიკი.

ყველა ჩვენ მუშკორთა კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

ტრამვაელებში

რამოდენიმე ხნის წინად შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 950 მუშა-მოსამსახურე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი: მოხსენება სამკურნალო დახმარების ქვე-განყოფილების ჭლექიანთა დისპანსერის მუშაობის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გულდასმით მოისმინა ადგილობრივი ჭლექ. უჯრედის მოხსენება დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ქვე-განყოფილების ჭლექიანთა დისპანსერის მუშაობის შესახებ, და იგი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული დისპანსერის მუშაობა დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია. დისპანსერის მუშაობა არ უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ მკურნალობაში, არამედ და უმთავრესად სოციალურ-პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარებაში, როგორც არის, მაგალითად: დაავადებულთათვის სოციალური დახმარების აღმოჩენა ბინის, კვება-საზრდოების თუ სხვ. მხრივ.

ბინა, რომელშიც არის ამჟამად დისპანსერი. შეუძლებლად ხდის თვით მკურნალობის საქმის წესიერ დაყენებასაც კი და ყოვლად შეუძლებლად ხდის სოციალურ-პროფილაქტიურ მუშაობის წარმოებას.

სამკურნალოს ნაწილის წესიერი წარმოებისათვის კი საჭიროა ფართო ბინა. დისპანსერის მიერ ამჟამად დაკავებულ ბინაში კი არსებობს მხოლოდ ორი კაბინეტი და მკურნალ ექიმთა შტატის გადიდება ეხლება გადაულახავ დაბრკოლებას, კაბინეტების უქონლობას. მკურნალ ექიმთა შტატის გადიდებლად კი დისპანსერი ვერ აუვა თავის მუშაობას. სწორედ ამიტომ ხდება ის, რომ ავადმყოფები ხდებიან განმეორებით ექიმთან. ამჟამად მხოლოდ 5 კვირის შემდეგ, ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

დისპანსერის მუშაობის სოციალურ მხარეს ესაჭიროება ბინა (ღამის და დღის სანატორიუმისათვის, სასადილოსვის, საბავშვო ბაქანისათვის და სხვა).

ბინის უქონლობა არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი დისპანსერის ზემოხსენებული მუშაობის განვითარებისათვის დაბრკოლებისა.

ამის გამო ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება სთხოვს კომისართა საბჭოს, რათა მან გადასცეს დისპანსერს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შენობა (პლეხანოვის პრ., 139).

ჭლექიანთა-დისპანსერი არის მუშათა კლასის მცველი ჭლექისაგან, ამიტომაც მისი მუშაობის ჩაყენება შესაფერ პირობებში, წარმოადგენს სახელმწიფოებრივ საჭიროებას.

ამასთანავე ერთად ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება მიმართავს თბილისის დაზღვევ სალაროს პრეზიდიუმს, რათა მან გაიღოს საჭირო თანხა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს დისპანსერს ბინის მხრივ.

კრების თავმჯდომარე მუშა ურმოცაძე.

სახალხო ქონება არ უნდა იკარგებოდეს

მეორე შრომის სკოლაში არსებობს ხელგარჯილობის განყოფილება. მას განაგებს მასწავლებელი ამხ. ცომაია. გაკვეთილების შემდეგ ბავშვები მიდიან იქა და ეჩვევიან ხელ-საქმეს. პატარა ბიჭები წიგნებს კინძავენ, გოგონები ხელსაქმობენ, კერავენ და ქარგავენ. მათი შრომის ნაყოფით კედლები არის მოფენილი. ალტაცებაში მოდიხარ და გიხარიან, რომ ხედავ შრომის მოყვარეობას, რომელსაც პატარაობიდან ეჩვევიან ბავშვები. მათ ხელს უშლის მხოლოდ ხელსაწყოს უქონლობა.

ა.-წ. აპრილის დამლევს ამ სახელოსნოდან დაკარგულა ორი ზინგერის სისტ. ხელით საკერავი მანქანა. ვინ წაიღო ეს მანქანები დღესაც გაურკვეველია და არავითარი ზომებიც არ არის მიღებული.

ოკრიბელი.

კედლის გაზეთის მუშკორებში

21 ნოემბერს შესდგა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის კედლის გაზეთი „ნიშანსვეტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შესახებ. მუშკორთა შორის მუშაობის მომავალი პერსპექტივები. და სარედაქციო კოლეგიის გადახალისება.

სარედაქციო კოლეგიის წლიურ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ის. გოგიბერიძემ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შედარებით წინანდელთან მუშკორთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. წინედ გაზეთებში თავსდებოდა 8-9 დიდი და სუსტი შინაარსის წერილები. ამჟამად კი თავსდება 22 პატარა და შინაარსიანი წერილები. პროფორგანოები გვიწევენ სათანადო. ხელმძღვანელობას კედლის გაზეთი გამოცემის საქმეში. მომხსენებელმა შეკითხვებზე სათანადო პასუხი გასცა.

კამათში მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა. მათ აღნიშნეს მუშაობის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სარედაქციო კოლეგიის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად.

მუშკორთა მოძრაობის და მომავალი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „მუშას" წარმომადგენელმა ამხ. ვ. ნანუაშვილმა.

მომხსენებელი შეეხო კედლის გაზეთის მნიშვნელობას, მის სუსტ მხარეებს საერთოდ. იგი შეეხო აგრეთვე ადგილობრივ გაზეთს.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე მუშკორთა დევნისაგან დაცვის საშუალებანი და მომავალი. მუშაობის პერსპექტივები. კრებამ ამხ. ვ. ნანუაშვილის მოხსენება მიიღო ცნობად.

დასასრულ მოხდა სარედაქციო კოლეგიის გადახალისება. სარედაქციო კოლეგიაში არჩეულია ხუთი წევრი და ერთი კანდიდატი.

მუშკორი დამსწრე.

წარმოდგენა მუშებისათვის

21 ნოემბერს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ სოსო მეზურიშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა აზიანის სამ მოქმედებიანი. პიესა „ფული და ხარისხი".

პიესა ნათლად გადმოგვცემს ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თავად-აზნაურობის საბოლოო გახრწნას.

პიესა საუცხოვოდ ჩატარდა.

კარგს შთაბეჭდილებებს სტოვებს გ. პავლიაშვილის, მ. ქართველიშვილის და სხვათა მოხდენილი თამაში. პიესის მწყობრად ჩატარებას ხელს უწყობდნენ დანარჩენებიც. სცენის მოყვარეთ ეტყობათ მომზადება და საქმისადმი ხალისიანად მოპყრობა. მხატვრული მხარე ზედმიწევნით კარგი იყო, რაც უთუოთ ახალგაზრდა მსახიობ მეზურიშვილის მუყაით მუშაობას და უნარიანობას უნდა მიეწეროს.

საღამოს მშრომელი ხალხი ბლომად დაესწრო.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **კავშირის წევრობიდან გამორიცხვა.** თბილისის საყუდის ადგილკომმა კავშირიდან გამორიცხა გამცილებელი უდანოვი კავშირის დისციპლინის დარღვევისათვის.

— **სად. ხვირის მუშებში.** სად. ხვირის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა შეძენილ იქნეს ერთი რონოდა—„ვაგონეტკა" სადგურის საჭიროებისათვის.

— ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ მიანდო ამხ. დოიჯიშვილს გაზეთის გამოცემის საკითხის მოგვარება.

— **დახმარება ლენინაკანელებს.** სალიანდაგო სამსახურის მეექვსე უბ. თანამშრომელთა საერთო კრებამ გამოსთქვა სურვილი ლენინაკანის დაზარალებულ მუშების სასარგებლოდ გაიღოს სათანადო თანხა.

— **კავშირის წევრებად.** თბილისის საყუდის ადგილკომმა კავშირში გადარიცხა 24 კაცი.

ცეკავშირის 10 წ. თავი

25 დეკემბერს გაიხსნება ცეკავშირის რწმუნებულთა მე-12 ყრილობა. ამავე დღესთან შეფარდებულია ზეიმი ცეკავშირის არსებობის ათი წლის შესრულების გამო. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ: საბჭოთა, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ცეკავშირის არსებობის ათი წლის შესრულების გამო გამოცემული იქნება განსაკუთრებული კრებული, სადაც მოთავსებული იქნება ცეკავშირის მოღვაწეთა სურათები. იუბილეს აღსანიშნავად გამოუშვებენ აგრეთვე სპეციალურ საიუბილეო ქეტონებს.

რადიო-მშენებლობა

რადიო-ცენტრი

დამთავრდა მუშაობა თბილისში რადიო-ცენტრის მოსაწყობად. ცენტრში შედის ცენტრალური რადიო-ბიურო, გადამცემი რადიო-სადგური ნავთლუღში და მიმღები სადგური საგარეჯოში.

რადიო-ცენტრის მოწყობაზე მუშაობდა საბჭოთა კავშირის სუსტი ნაკადის ქარხნების ტრესტი. ორი კვირის მუშაობის შემდეგ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის კომისიამ შაბათს საღამოს საბოლოოდ დაამთავრა რადიო-ცენტრის მიღება.

კომისიამ მოახდინა რადიო-სადგურების ყოველგვარი ტეხნიკური გამოცდა და შემოწმება. გამოირკვა, რომ სადგურები დამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი და, ახლო ხანში შესაძლებელი იქნება მათი ექსპლოატაცია.

რადიო-ცენტრი საბჭოთა კავშირში არსებობს მხოლოდ მოსკოვში. თბილისის რადიო-ცენტრი მეორეა მთელს კავშირში.

რადიო-ცენტრის მოწყობა გრძელდებოდა სამ წელიწად ნახევარი, მისი მონტაჟი კი—3 თვე. გადამცემი სადგურის რადიუსი უდრის 3000—3500 მეტრს, სისწრაფე კი 60—70 სიტყვას წუთში.

ვისტონის ავტომატიურად გადამცემ აპარატის საშუალებით თბილისის რადიო-ცენტრი უშუალოდ დაუკავშირდება მოსკოვის რადიო-კვანძს. ერთდაიმავე დროს შესაძლებელი იქნება გადაცემაც და მიღებაც.

კომისია ამჟამად აწარმოებს საჭირო მასალების და აპარატების მიღებას სუსტი ნაკადის ქარხნების ტრესტისაგან. მათი ჩაბარების შემდეგ დაიწყება რადიო-ცენტრის საცდელი ექსპლოატაცია.

ფართომაუწყებელი

საბჭოთა კავშირის სუსტი დენის ქარხნების ტრესტმა დაამთავრა ფართომაუწყებელი სადგურის აგება ნავთლუღში. სადგურს ამ დღეებში ჩაიბარის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის და ამიერ-კავკასიის კავშირ-გაბმულობის საოლქო სამმართველოს კომისია.

აღნიშნული სადგური გამოყენებული იქნება შორსმაუწყებელ ქსელის მოსაწყობად თბილისის მუშათა კლუბებში და სამაზრო ცენტრებში.

სადგურიდან გადაცემული იქნება სხვადასხვა მოხსენებები, ლექციები, კონცერტები და სხვა. სადგური აგებულია ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ გაღებულ თანხებით.

სადგურის ტეხნიკური ექსპლოატაცია გადაეცემა ფოსტა-ტელეგრაფის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველოს, გადაცემის საორგანიზაციო მუშაობას კი (კონცერტების და ლექციების მოწყობა და სხვა) უხელმძღვანელებს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რადიო-კომისია.

სოფლის რადიოფიკაცია

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან არსებულმა რადიო-კომისიამ გადაწყვიტა ფართოდ გაატაროს ამიერ-კავკასიის სოფლებში რადიოფიკაცია.

განზრახულია სხვადასხვა სამაზრო ცენტრებში და სოფლებში დადგმული იქნეს 200-დე მიმღები აპარატი. აპარატები დადგმული იქნება არა ბინებზე, არამედ ქოხ-სამკითხველოებში ფართო აუდიტორიისათვის, ლექციების, მოხსენებების და კონცერტების მოსმენა გლეხებისათვის უფასო იქნება.

კომისიის მიერ უკვე შემუშავებულია მიმღები პუნქტების რამოდენიმე ტიპი. მათი განხორციელება დაიწყება ახლო ხანში.

ვინაიდან მიმღებ აპარატებზე სამუშაოთ საჭიროა სათანადო კვალიფიკაციის მუშაკები, გადაწყვეტილია ასეთების მოსამზადებლად ქოხ-სამკითხველოებთან გახსნილი იქნეს მოკლევადიანი კურსები.

კურსების პროგრამა უკვე შემუშავებულია.

განზრახულია რადიო-გადაცემის მთელი საქმე გადაიცეს სააქციო საზოგადოება „რადიოგადაცემა"-ს, რომელთანაც უკვე სწარმოებს მოლაპარაკება.

სოფლის რადიოფიკაციისათვის გამოყენებული იქნება ნავთლუღის შორსმაუწყებელი სადგური.

ფართლის შემოტანა

1925—26 წელში

(საუბარი საფეიქრო სინდიკატის თბილისის კანტორის გამგის მოადგილე—ამხ. შაპოშნიკოვთან)

— ჩვენი კანტორა,—განაცხადა სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის კანტორის გამგის მოადგილემ ამხ. შაპოშნიკოვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, — ემსახურება ტერიტორიას, რომლის სივრცე შეადგენს 44.000 კვ. ვერსს; ამ ტერიტორიაზე მოსახლეობს 1.500.000 სული. თბილისის კანტორის სამოქმედო რაიონში შედის აღმოსავლეთ საქართველო, ჩრდილოეთ სომხეთი და დასავლეთ აზერბეიჯანის ნაწილი.

გასული საოპერაციო წლის განმავლობაში ამ რაიონის მოსახლეობის ყიდვითი უნარიანობა საგრძნობლად გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო კარგმა მოსავალმა და მუშა-მოსამსახურეების ხელფასის ნაწილობრივმა გადიდებამ.

სულ თბილისის კანტორის სამოქმედო რაიონის მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად მთელი წლის განმავლობაში საჭირო იყო 33.000.000 მეტრი ბამბეული მანუფაქტურა, განყოფილების მიერ კი შემოტანილი იქნა 18.890.994 მეტრი.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნორმის მიხედვით, 1925-26 წელში შემოტანილი უნდა ყოფილიყო 21.600.000 მეტრი ბამბეული მანუფაქტურა. აღნიშნული რაოდენობა უნდა შემოეტანა საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებას და სხვა ორგანიზაციებს. თბილისის კანტორაზე მოდიოდა 85 პროც., დანარჩენი 15 პროც. უნდა შემოეტანა სხვა შემომტან ორგანიზაციებს.

თბილისის კანტორამ პირნათლად შეასრულა მაზზე დაკისრებული მოვალეობა: მან შემოიტანა 85 პროც. მეტი, საერთოდ კი, თუ ფაქტიურად შემოტანილი რაოდენობას შევადარებთ იმ 33.000.000 მეტრთან, რომელიც საჭიროა ჩვენი რაიონის მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, გამოვა, რომ განყოფილების ხვედრითი წონა ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეში გამოიხატა 56 პროც-ში.

თუმცა შემოტანილი საქონელი რაოდენობის მხრივ არ აკმაყოფილებდა ბაზრის გაცხოველებულ მოთხოვნილებას, მაგრამ ქსოვილების ასორტიმენტის მხრივ საქონლის მიწოდება სავსებით აკმაყოფილებდა მყიდველების გემოვნებას.

განყოფილების მიერ მიღებული საქონელი მთელი წლის განმავლობაში მეტად სწრაფად საღდებოდა და პირველ რიგში მიდიოდა გენერალური ხელშეკრულებების დასაფარავად; დარჩენილი საქონელი ნაწილდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

განყოფილების ბრუნვა მთელი წლის განმავლობაში უდრიდა 11.727.258 მანეთს; ეს თანხა ცალკე კონტრაგენტების შორის განაწილებულია შემდეგნაირად: სახელმწიფო ორგანოებზე მოდის მთელი წლიური ბრუნვის 28,10 პროცენტი, კოოპერატიულ ორგანიზაციებზე—38,80 პროც. და კერძო პირებზე—3.10 პროც.

აქედან სჩანს, თუ რა უმნიშვნელო როლს თამაშობდენ კერძო ვაჭრები განყოფილების ბრუნვაში; ბამბეული ქსოვილების მიმართ ეს როლი კიდევ უფრო მცირეა: მთელი წლის განმავლობაში კერძო პირებს მიეცა 339.153 მანეთის ბამბეული მანუფაქტურა, რაც საერთო ბრუნვის მხოლოდ 2.89 პროც. შეადგენს. ამრიგად, განყოფილების სავაჭრო პოლიტიკა და კურსი სახელმწიფო-კოოპერატიულ ქსელზე განხორციელებული იქნა მთლიანად.

სარწყავი არხი

კახეთში

ალაზნის სარწყავ არხის გასაყვან რაიონში ამჟამად მიმდინარეობს მიდამოების გადაღება ხელოვნურ ნაგებობათა ასაშენებლად. სწარმოებს მუშაობა მიწის სამუშაოებზე. ყოველდღიურად მუშაობს 1.200 კაცი. მუშებისათვის არხის გასაყვან რაიონებში აგებულია საზამთრო კარვები. მიწის სამუშაოები გაგრძელდება მთელი ზამთრის განმავლობაში.

ფართლეულის ბაზრის მოწესრიგება

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აგვისტოში მოახდინა კოოპერაციისა და სახელმწიფო სავაჭროების მიერ ფართლეულით საწვრილმანო ვაჭრობის გამოკვლევა, რომლის დროსაც აღმოჩნდა ფართლეულის კერძო ბაზარზე მიწოდების მრავალი შემთხვევა პროფესიონალურ-ჩარჩების მიერ. ამის გამო, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ, ამ არანორმალური მოვლენის აღმოფხვრის მიზნით, მაშინვე მისცა წინადადება მუშკოოპს და საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გააძლიერონ ჩარჩებთან ბრძოლა და არ დაუშვან დაწესებულ ნორმაზე მეტი ფართლეულის გაცემა, მათ რიცხვში თოფობითაც. ამ წინადადების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეთ სასტიკი სასჯელი მოელოდა. ამასთან ერთად საჭიროდ იქნა ცნობილი ფართო თათბირის მოწყობა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრის თავმჯდომარეობით; ამ თათბირს დაწვრილებით უნდა შეესწავლა კერძო ბაზრისათვის ფართლეულის მიწოდების საკითხი და გამოემუშავებია გადაყიდვის სისტემასთან ბრძოლის რაციონალური ზომები.

ამ საკითხის და მის შესახებ ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციის მოხსენების შესწავლის შედეგად, თავის უკანასკნელ სხდომაზე კოლეგიამ საჭიროდ სცნო ოპერატიულ-საორგანიზაციო და სასამართლო-ადმინისტრატიულ ხაზით და, აგრეთვე, პროფესიონალურ-საზოგადოებრივი დისციპლინის წესით ცხოვრებაში მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება.

კერძოდ, ოპერატიულ-საორგანიზაციო ხაზით, კოლეგიამ მიზანშეწონილად სცნო, რომ კოოპერატივებისა და სახელმწიფო სავაჭროების გამგეობებმა დააწესონ ფართლეულის ერთ ხელში გადაცემის საზღვრითი რაოდენობა ცალკე ქსოვილების და მიხედვით, აგრეთვე გაითვალისწინონ, თუ რამდენად ესაჭიროება ეს ფართლეული ბაზარს და როგორი სპეკულიაციის გაწევა შეიძლება მათზე, ამასთან კოოპერატივებში ამა თუ იმ სახის ქსოვილი უნდა იყიდებოდეს რიგის დაცვით, ე. ი. უნდა მიეყიდოთ ჯერ კოოპერატივის წევრებს, შემდეგ პროფკავშირების წევრებს, ხოლო სახელმწიფო სავაჭროებში—მხოლოდ და მხოლოდ პროფკავშირების წევრებსა და გლეხებს. ფართლეულის გაყიდვის დროს აუცილებლად უნდა იწერებოდეს გაყიდულის რაოდენობა. ამასთან ერთად ნოქრებს, სავაჭროთა გამგეების პასუხისმგებლობის ქვეშ, ევალებათ გამგეობის მიწერილობათა მტკიცე შესრულება ნორმების დაწესებისა და საწყობო წიგნაკებში ჩაწერის მხრივ, ხოლო იმ მაღაზიებში, სადაც არის კონტროლი, კონტროლის მოვალეობად ჩაითვალოს გაცემული ფართლის შემოწმება საწყობო წიგნაკში. ის თანამშრომელნი, რომელნიც შემჩნეული იქნებიან კერძო ვაჭრებთან რამე მორიგებაში, მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში. საჭიროდ იქნა, აგრეთვე, ცნობილი კოოპერატივის მიერ ღონისძიებათა გაძლიერება ადგილობრივ სარევიზიო სადუქნო კომისიების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და, აგრეთვე ჩეკებში ქსოვილის სახელწოდებისა და გაცემული მეტრაჟის ჩაწერის სისტემის გატარება იმ ფართლეულობაზე, რომლის გაცემაც შეზღუდულია.

ადმინისტრატიულ ღონისძიებათა ხაზით, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს კატეგორიულად აღკვეთოს ცენტრის დადგენილებათა დარღვევა ფართლეულის გაყიდვის შესახებ, რადგან არის მრავალი შემთხვევა, როცა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოების ორგანოები ბოროტად იყენებენ ცალკე ნებართვებს ვაჭრობაზე; მასვე მიეცა წინადადება მიიღოს ზომები სათანადო ადმინისტრატიულ ორგანოების წინააღმდეგ, რათა უკანასკნელებმა თვალყური ადევნონ კერძო ჩარჩებს, მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღებით.

კოლეგიამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს გადაყიდვასთან ბრძოლაში ჩააბას პროფესიული ორგანიზაციებიც; ამ უკანასკნელებმა მიიღონ კავშირის წევრებზე ზეგავლენის მოპოების ზომები და კავშირიდან და შრომის ბირჟიდან გამორიცხონ ის პირები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ჩარჩებთან რაიმე მორიგებაში. ამასთან ერთად საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ პროფორგანიზაციებმა დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი, აუხსნან გადაყიდვის დაუშვებლობა და დასვან ეს საკითხი სადუქნო კომისიებისა და ეკონომიურ თათბირების სხდომებზე. გადაყიდვის სისტემასთან ბრძოლაში საჭიროდ იქნა ცნობილი პრესის მონაწილეობაც.

გადამყიდველების წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებათა რიცხვში კოლეგიამ ამასთან ერთად მოიწონა სასამართლო ორგანიზაციებისა და პროკურატურისათვის დაგზავნილი ცირკულიარული წერილი, რომელიც განმარტავს იმ საკითხს, თუ როგორი კვალიფიკაცია გაუკეთდეს ფართლეულის კერძო ბაზარზე გადაყიდვის წესის ზოგიერთ სისხლის სამართლის სასჯელ დასადებ დარღვევას. ამ განმარტების თანახმად. გადამყიდველების მიერ სახელმწიფო საწვრილმანო ან კოოპერატიულ სავაჭროებიდან ფართლეულის გამოტანა უცხო კოოპერატიულ ან კავშირის წიგნაკებით (იმ შემთხვევაში, როცა განსაზღვრულია ფართლეულის გაცემა ამ წიგნაკებით), უნდა ჩაითვალოს ბოროტმოქმედებათ, ხოლო ანგარებითი მიზნით კოოპერატიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირების წევრთა მიერ საკუთარ კოოპერატიულ ან კავშირის წიგნაკების დათმობა კერძო მსყიდველებისათვის ფართლეულის შესაძენად ამავე ბოროტმოქმედებაში მონაწილეობად. რაც შეეხება ამ კერძო მსყიდველებისათვის აშნაირი ხერხით ფართლეულის მიყიდვას მაღალ ფასებში, ასეთი გაყიდვა ჩაითვლება სპეკულიაციად.

ლიბანის სანატორიუმი

თბილისში დაბრუნდენ ლიბანის სანატორიუმის საამშენებლო კომიტეტის წევრები ამხ. დეკი და ექ. კილურაძე, რომლებიც მოსკოვში იყვნენ სანატორიუმის აშენებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.

ექ. კილურაძის განცხადებით სანატორიუმის დანიშნულება იქნება მხოლოდ ტუბერკულიოზთან ბრძოლა დაწყებითი სტადიაში, მკურნალობა იწარმოებს რენტგენის სხივებით, წყლით მკურნალობის, სინათლით მკურნალობის და ელექტრონით მკურნალობის მეთოდებით. რენტგენის სხივებით მკურნალობა იქნება ორგანი-დიაგნოსტიური და წმინდა მკურნალობითი.

სანატორიუმთან მოწყობილი იქნება აგრეთვე: კბილის სამკურნალო კაბინეტი და საექიმო კაბინეტები: შინაგან ავადმყოფობის, ქირურგიული, ცხვირის, ყელის და ყურის.

საბოლოოთ გამოირკვა, რომ სანატორიუმი დაიტევს 155—205-დე ავადმყოფს.

ავადმყოფთა შორის კულტურული მუშაობის საწარმოებლად სანატორიუმში მოწყობილი იქნება ბიბლიოთეკა-სამკითხველო და საკონცერტო დარბაზი, რომელიც დაიტევს 250-მდე კაცს.

სანატორიუმის დერეფანი ზოგიერთ ადგილებში გაფართოებული იქნება 8 არშინზე. ავადმყოფები დერეფნიდან გავლენ ფართო ბანზე, სადაც მათ შეეძლებათ მზის ვანების მიღება და გასეირნება სუფთა ჰაერზე.

სანატორიუმის ირგვლივ გაშენებული იქნება ბაღები. გაიწმინდება გარემო მდებარე ტყე.

სანატორიუმის შენობა თითქმის დამთავრებულია.

უკვე აგებულია სამი ხის და ერთი ქვის საექიმო სახლები. მთავრდება მეხუთე ორსართულიანი ქვის სახლის აგება.

სანატორიუმის სამრეცხელოში და სამზარეულოში გატარდება სრული მექანიზაცია.

ექიმი გეგეჭკორი, რომელიც განზრახულია დაინიშნოს სანატორიუმის მთავარ ექიმათ, ამჟამად იმყოფება საზღვარგარეთ, სანატორიუმის საქმის სპეციალურად შესასწავლად.

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც იყო დანიშნული ცენტრის მიერ სანატორიუმის აშენების საქმის გამოსაკვლევად, თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ შენება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ცენტრში ამჟამად მუშავდება ხარჯთ-აღრიცხვა სანატორიუმისათვის საჭირო მოწყობილობათა შესაძენათ. ცენტრალურ და დამზღვევ სალაროს მიღებული აქვს ლიცენზია და მისი საშუალებით მივიღებთ სამკურნალო აპარატებს საზღვარ-გარეთიდან. საჭირო ჭურჭლეულობა იგზავნება სანატორიუმის განკარგულებაში.

ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია ყველა იმ სამუშაოების ჩატარება, რომლებიც საჭიროა სანატორიუმის გასამშვენიერებლად და კეთილმოსაწყობათ.

საყოველთაო აღწერის წინ

ა.-კ. პროფსაბჭოს ცირკულიარი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ ადგილებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი:

17 დეკემბრიდან საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე დაიწყება მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. აღწერის უნაკლოდ ჩატარება დამოკიდებულია ჩვენი კავშირის ფართო მასების დახმარებაზე და მათ მონაწილეობაზე აღწერაში.

პროფორგანიზაციებზე ამ მხრივ ბევრი რამაა დამოკიდებული — მათ აღწერის იდეა პოპულიარული უნდა გახადონ პროფკავშირების წევრებს შორის.

ა.-კ. პროფსაბჭო საჭიროთ სცნობს, რათა რესპუბლიკანურმა პროფსაბჭოებმა და საოლქო საკავშირო ორგანოებმა დაუგზავნონ ქვემდებარე ორგანიზაციებს შესაფერი დირექტივები 15 დეკემბრამდე. ყველა კონფერენციებზე და თათბირებზე გაკეთებულ იქნეს მოხსენებები აღწერის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

მოხსენებების თეზისებისათვის და მომხსენებელთა გამოსაგზავნად საჭიროების დროს უნდა მიმართონ რესპუბლიკანურ ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოებს.

თეზისები აღწერის შესახებ დაბეჭდილია გაზ. „კომუნისტში" 18 ნოემბრის ნომერში (№ 261).

აღწერის ქრონიკა

„საალწერო მასალები"

ცენტრ. საალწერო კომიტეტმა დაუგზავნა მაზრებს საჭირო საალწერო მასალები (ფორმულიარები, ინსტრუქციები, საალწერო ბარათები და საკანც. ნივთები).

კომიტეტმა უკვე მიიღო ცნობა, რომ აღნიშნული მასალები მიღებული აქვთ რესპუბლიკის ათ მაზრაში.

აღმწერელთა რაოდენობა

უკანასკნელი ცნობებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღწერაზე იმუშავებს 4.300 აღმწერი. მარტო თბილისში 600 კაცი იმუშავებს.

სამხედრო ნაწილებში

სამხედრო უწყების დაწესებულებებსა და სამხედრო ნაწილებში აღწერის ჩასატარებლად შექმნილია ცალკე კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიმუშაოს აღნიშნულ უწყებაში აღწერის ჩასატარებლად განსაკუთრებული გეგმა.

დამატებითი ინსტრუქცია

იბეჭდება და ახლო ხანში გაეგზავნება ადგილებს დამატებითი ინსტრუქციები აღწერასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხების განმარტების მიზნით.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. ს. ხმალაძის მოხსენება

ადმინისტრატიული განყოფილების მუშაობის შესახებ

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში (1925—26 წ.) ადმინისტრატიულმა განყოფილებამ რამოდენიმეჯერ განიცადა რეორგანიზაცია გამოცემულ დებულებების მიხედვით. უკანასკნელად რეორგანიზაცია ჩატარდა მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით: შემცირებულ იქნა მაგიდათა რიცხვი, რასაც მოჰყვა ხარჯების შემცირება 1.580 მანეთის რაოდენობით. ამჟამად მილიციის შტატი შესდგება 532 კაცისაგან. მთავარ კონტინგენტს წარმოადგენს გლეხობა, შემდეგ მუშები, ინტელიგენტები და სხ. მილიციის კვალიფიკაციის ასაწევად წელს მიღებული იქნა სათანადო ღონისძიებები. 1924 წლიდან მილიციის შტატი თანდათან ივსება დემობილიზაციაქმნილ წითელარმიელებიდან; ამასთან ერთად საანგარიშო პერიოდში მოეწყო სამილიციო სკოლა, რომელიც ყოველ თვენახევარში უშვებს 40-დე გაწრთვნილ მილიციელს. მილიციის უფროს მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად მოწყობილია წლიური კურსები, სადაც სათანადო მომზადებას ღებულობენ ის პირები, რომელთაც გამოიჩინეს უნარი და ნიჭი ადმინისტრატიულ მუშაობაში. გასულ წელს სამილიციო სკოლამ გამოუშვა 200 კაცი, მხოლოდ მეთაურთა შემადგენლობის სკოლამ 40. ამასთან ერთად მილიციის ღირსებისა და ავტორიტეტის ასაწევად არსებული შტატი გაიწმინდა ანტი-საბჭოთა და ანტი-პროლეტარულ ელემენტებიდან.

რაც შეეხება თვით მილიციელთა მდგომარეობას, ოდნავ გაუმჯობესებულ იქნა მათი მატერიალური მდგომარეობა და პირველად საანგარიშო პერიოდში შემოღებულ იქნა მათი დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ადმინისტრატიულ ქვეგანყოფილებათა მოქმედებას.

საანგარიშო წელს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა ხულიგნობასთან ბრძოლას. მთელი წლის განმავლობაში აღრიცხულია სულ ხულიგნობის 3.962 შემთხვევა. აქედან პირადათ ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის მიერ გარჩეულ იქნა 3.360 საქმე, ხოლო მორიგ კამერას განსახილველად გადაეცა 1.599 საქმე. ამავე პერიოდში აღრიცხულია 6.167 ბოროტმოქმედება, ამ რიცხვიდან სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღმოჩენილია 4.161 შემთხვევა ე. ი. 80 პროცენტი, რაც იშვიათს პროცენტს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მილიციის მოღვაწეობაში. ასეთივე წარმატებით ჩატარდა ბრძოლა ბანდიტიზმთან: ბანდიტების დიდი ნაწილი ან ფიზიკურად იქნა განადგურებული, ან დაპატიმრებულია.

ადმინისტრატიულ განყოფილების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქუჩებში მოძრაობის სრული მოწესრიგება, რის შემდეგაც საგრძნობლად იკლო, თითქმის სრულიად მოისპო უბედური შემთხვევები.

ადმინისტრატიული განყოფილების მუშაობის შესახებ გამართულ კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი განყოფილების მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

ტრამვაის ტარიფი

იმ კომისიის სახელით, რომელიც კომუნალური სექციის მიერ, ტრამვაის ტარიფის შემცირების საკითხის შესასწავლად იქნა არჩეული, მოხსენება გააკეთა ამხ. ქიასაშვილმა. კომისიის დასკვნით,—განაცხადა მომხსენებელმა შეუძლებელი არის დღევანდელ პირობებში ტრამვაის ტარიფის შემცირება, რადგან ასეთი შემცირება გამოიწვევდა ტრამვაის შემოსავლის საგრძნობ დაკლებას და ამით ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა ტრამვაის მთელ მეურნეობას.

პლენუმმა მიიღო მოხსენება ცნობად.

ზაჰესის ტარიფი

თბილისის საბჭოს გუშინდელმა პლენუმმა მოისმინა ამხ. ასრიევის მოხსენება ზაჰესის ელდენზე ტარიფის დაწესების შესახებ, ერთ თავის სხდომაზე თბილისის საბჭომ გამოსთქვა სურვილი, რომ ზაჰესის ენერგიის ყოველდღიური მოხმარებისათვის მცხოვრებლების მიერ დაწესებული ყოფილიყო დიფერენციალური ტარიფი, ე. ი. ქირა ზაჰესის ენერგიის მოხმარებისათვის გამოანგარიშებული ყოფილიყო მომხმარებელთა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. საგანგებო კომისიამ განიხილა და შეისწავლა ეს საკითხი და მიზანშეუწონლად უცვნია დიფერენციალური ტარიფის დაწესება შემდეგი მოსაზრებებით.

დიფერენციალური ტარიფის გატარებისათვის აუცილებელია, რომ ყოველ მომხმარებელს ჰქონდეს თავის საკუთარი აღმრიცხველი, კომუნალურ განყოფილებას კი დღესდღეობით საშუალება აქვს შეიძინოს და დასდგას მხოლოდ 5 ათასი აღმრიცხველი; მეორე მხრით,—მომხმარებელთა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის გამოსარკვევად საჭიროა მოსამსახურეთა დიდი შტატი; შემდეგ ენერგიის ხარჯის აღრიცხვაც ყოველ ცალკე შემთხვევაში მეტად ძნელ და რთულ საქმეს წარმოადგენს. ამ მოსაზრების გამო კომისიამ უარჰყო დიფერენციალური ტარიფი და დააწესა ერთიანი ტარიფი მომხმარებელთა ყველა კატეგორიისათვის. **ამ ერთიანი ტარიფით ყოველ კილოუატ საათზე წესდება 10 კაპ.** დანარჩენ აბონენტთათვის კი გამომუშავებულია შემდეგი ტარიფი: ქუჩის განათებისათვის—5 კაპეიკი, ტრამვაისათვის—7.5 კაპ., წყალსადენისათვის—3 კაპ., რკინისგზის სახელოსნოებისათვის—5 კ. ქარხნებისათვის—6.5 კაპ. პირველი თანრიგის მაღაზიებისათვის 45 კაპ., მეორე თანრიგის მაღაზიებისათვის—30 კაპ., სამრეწველო [illegible] დაწესებულებებისათვის—20 კაპ., სახელმწიფო სამხედრო დაწესებულებებისათვის კი 15 კაპეიკი.

პლენუმმა დაამტკიცა კომუნალური განყოფილების მიერ გამომუშავებული ტარიფი.

ავტომობილის კატასტროფა მცხეთასთან

თბილისიდან თერთმეტი ვერსის მანძილზე მოხდა ავტომობილის კატასტროფა.—კატასტროფის დროს დაშავდენ: საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი, ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, სახ. უნივერსიტეტის რექტორი ამხ. თედო ღლონტი, ნ. ელიავა და ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი კაჭარავა ა.—კატასტროფის დროს დაიღუპა ამხ. თედო ღლონტის მეუღლე ვ. სალარაძე.—დაჭრილთა სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის.—

როგორ მოხდა კატასტროფა

კვირას, 28 ნოემბერს, დაახლოებით 3 საათზე ზაჰესიდან თბილისისკენ მომავალმა ავტომობილმა № 118 თბილისიდან მე-11-ე ვერსზე (სამხედრო გზაზე) განიცადა კატასტროფა.

ავტომობილში ისხდენ საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. თედო ღლონტი, ვერა სალარაძე (თედო ღლონტის მეუღლე), საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, ნიკო ელიავა და ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი კაჭარავა.

ავტომობილს მართავდა შოფერი გიორგი სვანი.

კატასტროფის დროს დაიღუპა ვერა სალარაძე.

ავტომობილში მჯდომნი ყველანი დაშავდენ.

კატასტროფის ადგილზე გაემგზავრა ამხ. ი. ვარძიელი, ლ. სუხიშვილი, მესხი, სასამართლოს და სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენლები.

ამხ. თედო ღლონტი მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. კატასტროფის დროს ამხ. ღლონტს მიღებული აქვს მარცხენა წინა მხრის ე. ი. სხივის ძვლის მოტეხილობა, თავზე გაკაწრული აქვს კანი, დაგლეჯილი აქვს მარცხენა ხელის უსახელო თითის კანი, დაჟეჟილი აქვს მარცხენა წვივი და გაკაწრული აქვს კანი.

კვირა საღამოს ამხ. ღლონტს ემჩნეოდა ტვინის შერყევის ნიშნები და მას დაკარგული ჰქონდა ცნობიერება.

გუშინ ამხ. ღლონტის ჯანმრთელობას გაუმჯობესება დაეტყო.

ტემპერატურა აქვს 37,2, მაჯა—90. სუნთქვა —16,18, ცნობიერება აღდგენილი აქვს.

ამხ. ღლონტს ექიმობენ პროფ. მუხაძე, მაჭავარიანი და მიქელაძე.

სპეციალურად მეთვალყურეობს ორდინატორი ჯიბუტი.

კატასტროფის მიზეზების გამომკვლევი კომისიისაგან

(კომისიის ოქმი)

1926 წ. 29 ნოემბერს განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაინიშნა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებით: რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწის ამხ. ი. ი. ტალახაძის თავმჯდომარეობით: და წევრთა შემდეგი შემადგენლობით სახალხო კომისართა საბჭოსაგან ამხ. ვაშკევიჩი, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციისაგან ამხ. კერვალიძე, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსაგან ამხ. შაფიროვი, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან—ცოვიანოვი, ამ.-კავკ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოსაგან ამხ. ვოლიანსკი, ამ.-კავკ. „ავტოპრომტორგი"-დან—ამხ. ამირაჯიბი, საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოდან — ოვანესოვი,—გაემგზავრა კატასტროფის ადგილზე, რომ გამოერკვია ის კატასტროფის მიზეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1926 წ. 28 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, საქართველოს სამხედრო გზის მე-11 ვერსზე.

გამოირკვა შემდეგი:

1. საქართველოს სამხედრო გზა თბილისიდან 11 კილომეტრის მანძილზე სწორხაზოვანია, ადგილი სწორია, მცირეოდენი ამაღლებით (0,02) [illegible] დაღმართის (0,06) შემდეგ მცხეთის მხრით გზის ორთავე მხარეზე არის გვერდების თხრილები, რომელთა იქით მარჯვნით იმყოფება ბორცვი. ეს ბორცვი ნახევარი საჟენით მაღალია გზასთან შედარებით. გზა მშრალია. გზის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, ალაგ-ალაგ არის უსწორ-მასწორო ადგილები.

2. ავტომობილის ხადგომი ადგილი: როგორც დარჩენილი ნიშნებიდან სჩანს, დაახლოებით 40 საჟენის მანძილზე ტელეგრაფის ბოძიდან, რომელსაც დაეჯახა ავტომობილი, შესამჩნევია შებრუნების და დამუხრუჭების კვალი. სჩანს, რომ ავტომობილმა ამ ადგილას შეუხვია მარჯვნივ, სწრაფად გადაირბინა თხრილი-ბორცვი; თვით ბორცვზე ემჩნევა მარჯვენივ შებრუნების კვალი. ავტომობილმა გადაირბინა ბორცვი და ფარის მიმარჯვენი წინა ნაწილით დაეჯახა ტელეგრაფის №167/10 ბოძის რკინის ნაწილს. ბოძზე არის დაჯახებისა და ბოძის გადალუნვის კვალი, ბოძის ქვედა მხარე. რომელიც ხის ნაწილს ამაგრებს რკინაზე მოწყვეტილია.

3. ავტომობილი „პაკარდი"-ს სისტემისაა, №118, მამოძრავებელი № 212284 სდგას სამი ნაბიჯის მანძილზე ბოძიდან თავისი უკან სვლის მიმართულებით, დაახლოებით 200 გრადუსით. პატარა ფარი მოგლეჯილია, რადიატორის საცობი მოგლეჯილია და მიწაშია ჩაფლული, რადიატორის ზემო ნაწილი მოხრილია, მარჯვენა ფარა მოლუნულია და შუშა დამსხვრეულია, ორთავე წინა ფრთები და ერთი უკანა ფრთა მოლუნულია, პარბრიზი კრონშტეინებით დამსხვრეულია, საჭეს შტურვალს ემჩნევა გაკაწრის კვალი, საჭის დამამაგრებელი ნაწილი მოწყვეტილია, მარცხენა საფეხური მოლუნულია, წინა მარცხენა რესორის მთავარი ტკეჩი დამტვრეულია. დათვალიერების დროს კომისიამ გამოარკვია, რომ რესორის ტკეჩის შუა ნაწილი წინეთვე ყოფილა გაბზარული, გვერდებზე კი ემჩნევა ახალი გადატეხვის კვალი. მარჯვენა უკანა რესორის მთავარი ტკეჩი მაღლა არის აწეული, რაიც კომისიამ ავტომობილის ბოძზე დაჯახებით ახსნა. მუხრუჭის წინა მიმარცხენე ბერკეტი ამოვარდნილია. კომისია ფიქრობს, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო იმ მომენტში, როცა ავტომობილმა გადაირბინა თხრილი და ბორცვი.

4. დასკვნა: ავტომობილი მიდიოდა არა ნაკლებ 30 კილომეტრის სისწრაფით საათში. როცა იგი დაუშვა დაღმართზე (0,06) 40 საჟენის მანძილზე ზემოხსენებული ბოძიდან, მარჯვენივ შეუხვია; როგორც კომისია ფიქრობს, რესორების დამტვრევის შემდეგ საჭე მძლავრად სწეოდა მარჯვენივ და ავტომობილის მართვის საშუალებას არ იძლეოდა, მიმარცხენე ბორბალმა წაიწია წინ, რის გამოც მოხდა შეტრიალება მარჯვნივ. თხრილში ჩავარდნის დროს მარცხენა წინა სამუხრუჭო კალაპოტიდან ამოვარდა ღერძი, რის გამოც წინა მუხრუჭებმა შეუწყვიტეს მოქმედება. როცა ავტომობილმა გადაირბინა თხრილი და ბორცვი, იგი ძლიერი ძალით დაეჯახა ბოძს წინა მარცხენა ფრთით. იმის გამო, რომ დაჯახება მოხდა ერთი გვერდით, ავტომობილის უკანა ნაწილმა მაღლა აიწია, მაერთში შებრუნდა და ტრიალით დაიშვა რადიატორზე, პარბრიზზე და საჭის შტურვალზე; ამის შემდეგ ავტომობილი ისევ ბორბლებზე შედგა თავისი უკან მსვლელობის მიმართულებით. უნდა ვიფიქროთ, რომ დაჯახების მომენტში მგზავრები ავტომობილში იყვნენ. ადგილზე არის სისხლი ქალის და თავის ქალის, ტვინის და თმის ნაწილები.

კომისიის თავმჯდომარე რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე ი. ტალახაძე.

ავადმყოფების მდგომარეობა

კვირას, დაახლოებით საღამოს 4 საათზე ქალაქის მეორე საავადმყოფოში (ყოფ. ალექსანდრეს) მოიყვანეს კატასტროფის დროს დაშავებული საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი და ა.-კ. კომ. უნივერსიტეტის სტუდენტი ამხ. კაჭარავა და მოათავსეს ქირურგიულ კლინიკაში. ავადმყოფებს ექიმობს პროფ. მაჭავარიანი.

ამხ. ს. ჯუღელის მდგომარეობა

გასინჯვის დროს ამხ. ს. ჯუღელს აღმოაჩნდა ოთხი მსუბუქი ჭრილობა პირის სახეზე. თავის წინა, მარცხენა ნაწილში, აღმოჩნდა დიდი ჭრილობა. ავადმყოფი განიცდიდა დიდ ტკივილებს მარცხენა იდაყვის და წინა მხართა ძვლების საშუალო მესამედში. მარცხენა ზევითა კიდურის მოქმედება შეზღუდულია და მასში მოძრაობა იწვევს ტკივილებს.

სათანადო დახმარების აღმოჩენის და მორფიუმის შეშხაპურების შემდეგ ავადმყოფმა ღამე დამაკმაყოფილებლად გაატარა და ღამის 12 საათიდან დილის 5 საათამდე ეძინა.

ვინაიდან ჭრილობა განბინძურებული იყო, ავადმყოფს, გუშინ შეხვევის შემდეგ შეუშხაპურეს კრუნჩხვითი ავადმყოფობის საწინააღმდეგო შრატი.

პროფ. მაჭავარიანის აზრი

პროფ. მაჭავარიანის ცნობით, ამხ. ს. ჯუღელის მდგომარეობა კვირას მძიმე იყო. ავადმყოფის ტემპერატურა უდრიდა—38 გრადუსს, მაჯის ცემა—100-ს და სუნთქვა 30-ს.

გუშინ ავადმყოფის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. ავადმყოფს გადაუღეს მარცხენა, ზევითა კიდურის იდაყვის და წინა მხარის ძვალთა რენტგენის სურათი. ტემპერატურა გუშინ დილით 37,9 გრადუსს უდრიდა, მაჯის ცემა—95-ს და სუნთქვა—24-ს.

საღამოს ტემპერატურა უდრიდა 38,5 გრადუსს, მაჯის ცემა—96-ს და სუნთქვა—18-ს.

ავადმყოფის საერთო მდგომარეობა საღამოს უფრო დამაკმაყოფილებელია.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მდგომარეობა

საქართველოს ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე მოთავსებულია თავის ბინაზე. ავადმყოფს ექიმობს პროფ. კახიანი.

ინჟ. ჭიჭინაძეს დაზიანებული აქვს ცხვირი, რომლის ლორწოვანი გარსი გაგლეჯილია. დაზიანებულია აგრეთვე იდაყვები და მუხლი, ტემპერატურა უდრის—38 გრადუსს.

პროფ. კახიანის აზრით ავადმყოფის საერთო მდგომარეობა ჯერ-ჯერობით საიმედოა. ცხვირის ლორწოვან გარსის დაზიანებამ თუ გავლენა არ იქონია შემდეგში ტვინზე, ავადმყოფის მდგომარეობა საშიშროებას არ წარმოადგენს.

ამხ. თედო ღლონტის ჯანმრთელობა

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორია ამხ. თედო ღლონტის მდგომარეობა, პროფ. მუხაძემ განაცხადა:

ტვინის შერყევის სუსტი ნიშნები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ გუშინ, დღეს უკვე გაქრა. გუშინ დილით ავადმყოფი მოვიდა გრძნობაზე. მართალია ავადმყოფს ტკივილები მალე არ გაუვლის და მას ექნება ხანგრძლივი ხასიათი, მაგრამ სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ მოელის.

ნიკო ელიავას მდგომარეობა

ავადმყოფი ნიკო ელიავაც მოთავსებულია ბინაზე, მასაც პროფ. კახიანი ექიმობს. მას დაზიანებული აქვს კეფის მიდამო და კანში ჩაქცეული აქვს სისხლი. დაჟეჟილი აქვს კისერი.

პროფ. კახიანის განცხადებით არც ნ. ელიავას მდგომარეობა წარმოადგენს საშიშროებას.

ამხ. კაჭარავა

ავადმყოფ კაჭარავას აღმოაჩნდა თავის ქალას საფართა აცილება დიდ მანძილზე. მას გარდა შუბლის მიდამოებზე შემჩნეულია ირიბი ხაზოვანი, 3—4 სანტიმეტრის სიგრძის ჭრილობა საიდანაც, უხვად გამოდიოდა სისხლი.

ავადმყოფი შფოთავს და დროგამოშვებით არეულად ლაპარაკობს.

სათანადო დახმარების და მორფიუმის შეშხაპურების შემდეგ, ავადმყოფი დროებით დამშვიდდა. ღამე გაატარა მოუსვენრად ძალიან ცუდად ეძინა.

ავადმყოფის ტემპერატურა კვირა ღამით უდრიდა—37,9 გრადუსს, მაჯა109-ს და სუნთქვა—25-ს.

პროფ. მაჭავარიანის სიტყვით ამხ. კაჭარავას საერთო მდგომარეობა კვირას საკმაოდ მძიმე იყო.

გუშინ დილით ავადმყოფის ტემპერატურა უდრიდა—37.3 გრადუსს. მაჯის ცემა—95. სუნთქვა—25-ს. საღამოს ტემპერატურა—37,5 გრადუსს.

დღეს ავადმყოფის მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ მოუსვენრობას მაინც განიცდის.

შოფერის ნაამბობი

შოფერმა სვანმა კატასტროფის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი უამბო:

თბილისიდან ზაჰესში გავემგზავრეთ დაახლოებით დილის 11 საათზე. ამხ. ჯუღელი, ღლონტი და სხვები მიდიოდენ ზაჰესის დასათვალიერებლად. უკან გამობრუნებისას ავტომობილს გაუტყდა რესორი და თბილისიდან მე-11-ე ვერსზე დაეჯახა ტელეგრაფის ბოძს. მე შევეცადე შეჩერებინა ავტომობილი, მაგრამ ვერ შევსძელი.

ავტომობილის უკანა ნაწილში ისხდენ: ამხ. თედო ღლონტი, მისი ცოლი და სიმონ ჯუღელი. წინა ნაწილში ისხდენ ნიკო ელიავა და კაჭარავა. ბესო ჭიჭინაძე ჩემთან იჯდა.

პირველი საექიმო დახმარება ზაჰესის ექიმმა აღმოგვიჩინა.

დაშავებულნი თბილისში ჩამოიყვანა მცხეთიდან მომავალმა კერძო ავტომობილმა და „ზაკავტოპრომტორგის" ავტობუსმა. დაჭრილებს საექიმო დახმარება კამოს სახელობის საავადმყოფოში აღმოუჩინეს.

ავტომობილი ძლიერი სისწრაფით მიმყავდა. ჩემი სისწრაფე საათში 60—65 ვერსს აღემატებოდა.

ვერა სალარაძის გვამი მოთავსებულია რესპუბლიკის პროზექტურაში.

შოფერ ბეჟანოვის ნაამბობი

ამხ. სიმონ ჯუღელი და კაჭარავა ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში მიიყვანა „ზაკავტოპრომტორგი"-ს შოფერმა ბეჟანოვმა.

ბეჟანოვმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი უამბო: მე მცხეთიდან მომყავდა მგზავრები. კატასტროფის ადგილზე, რომ მივედი თვალის წინ წარმომიდგა საშინელი სურათი.

დამტვრეული მანქანა გადაბრუნებული იყო, იქვე გვერდზედ ეგდო დაღუპული ქალის გვამი, როგორც შემდეგ გავიგე ის ყოფილა ამხ. თ. ღლონტის მეუღლე. გვამი საზარელ სურათს წარმოადგენდა, გახეთქილ თავის ქალიდან ამოვარდნილი ტვინი მიწაზე ეგდო.

შოფერი გ. სვანი აქეთ-იქით გიჟივით დარბოდა და რაღაცას უაზროდ ლაპარაკობდა.

მე გადმოვსვი ჩემი მგზავრები, ჩავსვი ამხ. ჯუღელი და კაჭარავა და წამოვიყვანე საავადმყოფოში. დაშავებულ ამხანაგებს სახიდან სისხლი გადმოსდიოდათ.

საავადმყოფოში მისვლისას ამხ. ჯუღელი დაუხმარებლივ გადმოვიდა მანქანიდან და წავიდა კლინიკაში.

საანგარიშო საბჭო

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა საანგარიშო საბჭოს შემდეგი შემადგენლობა: ავაქიანი (რკ. გზ. ინსპექციის უფროსი), ა. აზატიანი (ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ კურსების ლექტორი), აპრესიანი (ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზ-ბის მთ. ბუხგალტერი), ბაქრაძე (მუშკოოპის მთ. ბუხგალტერი), ბოვშიკი, ვოიცეხოვსკი („ზაკგოსტორგის" მთ. ბუხგალტერი), გალპერინი (საანგარიშო ინსტიტუტის ლექტორი), გეგინეიშვილი (საქ. მუშ. და გლეხ. ინსპექციიდან), გოკიელოვი (სახელმწიფო ბანკის მთ. ბუხგალტერი), ჯანელიძე (საქ. ს. მ. უ. ს. მთ. ბუხგალტერი) ლეიტონი (ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციიდან), ლიუტი (ზეთის და საპნის ტრესტის მთ. ბუხგალტერი), ლუსნიკიანი (ა.-კ. ცაკ-ის მთ. ბუხგალტერი), ოზოლოვსკი (სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის მთ. ბუხგალტერი), პოლიაკოვი (ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციიდან), რეუტი (ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთ. ბუხგალტერი), ხვანიძე (საქ. ფინსახკომიდან), სიმონიანი (ა.-კ. ფინსახკომიდან), სტეფანიანი (საქ. შავი-ქვის სამმართველოს მთ. ბუხგ.) ტარბეევი (ა.-კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზ-ბის მთ. ბუხგალტერის თანაშემწე), ტიმოშენკო (ა.-კ. რკ. გზ. კონსულტანტ-ბუხგალტერი), შვეცოვი (ა.-კ. კოოპ. კავშირის მთ. ბუხგ. თანაშემწე) და ეჯოშვილი (საქ. მიწათმოქმ. კომისარიატის მთ. ბუხგ.).

საანგარიშო საბჭოს წლი-ნახევრის განმავლობაში ჰქონდა 38 სხდომა, მოისმინა 27 მოხსენება ანგარიშ-წარმოების, ანგარიშიანობის და საბჭოს მუშაობის შესახებ.

მომავალში საანგარიშო საბჭოს სხდომები უფრო ხშირად გაიმართება.

ქაღალდი

მიმდინარე საოპერაციო წელში ქაღალდის შემოზიდვა სუსტად სწარმოებს. ეს აიხსნება იმ მიზეზებით, რომ ტრანსპორტს არა აქვს საკმაო რაოდენობის ვაგონები. გასულ ოქტომბრის თვეში ამიერ - კავკასიაში უნდა შემოზიდულიყო გეგმის მიხედვით 74 ათასი ფუთი ქაღალდი, მაგრამ შემოიზიდა მხოლოდ 55 ათასი ფუთი ქაღალდი. მათ შორის საქართველოში შემოიზიდა 28.500 ფუთი ქაღალდი, სომხეთში — 1.500 ფუთი ქაღალდი და აზერბეიჯანში — 25 ათასი ფუთი ქაღალდი. ქაღალდის შემოზიდვა ნოემბერში უკეთესად სწარმოებს.

საგზაო მშენებლობა

ოზურგეთ - ქობულეთის გზატკეცილი

წინასწარი მუშაობა ოზურგეთ - ქობულეთის გზატკეცილების გასაყვანად უკვე დასრულდა. გზატკეცილის საერთო სიგრძე იქნება დაახლოებით 28 კილომეტრი. საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს უკვე აქვს შემუშავებული გზატკეცილის პროექტი. მუშაობა დაიწყება არა უადრეს მომავალი წლის მარტისა. გზატკეცილის გასაყვანად გადადებულია 50 ათი ათასი მანეთი.

ქუთაის - წყალტუბოს გზატკეცილი

ქუთაის - წყალტუბოს გზატკეცილის მოვლა დაევალა საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოს. სამმართველომ დააწესა გზატკეცილის შტატი ერთი გზის ოსტატისა და 4 შემკეთებელ მუშის შემადგენლობით. გზატკეცილის ექსპლოატაცია მთლიანად გადადის საქ. გზატკეცილთა სამმართველოს ხელში.

ტყვარჩელის ქვანახშირი

ტყვარჩელის ქვანახშირის მადნების ექსპლოატაციის დაწყების მიზნით, წელს შესრულებული იქნება შემდეგი სამუშაოები: ტყვარჩელის გამოკვლეულ ქვანახშირის რაიონებიდან საერთო ნიმუშების გადაგზავნა მათი გამოცდისა და გამოყენების მიზნით; კვლევაძიების წარმოება სანახშირო რაიონებში რკინის გზის გასაყვანად და ნავთსადგურის მოსაწყობად, ჰიდრო ელექტრონული კვლევაძიების მოხდენა და გზატკეცილის გაყვანა გობ-ტყვარჩელის რაიონში, სადაც ნახშირის მადნების გამოკვლევა უკვე დამთავრებულია. ამავე დროს გაგრძელდება გამოკვლეულ რაიონებთან ახლო მდებარე ქვანახშირის მადნების კვლევაძიების წარმოება.

ყველა ამ სამუშაოების შესასრულებლად დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვა 241.000 მანეთის რაოდენობით.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ აღძრულია შუამდგომლობა ა.-კ. უმაღლესი ორგანოების წინაშე იმის შესახებ, რომ ტყვარჩელის მადნების გამოსაკვლევ მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ ა.-კ. და საბჭოთა კავშირის იმ ორგანიზაციებმაც, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნახშირის მრეწველობით. აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსდეს ტყვარჩელის სპეციალური კომიტეტი.

ფეხსაცმელები

ოქტომბერში მთელს ამიერ - კავკასიაში შემოიზიდა 698 ათასი მანეთის ტყავეულობა და ფეხსაცმელები. აღნიშნულ საქონლის შემოზიდვა სწარმოებდა უმთავრესად საქართველოსა და აზერბეიჯანში. საქართველოში შემოიზიდა 127.000 მანეთის ტყავეულობა და ფეხსაცმელები, ხოლო აზერბეიჯანში 436.000 მანეთის.

მიუხედავათ ამისა, ნაკლულევანებას ბაზარზე ადგილი არ ჰქონია. ეს აიხსნება მით, რომ აღნიშნულ თვეში დიდი იყო ბაზარზე წარსული წლის მარაგი.

ნოემბერში ტყავეულობისა და ფეხსაცმელების შემოზიდვა თანდათან იზრდება.

არქეოლოგიური აღმოჩენა

ქუთაისის ისტორიულ - არქეოლოგიური მუზეუმი ამჟამად აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს სოფელ საყულიაში, რომელიც დაშორებულია ქუთაისიდან 20 ვერსით, სადგურ მუხიანსა და აღნიშნულ სოფელს შორის.

გათხრის დროს ამ სოფელში აღმოჩენილი იქნა შემდეგი არქეოლოგიური საგნები: თიხის ქვევრი, ადამიანის ძვლები, რკინის საუკუნის ნაჯახი, ბრინჯაოს საუკუნის ბეჭედი სურათით, რგვალი სამაჯურები, ორი ნაჭერი ბრტყელი სამაჯური სხვადასხვა სურათებიანი და სხვა.

ყველა ზემოჩამოთვლილი ნივთები ეწყობა ერთ ჭურჭელში. ფიქრობენ, რომ აღნიშნული საგნები უნდა ეკუთვნოდეს გარდამავალ ეპოქას ბრინჯაოს და რკინის საუკუნოებს შორის.

ხანძარი

ტყიბულის მაღაროებში

26 ნოემბერს, ღამით, ტყიბულის მაღაროებში გაჩნდა დიდი ხანძარი. ცეცხლი მოედო ქვანახშირის ზედა ფენას და რომ სასწრაფო ზომები არ მიეღოთ ხანძარი მოედებოდა მაღაროების ქვედა ფენებსაც და შემდეგ მისი ჩაქრობა თითქმის შეუძლებელი გახდებოდა.

ხანძრის გაჩენის შესახებ სასწრაფოდ იქნა მიღებული ცნობა სახ. სათბობ. განყოფილებაში, რომელმაც დანიშნა კომისია ხანძრის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად და ცეცხლთან საბრძოლველი ზომების გამოსამუშავებლად. კომისია ინჟ. ყიფიანის და წულუკიძის მეთაურობით შაბათს გაემგზავრა ტყიბულში.

გუშინ სახ. სათბობის განყოფილებამ კომისიისაგან მიიღო ცნობა, რომ ხანძარი სრულიად ჩააქრეს და მუშაობა ჩვეულებრივათ გრძელდება. კომისია იტყობინება, რომ მაღაროების მუშებმა დაადგინეს ხანძრით მიყენებული ზარალი აანაზღაურონ ზედმეტი მუშაობით.

ხანძარი ჩააქრეს 27 ნოემბერს საღამოს.

ასანთი

ადგილობრივ დამზადებული ასანთი ვერ აკმაყოფილებს მთელს მოთხოვნილებას ასანთზე ამიერ - კავკასიაში. ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, წელს ამიერ - კავკასიაში უნდა შემოიზიდოს 190 ვაგონი ასანთი. ასანთის შემოზიდვა უკვე დაუბრკოლებლივ სწარმოებს. ოქტომბერში ა.-კავკასიაში შემოზიდულა სულ 11 ვაგონი ასანთი: აქედან საქართველოში 5 ვაგონი და აზერბეიჯანში კი 6 ვაგონი. ასანთების შემოზიდვა სწარმოებს უმთავრესად კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით.

ავიაქიმში

ავიაქიმის ლენრაიონის კონფერენცია

პარასკევს, 26 ნოემბერს, სალიანდაგო დარგის მე-6 უბნის კლუბში საღამოს 6 საათზე გაიხსნა ავიაქიმის ლენრაიონის კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 200-დე წევრი. კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. კრასინის ხსოვნას.

ავიაქიმის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. აბაშიძემ. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. მრავალი იყო წერილობითი შეკითხვებიც, რომლებზედაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა.

რაიონულ საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კურატიაშვილმა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კონფერენციამ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

დასასრულ არჩეულ იქნა ახალი რაიონული საბჭო—25 წევრისაგან და სარევიზიო კომისია —3 წევრისაგან.

საბჭოს საპატიო წევრად არჩეულ იქნა ამხ. ლ. აბაშიძე.

არჩეულ იქნა აგრეთვე—50 დელეგატი, საქალაქო კონფერენციაზე დასასწრებლად.

ქრონიკა

იტალიის კონსულის დაბრუნება

გუშინ იტალიიდან თბილისში დაბრუნდა ორი თვის შვებულებიდან და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა იტალიის ცენტრალური კონსული თბილისში—მოქ. ვინჩენცო გალანტი.

წიფაში მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამორკვევა

წიფაში მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამომკვლევი კომისია, რომელმაც დროებით შესწყვიტა თავის მუშაობა, გუშინწინ კვლავ შეუდგა მუშაობას საბოლოო დასკვნის გამოსატანად.

კერძო ქარხანა

ს. მ. უ. ს. ტეხნიკურ განყოფილებაში მოქ. შოლცმა აღძრა შუამდგომლობა აღმოუჩინონ მას დახმარება ხის მშრალათ გამოსახდელი ქარხნის აგებაში.

აღნიშნულ ქარხანაში იწარმოებს ტყის ნედლი მასალიდან სხვადასხვა ხის ექსტრაქტების გამოხდა, როგორიც, მაგალითად, ძმრის სიმჟავეს, ხის სპირტის, კრეოზოტის და სხვ.

ქარხნების გადაცემა

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გამოყო ცალკე კომისია, რომელშიაც შედიან შრომის კომისარიატის. აბრეშუმის ტრესტის. სატეხნიკო განყოფილების და სხვ. წარმომადგენელნი, აბრეშუმის ტრესტისათვის ახლათ აგებულ სახვევი ქარხნების გადასაცემათ.

პირველ რიგში ტრესტს გადაეცემა ხონის, ოზურგეთის და თელავის აბრეშუმის სახვევი ქარხნები.

თბილისის აღმასკომში

◆ ებრაელთა უბნის ერთ-ერთ მახლობელ ამბულატორიაში აღმასკომმა გადასწყვიტა მოიწვიოს ებრაული ენის მცოდნე ექიმი და ფერშალი ქალი.

◆ ბოტანიკური ბაღის თავზე არსებული შარაგზა დაიხურა.

◆ კონფერენცია. განათლების განყოფილება დღეს იწვევს თბ. მაზრის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების და აგრონომ მასწავლებელთა თათბირს.

◆ სკოლების შენობებში წელს განთავისუფლებული იქნა კერძო მდგმურებისაგან 56 ოთახი.

◆ პროფსკოლები. წელს ქალაქში განათ. განყოფილებამ გახსნა ორი ახალი პროფსკოლა.

◆ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები გაიხსნა ზემო-ავჭალაში. დიღომში და მარტყოფში. ეხლა მაზრაში არსებობს 9 სკოლა.

შრომის სახალხო კომისარიატში

◆ კურსები. შრ. სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს წელს მოაწყოს შრომის ინსპექტორების გადასამზადებელი კურსები.

◆ უმუშევრობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად კომისარიატი იმუშავებს ახალ გეგმას, რომლის მიხედვით მთელ რესპუბლიკაში მოეწყობა საზოგადოების სამუშაოები და გაიხსნება ახალი შრომის კოლექტივები.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ პასტერის ინსტიტუტის ქუთაისის განყოფილებისათვის შეძენილი იქნა ახალი საექიმო იარაღები.

◆ გამასწორებელ სახლებთან ჯანმრთელობის კომისარიატი აწყობს კბილის საექიმო კაბინეტებს.

◆ ექიმბაშობასთან ბრძოლის მიზნით საექიმო პუნქტების ექიმებს დაევალათ გლეხებში მოაწყონ ლექცია-საუბრები და საჯარო-საჩვენებელი ვასამართლებები.

◆ თბილისის სამკურნალო კაბინეტებისათვის საზღვარგარეთ შეძენილი იქნა ახალი გაუმჯობესებული ხელსაწყოები.

მიწადმოქ. სახ. კომისარიატში

◆ მიწად-მოწყობის ჩასატარებლად კომისარიატი იმუშავებს ახალ გეგმას. მიწად-მოწყობის საქმე ადგილებზე განახლდება გაზაფხულზე.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ აბრეშუმის თესლი. წელს საზღვარ გარეთიდან ა.-კავკასიაში შემოტანილი იქნება 23 ათასი კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი. აქედან საქართველოს მიეცემა 10,000 კოლოფი.

◆ მატყლი. დუშეთში ეწყობა მატყლის საწმენდი პუნქტი.

◆ ბამბა. დღემდე მთელ ამიერ-კავკასიაში დამზადებული იქნა 34,210 ტონა ბამბა, 10,433,000 მან. ღირებულების.

◆ წითელი ხე. სახ. ვაჭრობის სამმართველო საზღვარგარეთ გასატანათ ამზადებს 100 ათას ტონა წითელ ხეს.

◆ აბრეშუმის ტრესტი, სას. მეურ. უმაღ. საბჭოს დადგენილებით ქუთაისიდან გადმოტანილი იქნება თბილისში ტრესტის გამგეთ დაინიშნა ამხ. გოგოტიშვილი.

სხვადასხვა

◆ განათლების მუშაკთა სახლში დღეს 30 ნოემბერს, საღ. 6 საათზე შესდგება სალიტერატურო ქართულის შემსწავლელი წრის მეცადინეობა პროფ. შანიძის ხელმძღვანელობით.

„საუნჯე“. რედაქციამ მიიღო ყოველთვიური სანიტარულ - პოპულიარული ჟურნალი „საუნჯე“ № 9-10.

სახ. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტთათვის სავალდებულო სწავლის ფულის პირველი ნახევრის — 5 მანეთის მიღება დამატებით იწარმოებს 1, 2 და 3 დეკემბერს ვადა უკანასკნელია.

განათლების კომისარიატის სტიპენდიანტები ვალდებული არიან გატარდენ აღრიცხვაზე 1-5 დეკემბრამდე პროფსექციათა აღმასბიუროში, ვინც რეგისტრაციაში არ გატარდება, მას სტიპენდია მექანიკურად მოეხსნება.

სასამართლო

ექიმ გოგნიაშვილის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო ლენინის სახელობის ბავშვთა სახლის ექიმის ბარბარე გოგნიაშვილის საქმის გარჩევა.

გოგნიაშვილს ბრალდება სამსახურისადმი გულგრილობა.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული გოგნიაშვილი.

ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ლენინის სახელობის ბავშვთა სახლში მას დავალებული ჰქონდა ავადმყოფ ბავშვებისათვის. წამლების გამოწერა. ერთხელ წამლეულობისათვის საჭირო შუშეულობის ძებნის დროს სპირტი, რომელიც პატარა შუშაში იყო მოთავსებული, გადაასხა მეორე დიდ შუშაში, რომელშიაც მას სპირტი ეგონა. სინამდვილეში კი მეორე შუშაში ფიზიოლოგიური ხსნარი აღმოჩნდა, მაგრამ წარწერა ფიზიოლოგიური ხსნარი ბრალდებულს არ შეუმჩნევია, რადგან ჩქარობდა. შემდეგ გაუგია ბრალდებულს, რომ დიდ შუშაზე ყოფილა წარწერა ფიზიოლოგიური ხსნარი 75 პროც. როგორც შემდეგ აღმოჩნდა მეორე შუშაში ფიზიოლოგიური ხსნარი ყოფილა არა 75 პროც., არამედ 0,75 პროც.

ეს ფიზიოლოგიური ხსნარი დაალევინეს 2½ თვის ავადმყოფ მარტიროსოვის ბავშვს.

ბავშვი გარდაიცვალა.

ბრალდებული ეყრდნობა რა ექსპერტ მამულიას დასკვნას აღნიშნავს, რომ ეს ფიზიოლოგიური ხსნარი იმდენათ მცირე დოზით მიეცა ბავშვს, რომ მას არ შეეძლო გამოეწვია ბავშვის სიკვდილი.

ბრალდებული ამბობს, რომ ბავშვი იმდენათ დასუსტებული იყო დეზინტერიით, რომ შესაძლებელია, ამის გამოც მომკვდარიყო.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. სიჭინავა, სახალხო მსაჯულები: თომაევი და ცინცაძე, ბრალს სდებს პროკურორი კუპრაშვილი.

გამოწვეულია ექიმი ექსპერტები.

დღეს დაიწყება მოწმეების დაკითხვა.

განაჩენი კოჯორის კოოპერატივის თანამშრომელთა საქმეზე

სასამართლომ გრიგოლ შალამბერიძე დამნაშავეთ სცნო 1.338 მანეთის გაფლანგვაში და ძალა-უფლების გადამეტებაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

აკაკი მახარაძეს სამსახურისადმი გულგრილობისათვის მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

გოგელიას 488 მანეთის გაფლანგვისათვის მიესაჯა 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა,

კანკავა-ფარულავას 198 მანეთის მითვისებისათვის 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბერიძეს სამსახურისადმი გულგრილობისათვის მიესაჯა ერთი წლით პირობითი სასჯელი.

გოგელიძეს დაეკისრა დისციპლინარული წესით სასჯელის მოხდა.

გულიაანცი და მორბედაძე სასამართლომ გაამართლა.

მოკვლის ცდა გაძარცვის მიზნით

ერთ დღეს, ვალიკო გობეჯიშვილმა (ს. ს. მილიციის ყოფილი თანამშრომელი) და პეტრე ტრეტიაკოვმა (მეშვიდე კომისარიატის ყოფილი თანამშრომელი) მეძავი ქალების ანნა ფილიპენკოს და ეკატერინა ტისინას დახმარებით მცხეთაში წაიყვანეს კლიუნიკოვას ქალი. მცხეთიდან ფეხით წავიდნენ ზაჰესისაკენ. ფილიპენკოს და ტისინას ქალი განზრახ ჩამოშორდა გობეჯიშვილს, რომ ამ უკანასკნელს საშუალება ჰქონებოდა მოეკლა კლიუნიკოვას ქალი გაძარცვის მიზნით.

გობეჯიშვილმა კლიუნიკოვას ქალს მიაყენა სამი ჭრილობა და წაართვა მას ოქროს ბეჭდები.

კლიუნიკოვას ქალმა ამის შესახებ აცნობა სადაც ჯერ არს და ყველა ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. თენიეშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო ზემოთჩამოთვლილ პირების გასამართლება.

დაკითხულ იქნა ბრალდებული გობეჯიშვილი.

ბრალდებული თავს არ სცნობს დამნაშავეთ.

ბრალდებულთა დაკითხვა გრძელდება.

შემთხვევები

განზრახ ცეცხლის გაჩენა

ამ ორი დღის წინად ხანძარი გაუჩნდა მიხეილის უბნის ფინინსპექტორის კანტორას (კომინტერნის ქ. № 5).

ხანძრის დროს დაიწვა საჭირო ქაღალდები.

სპეციალურმა კომისიამ გუშინ გამოარკვია ცეცხლის გაჩენის მიზეზი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხანძარი განზრახ არის გაჩენილი.

3.000 მანეთის ზარალი

სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალოში (პუშკინის ქ.) ხანძრის გაჩენის მიზეზების გამორკვევა, დღეს დაასრულა მუშაობა.

კომისიამ გამოარკვია, რომ ხანძრით გამოწვეული ზარალი უდრის 3.000 მანეთს.

— **ქალის დაკარგვა.** 28 ნოემბერს თბილისის სადგურში დაიკარგა სოფლიდან ჩამოყვანილი სულით ავადმყოფი კატო ფილიპეს ასული აბესაძე, 30 წლის, ხმელ-ხმელი; თმაშეკრეჭილი; აცვია ბამბის ტანსაცმელი ყვითელი ფერის, არის შავგვრემანი, ფეხებზე წაღები აქვს, უჩულქო.

მნახველს სთხოვენ მიიყვანონ მეთორმეტე კომისარიატში.

◆ **დაჯახება.** რიყის ქუჩაზე ტრამვაის რონოდა დაეჯახა სტანკოვის ცარიელ ეტლს და დაამსხვრია. მსხვერპლი არ არის.

◆ **გაუპატიურება.** 27 ნოემბერს გააუპატიურეს ა. ო. დამნაშავენი არუთინ ოგანეზოვი და არტაშ მანუკიანცი შეიპყრეს.

◆ **ცეცხლი.** 27 ნოემბ. სოლომონ ყაზარიანის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ადგილობრივ ძალებით იქნა ჩაქრობილი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** მუხრანის ქ. № 14, 27 ნოემბერს ელენე სანაძის ბინიდან მოიპარეს 500 მანეთის ნივთები.

◆ **ჯიბგირობა.** ჯარისკაცთა ბაზარში მოქ. ჯაფარიძეს ამოაცალეს საფულე.

◆ **ბრილიანტების მოპარვა.** 27 ნოემბერს ანტონოვის ქ. № 7 ეკატერინე გძელიშვილის ბინიდან მოიპარეს 508 მ. ბრილიანტის თვლები.

◆ **ქურდობა.** 27 ნოემბ. კარუსელის ქ. № 1 იაკობ ნიკოლაიშვილის ბინიდან მოიპარეს 450 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს მუხრანის ბაზარში ვლეხ ოლიუხლოვს მოპარეს 19 მან.

◆ ამავე დღეს ანდრეევის ქ. № 21 დავით კუპრენკოს ბინიდან მოიპარეს 175 მ. ნივთები.

◆ ანტონოვის ქ. № 15 ამავე დღეს გაქურდეს ისაკი ათაბეგიშვილის ბინა.

ხელოვნება

პლეხანოვის თეატრი

პლეხანოვის სახელობის კლუბში მოსიარულე საზოგადოება ყოველთვის უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ კლუბის შენობა ვერ იტევდა ყველა მსურველებს. კლუბი ამჟამად იტევს მხოლოდ 700 კაცს, ეს იმ დროს, როდესაც კლუბის გამგეობას ჰყავს 2200-ზე მეტი წევრი.

ამას გარდა კლუბში შეუძლებელია პიესების მხატვრულად დადგმა.

ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწია რკინისგზის სამმართველომ, რომელმაც გადასწყვიტა ააგოს ახალი თეატრი. თეატრის აშენების გეგმის შესამუშავებლად გამოყოფილია საგანგებო კომისია ამხ. განაევის თავმჯდომარეობით და ამხ. ტორიკაშვილის და ძნელაძის შემადგენლობით. თეატრის ასაშენებლად რკინისგზის სამმართველომ უკვე გაიღო 800 ათასი მანეთი.

თეატრი შენდება ქართულ სტილზე; იგი აგებული იქნება მეექვსე შრომის სკოლის ადგილას. ახალი სკოლა აშენდება ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 1[illegible].

თეატრი დაიტევს 3500 კაცს, ექნება 4 იარუსი.

საძირკველი უკვე გათხრილია, მუშაობა ნაწილობრივ სწარმოებს. ამ დღეებში მოტანილი იქნება საჭირო მასალა და მუშაობა გაფართოვდება.

ი.

◆ **სახკინმრეწვის სარეჟისორო ნაწილის** გამგეთ დაინიშნა ლელი ჯაფარიძე.

◆ **სამხატვრო გამოფენა.** ახლო ხანში 1-ლ საცდელ-საჩვენებელ ტეხნიკუმის (რუსთ. პრ.) დიდ დარბაზში გაიხსნება მხატვართა გამოფენა.

◆ **კონცერტი.** 4 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება დ. არაყიშვილის რომანსების საღამო მომღერალ ქალის ა. დანიელიანის მონაწილეობით.

◆ **საბავშვო სურათი.** რეჟისორი კ. მარჯანიშვილი ამზადებს საბავშვო კინო-სურათს „სტიქიაზე ძლიერი“.

◆ **„ქ-ნი ბატერფლეი“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ქ-ნი ბატერფლეი“.

◆ **„მისს მენდ“.** ახლო ხანში კინო „პალასსა“ და „მინიონში“ ნაჩვენები იქნება „მეჟრაპომრუსის“ სურათი: „მისს მენდ“.

◆ **„პრეზიდენტის შვილი“.** „სოლეიში“ დაიწყო ჩვენება ახალი სურათის: „პრეზიდენტის შვილი“.

ხუნაგი

ქუთაისის მაზრაში და თვით ქუთაისში ნოემბრის შუა რიცხვებიდან გავრცელდა ბავშთა მოარული სენი — ხუნაგი, ან, როგორც ადგილობრივ უწოდებენ ყელჭირვება. ქუთაისის სამაზრო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა სასწრაფო ღონისძიების მიღებას ეპიდემიის ასაკვეთათ. ავადმყოფობის პირველ შემთხვევებისთანავე ქალაქის საავადმყოფოსთან მოწყობილ იქნა სპეციალური ბანაკი ხუნაგით დაავადმყოფებულთა განსამარტოვებლად. გარდა ამისა ოჯახებს, სადაც აღმოჩენილ იქნა ხუნაგი, დაევალათ სასწრაფო ზომების მიღება ავადმყოფების განსამარტოვებლად (საიზოლიაციოდ).

მეხუთე შრომის სკოლაში, სადაც პირველად აღმოჩნდა ხუნაგით დაავადმყოფების რამოდენიმე შემთხვევა, სწავლა შესწყდა ათი დღით—20 ნოემბრიდან პირველ დეკემბრამდე. ჯანმრთელობის განყოფილების მიერ ქალაქის ქუჩებზე გამოკრულ იქნა განცხადებები და დარიგებანი იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ მცხოვრებლებმა ხუნაგის აღმოსაფხვრელად.

ახალი ხიდები

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ შეიმუშავა მდ. გუბისწყალზე და საქურაზე რკინის ხიდების აგების პროექტი. ხიდის აგებას შეუდგებიან ახლო ხანში. ხიდის ფერმები უკვე შეკვეთილია დასამზადებლად.

ხიდები აგებული იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

წინასწარ მუშაობას ხიდების ასაგებად შეუდგებიან დეკემბრის შუა რიცხვებში.

ფეხბურთი

„დინამო“ — „დურუჯი“

„დინამო“-ს და „დურუჯი“-ს ამხანაგურმა შეჯიბრმა, რომელიც კვირას გაიმართა, ჩვეულებრივ აუარებელი ხალხი მიიზიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეჯიბრი მეტად საინტერესო გამოდგა და იგი მიაღწევდა თავის მიზანს, რომ ბოლომდი წესიერ ფარგლებში ყოფილიყო წარმოებული. კვირის შეჯიბრის მიზანი კი იყო ამ ორი უძლიერესი გუნდის ძალების გამორკვევა გადამწყვეტი შეჯიბრის წინ. ამის გამორკვევა კი შეუძლებელი შეიქნა, რადგან „დინამო“-ს ზოგიერთი მოთამაშეების მეტად უხეში თამაშის გამო „დურუჯმა“ უარი სთქვა შეჯიბრის გაგრძელებაზე და იგი დაუმთავრებელი დარჩა.

„დურუჯს“ ამ შეჯიბრში აკლდა ერთი საუკეთესო მოთამაშე, მარჯვენა გარე-მარბი ქებაძე, რომელიც შესცვალა ახალგაზრდა მოთამაშემ მეორე „დურუჯი“-დან. ამ უკანასკნელს გუნდისთვის არაფერი გაუკეთებია, რადგან იგი პირველად მოხვდა ასეთ სერიოზულ შეჯიბრში და დაიბნა. ფაქტიურად გუნდი თამაშობდა ათი კაცის შემადგენლობით.

მიუხედავათ ამისა, თამაშის დაწყებისთანავე ბრძოლის ინიციატივა ხელთ იგდეს დურუჯელებმა, რომლებმაც ლამაზი შეტევა განავითარეს და მრავალი საინტერესო მომენტები შექმნეს „დინამო“-ს კარებთან. მაგრამ ბურთის გატანა მათ მაინც ვერ შესძლეს, რადგან მარჯვენა გარეზე მათი თავდამსხმელთა ფრონტი არ იყო გამაგრებული სათანადო მოთამაშით.

ტაიმის მეორე ნაწილში თამაშმა უფრო თანაბარი ხასიათი მიიღო. ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. ხუთი წუთით ადრე ტაიმის ბოლომდე დინამოელმა იაკიმიდიმ პირველი ბურთი გაატარა „დურუჯი-ს“ კარებში და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 1 : 0 „დინამო“-ს სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი ისევ დურუჯელების შეტევით იწყება, მაგრამ ჩქარა ისინი იძულებული არიან პოზიციები მოწინააღმდეგეს დაუთმონ, რადგან ზოგიერთები ამ უკანასკნელებიდან მეტად უხეშათ ამაშობენ, მეხუთმეტე წუთზე „დურუჯი“-ს კარებში მეორე ბურთია მოქცეული.

ჩქარა ვახ. ამბოკაძე აქვითებს ერთ ბურთს. დინამოელთა უხეში გამოსვლები გრძელდება. მსაჯი ზომებს არ იღებს თავაშვებულ მოთამაშეების წინააღმდეგ. ეს მოქმედობს დურუჯელთა წინააღმდეგობის სიმტკიცეზე და რამოდენიმე წუთის შემდეგ „დურუჯი-ს კარებში მესამე ბურთი გაიარს.

შვიდი წუთით ადრე ტაიმის ბოლომდე დინამოელმა ბლანკმანმა ისე მძლავრად ჰკრა ხელი დურუჯელ გუნიას, რომ ამ უკანასკნელმა მიწაზე დანარცხების გამო მარცხენა ხელი იღრძო. აღშფოთებულებმა ასეთი უხეში მოქცევით დურუჯელებმა უარი სთქვეს შეჯიბრის გაგრძელებაზე და მიატოვეს მოედანი.

„დინამო“-ს მხრიდან მეტად უხეშათ თამაშობდნენ: ჟორდანია, ბლანკმანი, იაკიმიდი და სიხარულიძე.

ძალზე სუსტი მსაჯია ამხ. ტანცოში. მსაჯი, რომელსაც არ შეუძლია დროზე შეაჩეროს თავაშვებული მოთამაშეები და წესიერ კალაპოტით წარმართოს თამაში, გამოსაშვები არ არის მოედანზე.

ფიზკულტურის საბჭომ ზომები უნდა მიიღოს იმ მოთამაშეების წინააღმდეგ, რომელ გუნდშიაც არ უნდა იყონ ისინი, რომლებიც ფეხბურთს ფრანგულ და კავკასიურ ჭიდაობით აქცევენ.

ბ—ი.

ბიბლიოგრაფია

„საქართველოს კოოპერაცია“ № 1—2 და № 3—4

საქართველოს კოოპერატიული საბჭოს ორგანო

მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყო გამოსვლა საქართველოს კოოპერატიული საბჭოს ჟურნალმა „საქართველოს კოოპერაცია“-მ და შესწყდა ცეკავშირის ჟურნალ „კავშირი“-ს გამოსვლა.

საქართველოს კოოპერატიული საბჭო წარმოადგენს მთელი საქართველოს კოოპერაციის გაერთიანებულ ორგანოს და ჟურნალი „საქართველოს კოოპერაცია“ მიზნათ ისახავს ყველა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციათა წინაშე მდგარ ამოცანების და მუშაობის გაშუქებას და ფართო მასების კოოპერატიული თვითშეგნების გაზრდას.

ჟურნალის № 1—2 შედარებით სუსტია შინაარსით და წერილების უმრავლესობა საინფორმაციო ხასიათს ატარებს. პირველი ორი სარედაქციო წერილების შემდეგ, რომლებიც ჟურნალის მნიშვნელობას და მკითხველებთან მის დამოკიდებულებას ეხებიან, მოთავსებულია შ. გოგებაშვილის წერილი: „საგადასახადო შეღავათები კოოპერაციას“, რომელშიაც განმარტებულია 1926 წ. 10 სექტემბრიდან საკავშირო მთავრობის დეკრეტი კოოპერაციის საგადასახადო შეღავათების შესახებ.

შემდეგ გ. წ. წერილი ეხება კოოპერატივის მოგების განაწილების საკითხს, რომელსაც კოოპერაციაში მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ავტორის მიდგომა საკითხისადმი სწორია.

ქ. უ. წერილის „კოოპერაციაში ულარიბესი გლეხობის გაერთიანების“ შემდეგ მიდის პრესის განყოფილება, სადაც მოყვანილია „კოოპერატივნაია ჟიზნი“-ს № 119 მეთაურის შინაარსი და განმარტება საცალო ფასების დაწევის შესახებ. ამ საჭირბოროტო საკითხზე საჭირო იყო ორიგინალური წერილები, ადგილობრივი მდგომარეობის გაშუქებით, მაგრამ სამწუხაროთ ჟურნალში ამის შესახებ ვერაფერს იპოვით.

ს. კ—ძის წერილი: „დანარიცხის ხარჯების და მოგების ნორმები“ წარმოადგენს „ცენტროსოიუზის“ მიერ გამომუშავებული ნორმების განმარტებას. როგორც წერილიდან სჩანს ცეკავშირს ჯერაც არ აქვს გამომუშავებული ასეთი ნორმები. ნ. ჭავჭანიძის წერილში მოყვანილია კოოპერაციის აღორძინების დასაწყისის შესახებ წარსული წლიდან.

ამავე ნომერში მოთავსებულია წერილები: ი. ბ. „სასოფლო - სამეურნეო - საკრედიტო კოოპერაცია ჩვენში“, დ. ლ—ძე „კოოპერაცია შინამრეწველობაში“, ე. ანთაძე: „საბინაო კოოპერაცია საქართველოში“. ჟურნალის ამ ნომერში არის ზოგიერთი ცნობები კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ უცხოეთში და საბჭოთა კავშირში, ადგილობრივი კოოპერატიული ქრონიკა, კორესპონდენციები და ოფიციალური განყოფილება.

გაცილებით უფრო შინაარსიანია ჟურნალის შემდეგი (3—4) ნომერი, რომელშიაც არის მთელი განყოფილება მიმდინარე საარჩევნო-საანგარიშო კამპანიის შესახებ კოოპერაციაში; ამავე საკითხს ეხება მეთაურიც. აღსანიშნავია ნ. ჭავჭანიძის წერილი: „სამომხმარებლო კოოპერაციის მორიგი ამოცანები“, დ. ჩ. „სოფლის კავშირი“, ე.—ლი „მეხილეობა-მებოსტნეობა საქართველოში“ და „ბაღ-ბოსტან-კავშირი“, ე. ანთაძე „მშენებლობის სტანდარტიზაცია“ და სხვა. მეტად საყურადღებო საკითხს ეხება ვინტარი თავის წერილში: „კერძო კაპიტალი ქალაქისა და სოფლის ვაჭრობაში“ თვით ავტორი აღნიშნავს, რომ არსებული მასალების მიხედვით ძნელია ამ საკითხის გამორკვევა საქართველოსთვის და აგრეთვე საბჭოთა კავშირისთვის. ამიტომ თავის ცნობებს ის საორიენტაციო მასალას (1924—1925 წ.) უწოდებს.

ჟურნალის ეს ნომერი უფრო მდიდარია მასალებით კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ უცხოეთში და საბჭოთა კავშირში. ჟურნალი ღირს 30 კაპ., რაც ძვირათ არ ჩაითვლება და სასურველია მისი ფართო გავრცელება.

ახალი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის №-ში მოთავსებულ რეცენზიაში (ჟურნალ „ქართულ მწერლობა“-ზე) გაპარულია ერთი კორექტურული შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს.

სწერია: „ძალიან ნათელი და უაზროვნო იყო ის პოზიცია ომის საკითხში, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ამხ. ლენინის, ლიუქსემბურგის და სხვ. ფორმულაში...“

უნდა იყოს: „ძალიან ნათელი და უორაზროვნო იყო“ და სხვ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, სამშაბათს 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე **თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია** საქართველოს **კომპარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი** რაიკომების ბიუროს წევრებთან და საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის დიდ უჯრედებს მდივნებთან ერთად.

დღის წეს-რიგში სდგას: 1. საუჯრედო ბიუროების გადარჩევის შედეგების შესახებ., 2. თბილისს საბჭოს მუშაობის ვაცხოველების შესახებ., 3. თილისის სამაზრო - საქალაქო პარტკონფერენციის მოწვევის შესახებ. სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ბიუროს წევრების და დიდ უჯრედთა მდივნების დასწრება.

პარტიული თათბირი

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სამდივნოს დადგენილებით, 18 დეკემბერს მოწვეულია თბილისის კომიტეტის, საოლქო და სამაზრო კომიტეტების და თბილისის ორგანიზაციების რაიკომების სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი.

თათბირის დღის წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან (აჭარისტანის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, ახალქალაქის, თელავის და რაჭის). 2) სააგიტ. საპროპაგანდო მუშაობის მორიგი ამოცანები—მომხს. **საყვარელიძე.** 3) საპოლიტ. განმანათლებლო მუშაობის შესახებ—მომხს. **მუშანია.** 4) ანტირელიგიურ მუშაობის შესახებ—მომხს. **იმედაძე.** 5) სოფლად პარტგანათლების ამოცანების შესახებ — მომხს. **თათარიშვილი.** 6) თვითგანვითარების შესახებ—მომხსენებელი **ორაგველაძე.** 7) უჯრედის სააგიტ. საპროპ. მუშაობის შესახებ—მომხს. **ასრიბეკოვი,** თანამომხს. ქუთაისის და ბათომის აგიტ-პროპ. 8) ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ—მომხს. **გეზაგოლდი.** 9) საშეფო მუშაობის შესახებ—მომხს. **იმედაძე.**

მომხსენებლებმა უნდა წარმოადგინონ მოხსენების თეზისები ს. კ. პ. (ბ) ცკას აგიტპროპში არა უგვიანეს 8 დეკემბრისა.

საქ. კომ. პარტიის ცენტრალური საკანტროლო კომისია უკანასკნელ წინადადებას აძლევს ამხ. **გრიგოლ მაღრაძეს,** რათა დღეს, 30 ნოემბერს გამოცხადდეს საკანტროლო კომისიაში. (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი № 9).

„ღვთის ურწმუნოთა საზოგადოების“ ბიუროს სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 2 დეკემბერს საღამოს 6 საათზე აგიტ-პროპ მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში. (რუსთაველის თეატრის შენობა, მე-3-ე სართული).

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) **თბილისის კომიტეტის** სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებული თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება ოთხშაბათს 1 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე აგიტპროპ მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში. (რუსთაველის თეატრის შენობა, მესამე სართული).

ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის და რაიონულ სარევიზიო კომისიების გაერთიანებული სხდომა შესდგება სამშაბათს 30 ნოემბერს საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

ნორჩ-პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ დღეს, 30 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება **ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის შემსწავლელ პედაგოგთა წრის პირველი საორგანიზაციო კრება.**

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების დადგენილების თანახმათ წინადადება ეძლევათ ყველა მოსწავლე კომკავშირელებს და კერძოთ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს, რომელნიც 2 ნოემბრიდან სწავლის ადგილის მიხედვით რაიონებში არ მიმაგრებულან უჯრედებზე მოიხსნან თავიანთ რაიონებიდან და მიემაგრონ სათანადო რაიონებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა
მწუხარებით აცხადებს, რომ კვირას, 28 [illegible]
ღიკულად დაიღუპა
ვერა მიხეილის ასული
ღლონტისა
გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან საკუთარ ბინაზე—პეტრიაშვილის ქ. (ყოფ. საუფლისწულო) № 8, დღეს, სამშაბათს, 30 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე
ბ. 288

მწუხარებაში მყოფნი მშობლები ბაგრატ და სირანა, დები ნინა და ვარო, ბაბუა ბიქარა და ბებია სონია პეპანოვები. მამიდა ვარინკა და ქმარი მისი სერგო ფარსადანოვები, მამიდა ლიზა და ქმარი მისი სერიოჟა მარტიროზოვები. აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 25 ნოემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის შვილი მეორეს ძმა, მესამეს შვილის შვილი, მეოთხეს აღზრდილი ძმის შვილი და ცოლის ძმის შვილი
გიორგი ბაგრატის-ძე პეპანოვი
რომლის დასაფლავება მოხდება დღეს, სამშაბათს 30 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება—ლენინის შესახვევი № 3
ქვ. 739

ღრმად დამწუხრებულნი კლემენტი დავითის-ძე, ანდრია და გიორგი კლემენტის-ძენი, ალექსანდრა ილიას ასული და ნინო გრიგოლის ასული ლორთქიფანიძენი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მძიმე ავად მყოფობის შემდეგ 29 ნოემბერს, გარდაიცვალა პირველის მეუღლე და მეორეთა დედა, დაუვიწყარი
პელაგია გრიგოლის ასული
ლორთქიფანიძისა
პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, სლეპცოვის ქ. (ვაშლოვანის) № 5, დაკრძალვა ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.
733 3 1

გულდათუთქული მეგობრები წინანდლის სახალხო მამულის მოსამსახურენი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი უძვირფასესი მეგობრის და თანამსახურის უფროსი მეენახის
ნესტორ ზურაბის-ძე ბერიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა სოფ. წინანდალში 29 ნოემბერს.
730

გულდათუთქული მშობლები: იულო და მათა, ძმები: ვანო, ერმალო და ნესტორი, დები: ფედოსი, კესარია და ანეტა, სიძეები: გოლოვან ქინქლაძე და კონსტანტინე წულაძე, რძალი ნინა და ძმისშვილი ნათელა, ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 23 ნოემბერს, ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი
სერგო იულონის-ძე დუმბაძე
დაკრძალვა მოხდება 30 ნოემბერს, ს. ზოლეთში წმინდა გიორგის ეკლესიაზე.
731

---

28 ნოემბერს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა
პელაგია ალექსი ჭიჭინაძის ასული
ჯაფარიძისა
რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები ვიქტორ და ტრიფონ მიხეილის-ძენი ჯაფარიძენი, მაგდან მიხეილის ასული წერეთლისა, მატრონა მიხეილის ასული არეშიძისა და დარია მიხეილ ჯაფარიძის ასული, რძლები ალექსანდრა ნიკოლოზის ასული და ოლღა ნესტორის ასული ჯაფარიძეებისა, შვილიშვილები და ძმა მიხეილ ალექსის-ძე ჭიჭინაძე ცოლ-შვილით. პანაშვიდი ყოველდღე ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება საკუთარი ბინიდან, რუსთაველის ქ. № 6. დასაფლავება საფიჩხიის სასაფლაოზე, 1-ლ დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე.
ბ. 289

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე“ დეკემბრისათვის
პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:
1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მი[illegible]აძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან სიღნაღის მაზრისათვის.
13. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შ[illegible]ნიაშვილი ესტატე
16. ოჩემჩირი—ვ. სოხელის განყოფ. გამგეს
17. საჩ. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
18. ბორჯომ-ბაღი—იაშა ტერტეროვთან
19. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.
0—1
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

განათლების სახალხო კომისარიატი
აცხადებს, ყველა იმ პირების საყურადღებოთ, რომლებიც ამეცადინებენ ჯგუფობრივ სასკოლო ასაკამდე აღზრდის ბავშვებს 4—8 წლამდე—გამოცხადდენ განათლების კომისარიატში (რუსთაველის პრ. № 31), განმარტებების მისაღებად.
ვინც სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდება, მათ ადმინისტრატიულ წესით ბავშვებთან ჯგუფობრივი მუშაობა აეკრძალებათ.
ბ. 282 განათლების სახ. კომისარი დ. კანდელაკი.

2 ოთახი
მინდა დავიქირაოთ ზემელის აფთიაქის, ყოფ. კადეტის კორპუსის ან ალექსანდროვის საავადმყოფოს რაიონში. ფასი შეთანხმებით, ერთი წლით წინდაწინ. იკითხეთ „კომუნისტი“-ს კანტორაში, რუსთაველის პრ., 34 ზ. ბ-სთან.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12—5

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმდვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ლ. ს. სვიტოდუხოვი
ამით აცხადებს, რომ ის 4 დეკემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 12 ბებუთოვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კარაპეტ აზნაუროვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას შეფასებულს 165 მანეთად, საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 2 ოქტომბერს 1926 წ თარიღით, № 2364 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა.
727

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 1-ლ დეკემბერს 1926 წლ. დღის 3 საათზე სახლში № 137, ელისაბედის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ გაგნიძის მოძრავ ქონებას სამ სახარატო დაზგებს, ორ სხვადასხვა ფირმის ძრავებს 4 და 6 ძალიანებს და სხვ. შეფასებულს 2105 მანეთად, მეღვინეთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანხმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 15 ოქტ. და 18 ნოემ. 1926 წ. თარიღით № 3882 და 5110 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა.
718 3—1

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 125—

ექიმი
ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 5

დაჰკარგვ პირადობის მოწმობა მოცემული ქუთაისის მილიციის სამმართველოსაგან პლატონ სიმონისძე გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 735

დაჰკარგვ სახალხო კვების კავშირის წიგნაკი აფრასიონ გაბრიელისძე დოლიძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 737

დაჰკარგვ პასპორტი ნიკოლოზ ბეგლიაროვის სახელზე, ჩ. გ. 734

დაჰკარგვ სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 843 გიორგი მუხიგულაშვილის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 728

დაჰკარგვ ლომბარდის ქვითარი № 7828 გოგოლა მიქელაძეს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 729

29 ნოემბერს დილით 8 საათზე ბინიდან გაიპარა სულით ავადმყოფი 17 წლის იორდანე ხუხუნაიშვილი ტანათ მაღალი, წაბლის ფერი თმა. თვალის ფერი [illegible], აცვია შავი მოკლე „ტუჟურკა“ და შავი შალის შარვალი, თავზე ხურავს ჭრელი ქუდი სურმის ფერი, ფეხზე აცვია ბაშმაკები უწინდოთ. მნახველთ ვთხოვთ შევატყობინონ [illegible] შესახებ № 8 იოსებ ხუხუნაიშვილს. ქვ. 736

გამოცდილი დიდი ხნის მკერავი [illegible] შემიძლია ვასწავლო ჭრა-კერვა მეტოდით და უმეტოდოთ. ვკერავ ქალების ტანთსაცმელს და საცვლებს. მისამართი ლენინის ქ. № 66 იალკუზოვა.

დაიკარგა სიღარიბის მოწმობა, მოცემული ლეძამის თემაღმასკომის მიერ № 321 ალათი სოსელის ასული ძაძამიას სახელზე, ჩ. გ. 738

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 30 ნოემბერს, მე-2 აბონემენტის მე 4 წარმოდგენა **ქ-ნი ბატერფლეი**
მონაწილეობენ: ბოკოვა, ვოლჩანეცკაია, ვიტინგი, ვენაძე.
დირიჟორი—დამსახურებული მსახიობი სტოლერმანი.
ოთხშაბათს, 1 დეკემბერს,
1. ჯამბაზები
2. სოფლის პატიოსნება
დადგმა ეიხენვალდის.
ბ. 282

სახელმწიფო დრამა
დღეს, 30 ნოემბერს
უილ. შექსპირი.
ჰამლეტ
თარ. ივ. მაჩაბლის. მუსიკა პ. ჩაიკოვსკის
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის
დეკორაციები ირ. გამრეკელის
ხუთშაბათს, 2 დეკემბერს,
პრემიერა.
ნ. შიუკაშვილის.
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქ. და 3 ინტერმედიათ.
მონაწილეობენ: ბეჟანიშვილი ს., [illegible]ოსულიშვილი მ., ჯავახიშვილი ნ., ჯორჯაძე ივ., გოცირიძე ნ. (რესპ. სახ. არტ.), ადამიძე ვლ. გოძიაშვილი ვ., ვასაძე აკ., ვარდოშვილი მ., კორიშელი პლ., კომახიძე პ., ლორთქიფანიძე მ., მჟავია დ., მუ[illegible]ღულია პ., ჟორჟო[illegible]იანი ალ., სარჩიმელიძე გ., სარაული მ., შიხაშვილი ვ., ქანთარია ია, ღამბაშიძე შ., ჯაფარიძე ს. და სტუდიელნი და თანამშრომლნი.
დადგმა ალ. ახმეტელის. რეჟისორი კ. პატარიძე.
მხატვარი მ. შავიშვილი. დირიჟორი ალ. გველესიანი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
3—1 ბ. 290

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
ბ. 157 0—20
შესანიშნავი სურათი. ფრანციოზული დადგმა
„ვენეციის ლომები“
მხატვრული დრამა 8 ნაწილად.
სეზონის ახალი სურათი. პირველად თბილისში
„შეკვეცილი ფრთები“
ლიუსი დორენის მონაწილეობით.
უკანასკნელად თბილისში
„ქალი გზა ჯვარედინზე“
2 სერია 12 ნაწილი ერთად. ვ. მარგერიტის ცნობილი რომანის „მონიკა ლერბიეს“ მიხედვით.
ა. დიუმას ცნობილი რომანი
გრაფი მონტე-კრისტო
მე-3-ე და მე-4-ე სერია ერთად

მოწაფეთ საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი [illegible] ქ. № 5.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.